ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №103 (2803) შაბათი, 2 მაისი, 1998 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ – 45 თეთრი.

პრეზიდენტის ფოსტიდან

უსაფრთხოების მნიშვნელოვანი გარანტია

საქართველოში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებისა და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებაში საქართველოს პრეზიდენტის განსაკუთრებულ როლს აღნიშნავს თავის წერილში უზბეკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ისლამ კარიმოვი. „ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობა უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ფაქტორია არა მხოლოდ კავკასიის, არამედ მისი მომიჯნავე რეგიონებისთვისაც, კერძოდ, ცენტრალური აზიისათვის“, ნათქვამია უზბეკეთის პრეზიდენტის წერილში.

ისლამ კარიმოვი სავსებით იზიარებს ედუარდ შევარდნაძის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ რეგიონში მყარი მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარება შეუძლებელია გაეროს, ეუთოსა და სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობის, აგრეთვე, კონფლიქტების მოწესრიგებისა და შედეგების რეაბილიტაციაში მათი გამოცდილების გაზიარების გარეშე. იგი ასევე ეთანხმება საქართველოს პრეზიდენტის წინადადებას ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა დაბრუნებისა და მათი უფლებების აღდგენის, აგრეთვე, მომავალში მსგავსი აქციების ალკვეთის აუცილებელი მექანიზმის შექმნის თაობაზე.

„მინდა დაგარწმუნოთ, რომ უზბეკეთის რესპუბლიკა სეპარატიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგია და მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლების მისწრაფებას აღადგინოს მშვიდობა კავკასიასა და საქართველოში“, ნათქვამია უზბეკეთის პრეზიდენტის წერილში.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

ვიზიტი

„ჩვენი ხალხები დაკავშირებული არიან მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის საუკუნოვანი ტრადიციებით“

„ვეთანხმებით ყველა პრინციპს, რომელსაც მშვიდობიანი კავკასიის ინიციატივა გულისხმობს“

სერგო ბელოუსოვის („რეზონანსი“) ფოტო.

საქართველოსა და სომხეთს არა მხოლოდ წარსული, არამედ მომავალიც აკავშირებთ. წინაპართა ტრადიციები, წლების განმავლობაში არსებული კეთილმეზობლური ურთიერთობა, სტრატეგიული მიმართულებები, დადებული ხელშეკრულებები — ყველაფერი ეს საფუძვლად უდევს საქართველო-სომხეთის მომავალ ურთიერთობას, რომელთა გასაღრმავებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საპარლამენტთაშორისო კონტაქტებს. სწორედ ამ მიზნით, გუშინ თბილისს ეწვია სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული კრების ახლადარჩეული თავმჯდომარე ხოსროვ არუთუნიანი.

იხ. მე-2 გვ.

თბილისში სამუშაო ვიზიტად მყოფმა სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარემ ხოსროვ არუთუნიანმა სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე. მან სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული კრებისა და მთელი სომეხი ხალხის სახელით გულწრფელი სალამი და კეთილი სურვილები გადასცა ქართველ პარლამენტარებს და იმედი გამოთქვა, რომ ეს ვიზიტი და შეთანხმება, რომელსაც დღეს მოაწერეს ხელი, ახალი ნაბიჯი იქნება ორი ქვეყნის პარლამენტებს შორის თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების გზაზე.

იხ. მე-2 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1998 წლის 1 მაისი ქ. თბილისი

გ. ლობჟანიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საქმეში შეტანილი პირადი წვლილის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის თეორიის, ისტორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი **გივი ლობჟანიძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1998 წლის 30 აპრილი ქ. თბილისი

გ. გუგავას ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ

ქართული ხალხური შემოქმედების განვითარების, მისი პოპულარიზაციისა და რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში შეტანილი წვლილისათვის ლენტეხის ფოლკლორულ ანსამბლ „ლაგუშედას“ ხელმძღვანელი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი **გელა გუგავა** დაჯილდოვდეს ღირსების მედლით.

ე. შევარდნაძე.

სამიტი

მანეჟიდან ჩინგისხანამდე — ჟირინოვსკის გავლით

მოსკოვი, 29 აპრილი: ცოტა ბუნდოვანი ახალი რაკურსი.

უდროობაა მოსკოვში. წელიწადის დროზეც ვამბობ და პოლიტიკურ სიტუაციაზეც. ტერმინიც რუსულია — ბეზვრემენიე.

არის და არც არის გაზაფხული — გვიანი შემოდგომასავით გაცრეცილი და უფერო, თანაც ისეთი ცხელი, როგორც უაზრობისგან გახურებული ტვინის საეჭვო აქტიურობა.

იხუთები... თუმცა დილაა და არის მოსკოვის ცენტრი, ყოფილი კალინინის პროსპექტი.

და თავს ისე გრძნობ, როგორც მდინარე მოსკოვიდან მოსკოვის ქუჩების მდინარებაში ამოგდებული თევზი (თუკი დარჩა ასეთი).

გარემო ნაცნობი და გარემო უცხო, რომელსაც თავიდან უნდა შეეგუო, ან არ უნდა შეეგუო, აღიქვა მაინც.

ამ ქალაქის ტრადიციული მახასიათებელი (არაერთგზის აღნიშნული) ენერგიული მუხტი — თითქოს მუდმივი და უცვლელი სიდიდე — გამოხშირული ნაბიჯების პუნქტირებამდეა დაკნინებული; აღარც ნიაღვრის გადმოხეთქვა მეტროდან ამოტუმბული ხალხის ნაკადის.

იხ. მე-3 გვ.

გადაწყვეტილება

აფხაზეთის, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების დამატებითი ღონისძიებათა შესახებ

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა საბჭო,

ხაზს უსვამს, რომ უცვლელად აღიარებს საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას,

მიესალმება ქართულ და აფხაზურ მხარეთა პირდაპირი ორმხრივი მოლაპარაკების განახლებას და ამ პროცესისადმი რუსეთის ფედერაციის აქტიურ ხელშეწყობას, უკრაინის მიერ გაეროს გენერალური ასამბლეის 52-ე სესიაზე წარმოდგენილ ინიციატივას გაააქტიუროს თავისი მონაწილეობა აფხაზეთის, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგებაში,

აღნიშნავს რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის, ეუთოსა და „გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფში“ შემავალ სახელმწიფოთა წარმომადგენლების თანდასწრებით ქართულ და აფხაზურ მხარეთა ჟენევის შეხვედრების მნიშვნელობას, საკოორდინაციო საბჭოსა და მისი სამუშაო ჯგუფების ფუნქციონირების დაწყებას,

ხელმძღვანელობს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის შესახებ მემორანდუმის (ალმათი, 1995 წლის 10 თებერვალი), კავკასიაში სტაბილურობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი პირობის — სეპარატიზმის საფრთხის ალკვეთისა და ამ რეგიონში კონფლიქტების მოწესრიგების შესახებ თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს განცხადების (მინსკი, 1995 წლის 26 მაისი) დებულებებით, ადასტურებს თავის ადრინდელ — 1996 წლის 19 იანვრის, 1997 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია აფხაზეთში, საქართველო, სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევა, და ხაზს უსვამს მათი შესრულების აუცილებლობას,

იხ. მე-3 გვ.

შევეწიოთ

სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა

ხვალ, 3 მაისს, 12 საათზე, თბილისში, ელიას მთაზე წმიდა სამონასტრო კომპლექსის ერთი ნაწილი — ილია წინასწარმეტყველის სახელობის ხის პატარა ეკლესია გაიხსნება. წირვას უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II აღავლენს. აქ დანთებული სანთლები იმედს გვაძლევს, რომ ქრისტეშობის 2000 წლისთავისთვის, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების შესაბამისად, ქართველი ერი შეძლებს დაასრულოს წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობა და შთამომავლობას დაუტოვოს იგი, როგორც ერთიანი, ძლიერი საქართველოს სიმბოლო.

ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:

თბილისის რეგიონული საბაჟო	7075 ლარი
ახალციხის სახაზინო მომსახ. სექტ. საფ. განყ-ბა	100 ლარი
შპს „საქართველოს ტელეკომი“	5000 ლარი
ავთანდილ და თამუნა კუპეჩიები	500 ლარი
გაბუნია, კუპრავა, გურჩიანი	106 ლარი
მარიან და ნატალია ივანიძეები	20 ლარი
ლია ბერულაშვილი	50 ლარი
სოფიო ბუკიაშვილი ცხინვალიდან	20 ლარი
რ. ა. ჩხეტიანი	20 ლარი
ახალციხის აგრობანკი	2 ლარი
ინდუსტრია-ინვესტი	7 ლ. 15 თ.

კანონმდებლები

ცვლილებები და დამატებები — საგადასახადო კოდექსში

საქართველოს პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე, ქართველ პარლამენტართა წინაშე სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარეს ხოსროვ არუთუნიანის გამოსვლის შემდეგ სესიის დარჩენილი ნაწილი, ფაქტობრივად, მთლიანად დაეთმო „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ II და III მოსმენის დროს მიღებულ ცვლილებებს. მათგან

იხ. მე-2 გვ.

ინფორმაცია

ავიახიდი: საქართველო-შვეიცარია

1 მაისს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა მიიღო შვეიცარიის ავიაკომპანია „სუისეარის“ ვიცეპრეზიდენტი პიტერ ლუტი. საქართველოს საჰაერო დეპარტამენტისა და „სუისეარის“ თანამშრომლობის შესახებ იდეას საფუძველი ჩაეყარა ამა წლის იანვარში დავოსში გამართულ საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე სახელმწიფო მინისტრის ვიზიტის ფარგლებში ამ ავიაკომპანიის ხელმძღვანელობასთან გამართულ შეხვედრაზე. დღეს უკვე ხელმოწერილია დოკუმენტი ორ ქვეყანას შორის საჰაერო მიმოსვლაზე. საქართველოსა და შვეიცარიის ავიაკომპანიები შეთანხმდნენ კვირაში ერთხელ რეგულარულ რეისზე თბილისი-ციურიხი-თბილისის მიმართულებით, რომელსაც შეასრულებს შვეიცარიის ავიაკომპანიის თვითმფრინავები. მიმდინარეობს მოლაპარაკება კვირაში ორი რეისის შესრულებაზე.

3 მაისს „სუისეარის“ თვითმფრინავი პირველად დაეშვება თბილისის აეროპორტში.

— დარწმუნებული ვარ, ორ ქვეყანას შორის საჰაერო მიმოსვლის სფეროში ურთიერთობა საფუძვლად დაედება ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას მრეწველობის, საბანკო, ტურიზმისა და სხვა დარგებში, — განაცხადა პიტერ ლუტმა, — ამის თაობაზე თამამად საუბრის საბაბს იძლევა ის, რომ შვეიცარიის საქმიანი წრეები საქართველოთი არიან დაინტერესებული.

ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა მადლობა გადაუხადა სტუმარს და „სუისეარის“ ხელმძღვანელობას თანამშრომლობისათვის.

ახლა ყველაფერი თურქეთის ხელისუფლებაზეა დამოკიდებული

„იბერიის“ კორესპონდენტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ დიდი ნავთობსადენის მარშრუტის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილია და იგი საქართველოს და თურქეთის ტერიტორიაზე გაივლის თურქეთის ხმელთაშუაზღვისპირა ნავსადგურ ჯეიჰანამდე. ალიევის თქმით, ახლა ყველაფერი დამოკიდებულია თურქეთზე — შეძლებს თუ არა იგი შესაბამისი სახსრების გამოძებნას აღნიშნული ნავთობსადენის ასაშენებლად (საქართველოდან ჯეიჰანამდე ნავთობსადენის აგება 3 მლრდ დოლარი დაჯდება).

ამათ არაფერი არ მოსწონთ

აფხაზეთის ე. წ. რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაგმო მოსკოვის სამიტის გადაწყვეტილება აფხაზეთის თაობაზე, რომელიც სამშვიდობო ძალების დისლოკაციის ადგილების შეცვლას, ქართველ ლტოლვილთა დაბრუნებას, ერთობლივი ადმინისტრაციის შექმნას ითვალისწინებს და აცხადებს, რომ ეს გადაწყვეტილება აფხაზეთს არ ეხება, ვინაიდან მას სამიტში მონაწილეობა არ მიუღია. ამავე დროს, ვლადისლავ არძინბამ შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ რუსეთის ფედერაციამ აფხაზებთან შეუთანხმებლად გაიყვანა გუდაუთაში განლაგებული 345-ე პოლკი.

მანტია მოსამართლისათვის

პირველ მაისს თბილისის ისტორიის მუზეუმის ქარვასლის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა მოსამართლის მანტიის მოდელისა და სასამართლო ხელისუფლების სიმბოლოს — მოსამართლის თანამდებობრივი განსხვავებული ნიშნის საკონკურსოდ წარდგენილი ესკიზების გამოფენა.

პროექტების ავტორები ამ სფეროში არსებულ სათანადო ლიტერატურასა და საილუსტრაციო მასალებზე დაყრდნობით შეეცდებიან შეექმნათ ტანსაცმელი სასამართლოს მოხელეებისათვის. ამ სამოსელში ეროვნული ელემენტები და ორნამენტებია გამოყენებული. როგორც გამოფენის გახსნისას განაცხადა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ მინდია უგრეხელიძემ, რომელიც იმავდროულად კონკურსის თავმჯდომარეცაა, ასეთი ხასიათის კონკურსი საქართველოში პირველად ეწყობა.

5 მაისს გამოცხადდება კონკურსის შედეგები და ცნობილი გახდება, ვის შექმნილ მანტიას მოისხამს ქართველი მოსამართლე.

„კავკასიური ამაზონია-98“

მარმარილოსა და შავ ზღვებში ეწყობა თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალების წვრთნა სახელწოდებით „ზღვის ვარსკვლავი“. ამ წვრთნის ფარგლებში გათვალისწინებულია, აგრეთვე, თურქული ხომალდების ვიზიტები ვარნაში, კონსტანცაში, ოდესასა და ბათუმში, რომელთა დროს დაგეგმილია ბულგარეთის, რუმინეთის, უკრაინისა და საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდებთან ერთობლივი წვრთნაც.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „იბერიამ“ და „ბეამ“.

უკანასკნელ საათს

გუშინ ბაქო-როსტოვის გზაზე სოფელ ასინსკისთან გაიტაცეს რუსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ვალენტინ ვლასოვი. რუსეთის ხელისუფლების სასწრაფო ღონისძიებებმა გატაცებულის გასათავისუფლებლად ჯერჯერობით შედეგი ვერ გამოიღო.

პარალელურად მოსკოვში გაქრა ჩეჩნეთის ყოფილი სოფლის მეურნეობის მინისტრი საიხანოვი.

ტაჯიკეთში კვლავ ისვრიან. ბრძოლები დუშანბეს აღმოსავლეთ ნაწილში თანდათან ცხრება. ხელისუფლება ვარაუდობს, რომ ორ დღეში ამბოხებულებისგან გაწმენდს დედაქალაქის შემოგარენს.

ორ დღეში აქ დაიღუპა ხელისუფლების შეიარაღებული ძალების 20 ჯარისკაცი, დაიჭრა — 80. არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაშიც.

ალჟირში დაიწყეს სროლა. აქ მოხდა პირველი ტერორისტული აქტი. ბანდიტებმა ავტოინსპექციის 4 თანამშრომელი დახოცეს.

ფესტივალი

დიდი მომავლის იმედით

გუშინწინ, საოპერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის „ბრავოს“ საზეიმო გახსნას და გალა-კონცერტს ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია და თბილისის მერი ბადრი შოშიტაიშვილი, რომელთაც ჩვენმა კორესპონდენტმა ზურაბ ოიკაშვილმა სთხოვა აზრის გამოთქმა ფესტივალთან დაკავშირებით.

— ბატონო ზურაბ, რა შთაბეჭდილებას ახდენს თქვენზე საოპერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი „ბრავო“?

— მართლაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა უკვე გამართულმა ღონისძიებებმა. მე დავესწარი „აბესალომ და ეთერს“ და დღესაც დაუვიწყარი გალა-კონცერტი შედგა.

ყველამ ძალიან დიდი მადლობა უნდა ვუთხრათ პაატა ბურჭულაძეს და მის თანამებრძოლებს იმ ბრწყინვალე საჩუქრისათვის, რომელიც მათ გაუკეთეს თავიანთ ქვეყანას, თბილისს.

ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ დღეიდან საქართველოს აქვს თავისი მართლაც მსოფლიო დონის საერთაშორისო საოპერო ფესტივალი.

ის ნაკრები, რომელიც კონცერტის დასასრულს იდგა რიყეზე მოწყობილ სცენაზე, ნამდვილად შეშურდებოდა მსოფლიოს ნებისმიერ საოპერო თეატრს — მეტროპოლიტენ-ოპერას, ლა სკალას, ნებისმიერ სხვას...

ეს დღე ნამდვილად დიდი დღესასწაული იყო ყველასათვის, ვისაც მიეცა შესაძლებლობა ზიარებოდა ამ ბრწყინვალე ხელოვნებას.

— როგორი მომავალი მოელის „ბრავოს“? თუ დაიმკვიდრებს ის ღირსეულ ადგილს ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში?

— დარწმუნებული ვარ, რომ ამ ფესტივალს დიდი მომავალი აქვს...

— ბატონო ბადრი, თქვენ რას გვეტყოდით „ბრავოზე“?

— საქართველოს პრეზიდენტმა ერთხელ ბრძანა და მე დამახსომდა მისი სიტყვები — ჩვენ უპირველესად გადაგვარჩენს კულტურა და ხელოვნებაო. ამიტომ, ჩვენ, ქალაქის მერია, ვცდილობთ მეტი ყურადღება დავუთმოთ ქალაქის კულტურულ ცხოვრებას.

როდესაც შევიტყვეთ ბატონ პაატა ბურჭულაძის ჩანაფიქრი და მან გვთხოვა საორგანიზაციო საქმიანობაში დახმარების გაწევა, საამისოდ ძალისხმევა არ დავიშურეთ...

ვფიქრობ, ეს ფესტივალი, მუსიკისმოყვარულთათვის მართლაც დიდი საჩუქარია, რაც განვლილმა საფესტივალო დღეებმაც უკვე დაადასტურა და რისი ნიმუში დღევანდელი გალა-კონცერტიც გახლავთ. განსაკუთრებით მომხიბლა ბულგარელმა ტენორმა კალუდი კალუდოვმა, რომელმაც ქართულად შეასრულა აბესალომის პარტია.

რაც შეეხება გალა-კონცერტს, ჩვენი ქალაქისთვის ეს მართლაც უპრეცედენტო მოვლენაა...

მიმაჩნია, რომ პრობლემების, სიდუხჭირის, გარკვეული ფენის უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, ასეთი დღესასწაულების სიმრავლე ჩვენი კარგი მომავლის საწინდარია.

— როგორ ფიქრობთ, ეს ფესტივალი იქცევა კიდევ ერთ ქალაქურ, თბილისურ ტრადიციად?

— ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ფესტივალი „ბრავო“ ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს თბილისის და სრულიად საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში.

საერთოდ, ყველა იმ დიდი კულტურული ღონისძიებების სტუმრებიც კი, — ალარაფერს ვამბობთ ორგანიზატორებზე, — რომლებიც თბილისში იმართება, თხოულობენ მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული ამ მოვლენათა ტრადიციულობა.

ამის ნიმუშია „თბილისური გაზაფხულიც“, პიანისტთა საერთაშორისო კონკურსიც, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ გაიმართება. მით უმეტეს, „ბრავოს“ დაკარგვა ხომ წარმოუდგენელია! ეს ხომ მართლაც დიდი ზეიმია!

დღეს

ამინდი

დასავლეთ საქართველოში

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, აღმოსავლეთის ქარი 10-15, ზემო იმერეთისა და კოლხეთის დაბლობზე — 20-25 მეტრი წამში.

ბარში: ღამით +10+15, დღისით +22+27

მთაში: ღამით +6+11; დღისით +18+23

მაღალ მთაში: ღამით 2+7: დღისით +15+20.



აღმოსავლეთ საქართველოში

ღრუბლიანი ამინდი, უმეტეს რაიონებში — წვიმა და ელჭექი, შესაძლებელია სეტყვა, სუსტი ქარი.

ბარში: ღამით +5+10; დღისით +10+15

მთაში: ღამით +2+7; დღისით +6+11

მაღალ მთაში: ღამით +2+3; დღისით +2+7.

თბილისში:

ცვალებადი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით — წვიმა ელჭექით, სუსტი ქარი.

ღამით +8+10; დღისით +13+15.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1998 წლის 2 მაისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

გირვანქა სტერლინგი	1	2.2311 ლარი
გერმანული მარკა	1	0.7449 ლარი
აშშ დოლარი	1	1.3350 ლარი
ფრანგული ფრანკი	1	0.2222 ლარი
თურქული ლირა	10,000	0.0535 ლარი
რუსული რუბლი	1	0.2177 ლარი

„ჩვენი ხალხები დაკავშირებული არიან მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის საუკუნოვანი ტრადიციებით"

(პირველი გვერდიდან)

მაისში, თქვა შემდეგ სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარემ, ჩვენ აღვნიშნავთ ჩვენი პირველი რესპუბლიკების დამოუკიდებლობის გამოცხადების 89 წლისთავს. სიმბოლურია, რომ რვა ათეული წლის წინათ ამ ლამაზ ქალაქში ჩვენმა წინაპრებმა თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ოცნებობდნენ, რათა შეექმნათ აყვავებული და ნათელი მომავალი თავიანთი შთამომავლობისათვის. მაგრამ ისტორიულ მოვლენათა განვითარების გამო მათ ვერ შეძლეს განეხორციელებინათ თავიანთი ოცნება. დღეს კი ჩვენი წინაპრების იდეათა ხორცშესხმა ჩვენს ხელთ არის. უკვე გავაცნობიერეთ, რომ საჭიროა არსებულ სირთულეთა აღმოფხვრა. ახალი სამყაროს რეალიების დამკვიდრების პირობებში ჩვენი კუთვნილი ადგილის მოპოვება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კონფლიქტებმა და ომებმა მოიცვა ჩვენი რეგიონი. საბჭოთა დიქტატურის ხანიდან გადმოგვყვა მრავალი გადაუჭრელი პრობლემა, რომლებიც წლების განმავლობაში უყურადღებოდ რჩებოდა.

მხოლოდ მშვიდობის, დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა პატივისცემის ღირებულებებზე დამყარებული საზოგადოების ჩამოყალიბებას, ურთიერთნდობის ატმოსფეროს შექმნას შეუძლია უზრუნველყოს ჩვენი ხალხების ღირსეული და სტაბილური განვითარება. ეს არის გრძელი გზა, რომლის დაძლევაც მოითხოვს დიდ ძალისხმევასა და პოლიტიკურ ნებას. ასეთი განვითარება შეუძლებელია რეგიონული უსაფრთხოების სისტემის გარეშე. ამას საფუძვლად კი უნდა დაედოს ჩვენი რეგიონის ქვეყნების ინტერესთა გაწონასწორების უზრუნველყოფა. ყოველივე ეს გულისხმობს ყველა ქვეყნის მიერ პასუხსაგებ პოლიტიკურ მიდგომას. აშკარაა, რომ შეუძლებელია რომელიმე ხალხის განვითარება იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე დაემუქრება მისი უშუალო მეზობლების სტაბილური განვითარების შესაძლებლობათა პერსპექტივას. გულწრფელად მივესალმებით მეგობარი ქართველი ხალხის მიღწევებსა და წარმატებებს. კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ დესტაბილიზაცია საქართველოში ისევე სახიფათოა ჩვენთვის და რეგიონის ნებისმიერი ქვეყნისათვის, როგორც თვით საქართველოსათვის.

ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ თანამშრომლობას საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე, მოგეხსენებათ, რომ სომხეთი შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი ქვეყანაა. მას აქვს სპეციალური სტუმრის სტატუსი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში. ჩვენი დელეგაციები აქტიურად მონაწილეობენ გაეროსა და მის დაქვემდებარებულ სტრუქტურებში, საპარლამენტთაშორისო გაერთიანებაში, თანამეგობრობის ქვეყნების საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში, მართლმადიდებელთა ევროპის საპარლამენტო ასამბლეაში და სხვ.

ჩვენ მივესალმებით მსგავს სტრუქტურებში თანამშრომლობის სხვადასხვა ტემპების იდეას. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ეს ქვეყნები არ უნდა გადაიქცნენ ერთი ცენტრის მქონე, მით უმეტეს, ზეეროვნულ გაერთიანებად. ამას ადასტურებს ევროგაერთიანების გამოცდილება. ამგვარი სტრუქტურების გაძლიერებას ხელს უწყობს მათ ფარგლებში ორმხრივი, სამმხრივი და სხვა ტიპის თანამშრომლობის ჩამოყალიბება, რომლებიც არათუ მიმართულია რომელიმე მესამე ქვეყნის და მისი ინტერესების წინააღმდეგ, არამედ ხელს უწყობს რეგიონული ინტეგრაციის პროცესებს.

იმის გამო, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების უდიდესი ნაწილის გამაერთიანებელი სტრუქტურა თანამეგობრობის ქვეყნების თანამშრომლობაა, და სულ ორიოდე დღის წინათ დასრულდა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა სამიტი, უწინარესად მსურს შევეხო ამ სტრუქტურის განვითარების პერსპექტივებს. დღეს სრულიად აშკარაა, რომ მრავალი ხელისშემშლელი ფაქტორი არსებობს. წევრი ქვეყნების თანაარსებობის მანძილზე არსებული სირთულეები უფლებას არ გვაძლევს განვთავისუფლდეთ მთელი რიგი პრობლემებისაგან. მაგრამ დღეს უკვე ნათლად ჩანს პრაქტიკული მექანიზმები, რომელთაც შეუძლიათ თანამეგობრობის ქვეყნები აიყვანონ თვისებრივად ახალ საფეხურზე.

ამის ნათელი მაგალითია თანამეგობრობის ქვეყნების საპარლამენტთაშორისო ასამბლეა. თანამეგობრობის ყველა წევრი-სახელმწიფო დღეს სახელმწიფო მშენებლობის ერთნაირ ეტაპზე იმყოფება. ისინი აგვარებენ ამ გზაზე წამოჭრილ იდენტურ პრობლემებს. თუკი საპარლამენტთაშორისო ასამბლეა შეძლებს გააფართოოს თავისი ფუნქციების ფარგლები, მისი პოტენციალი გაიზრდება, რომლის სწორი გამოყენებაც ხელსაყრელი იქნება თითოეული ჩვენგანისათვის.

უახლოეს მომავალში, თქვა შემდეგ სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარემ, შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკურმა თანამშრომლობამ სერიოზული ნაბიჯები უნდა გადადგას წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური კავშირების ჩამოყალიბებისათვის. განსაკუთრებით ეს ეხება სატრანზიტო გზების დაპროექტებას, ურთიერთკომუნიკაციებს და ყველა წევრ-სახელმწიფოსათვის მეტად ხელსაყრელი სისტემის შექმნას.

ჩვენი მოქმედება მთლიანად განპირობებული უნდა იყოს დროის კარნახით. ჩვენი ქვეყნები საერთაშორისო საზოგადოებრიობის შემადგენელი ნაწილია. ამიტომ უნდა ვისწავლოთ ცხოვრება ამ საზოგადოების წესების მიხედვით. ევროპული ორგანიზაციებისაკენ გლობალიზაციის პირობებში რეგიონის ქვეყნების მისწრაფების გათვალისწინებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ერთობლივი ნაბიჯები ევროკავშირში გასაწევრიანებლად. ევროპასთან კავშირი ჩვენს ქვეყნებში დემოკრატიის ტრადიციების განმტკიცების, ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის გამოყენების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამშრომლობას ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში, ხოლო ჩვენი პარლამენტარებისათვის — ამ საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში.

ადამიანისათვის უფლებათა დაცვა და თავისუფლება უზენაესი მიზანია. 21-ე საუკუნეში უნდა შევიდეთ ამ სფეროში მკაფიოდ ჩამოყალიბებული სისტემებით. დროის მოკლე მონაკვეთში თავიდან უნდა შევფასდეს ურთიერთკავშირი ადამიანი-საზოგადოება-სახელმწიფო და გავაცნობიეროთ ის გარემოება, რომ მომავალი კარნახობს ადამიანს თვითმართვის, თვითგამორკვევის შესაძლო უმაღლესი საფეხურის უზრუნველყოფის აუცილებლობას.

კონფლიქტების და მრავალი უბედურების შედეგად რეგიონში შექმნილი რთული ვითარების გათვალისწინებით, ჩვენთვის ცხოვრებისეულ მნიშვნელობას იძენს სტაბილური განვითარების, განათლების თანაბარ შესაძლებლობათა, ბუნების დაცვის და სხვა მსგავსი ჰუმანიტარული პროგრამები, რომელთაც გაიარეს ფართო შემოწმება ბევრ ევროპულ სახელმწიფოში. რამდენადაც დროის იდეები ახალი და ხშირად უჩვეულოა ჩვენთვის, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ყოველივე ეს დროით არის ნაკარნახევი და მისი გაუთავისებლობა ნიშნავს განვითარების პროცესის გაჩერებას.

მეორე მხრივ, ამ სტრუქტურებში ნაყოფიერად ჩაბმის და თანამშრომლობისათვის აუცილებელია გადაიჭრას მრავალი საკითხი, რომელიც წარმოიშვა ჩვენი სახელმწიფოების წინაშე: კონფლიქტების მოგვარება, ლტოლვილთა პრობლემების გადაჭრა, ომის შედეგად დაზარალებული რაიონების აღდგენა.

სომხეთის პოზიცია ამ საკითხში თქვენთვის კარგად არის ცნობილი. კონფლიქტები მშვიდობიანი გზებით უნდა მოგვარდეს. ამ პროცესს ალტერნატივა არა აქვს. ყოველი კონფლიქტის მოსაგვარებლად აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი წარმოშობის მიზეზები, შექმნილი რეალობა. ხოლო გადაწყვეტილებამ უნდა უზრუნველყოს ისეთი პირობები, რომ გამოირიცხოს კონფლიქტის განახლების შესაძლებლობა.

ჩვენ საერთაშორისო სამართლის ნორმების ერთგული ვრჩებით. მათი შესრულების უზრუნველყოფაც ვიკისრეთ და შევუერთდით საერთაშორისო ხელშეკრულებებს. ცხადია, რომ საერთაშორისო სამართალი თვითმიზანი არ არის, არამედ საშუალებაა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ერთობლივი განვითარების უზრუნველსაყოფად.

თავისი სიტყვის დასასრულს ბატონმა ხოსროვ არუთუნიანმა განაცხადა: ის მძიმე სინამდვილე, რომელიც მოჰყვა რევოლუციური რომანტიზმის პერიოდს, ყველა ჩვენგანისგან მოითხოვს მეტად წინდახედულ ნაბიჯებს. ძალისხმევა არ უნდა დავიშუროთ, რათა რთული სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მიღმა არ დაიკარგოს ჩვენი ხალხებისათვის დამახასიათებელი ეროვნული სახე. ეს მნიშვნელოვანია შიდა პოლიტიკურ ასპარეზზე და დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო ღირებულია სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობაში.

ჩვენი ხალხები დაკავშირებული არიან მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის საუკუნოვანი ტრადიციებით. ურთიერთგადაჯაჭვულია საქართველოს და სომხეთის ისტორია, მეცნიერება, კულტურა. ჩვენს ორ ქრისტიან ხალხს აქვს ღირებულებათა იდენტური სისტემა, ვიზიარებთ მსგავს ზნეობრივ პრინციპებს. ისტორიამ მოგვანიჭა ერთმანეთის წარმატებებით სახარულის და სირთულეების გაზიარების უნარი, მუდამ მხარდამხარ ვიბრძოდით საერთო მტრის წინააღმდეგ, ერთად გამოვაცხადეთ ჩვენი დამოუკიდებლობაც და ერთადვე ავაშენებთ მომავალს, რაც ჩვენი წარმატებათა საწინდარი გახდება.

საქინფორმი.

გუშინ

„ვეთანხმებით ყველა პრინციპს, რომელსაც მშვიდობიანი კავკასიის ინიციატივა გულისხმობს"

(პირველი გვერდიდან)

ოფიციალური ვიზიტი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრით დაიწყო. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა სტუმრებს ჩამობრძანებისათვის. მისი თქმით, ჩვენ ბევრი რამ გვაკავშირებს. ამდენად, ამ ვიზიტს საპარლამენტთაშორისო ურთიერთობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ბატონმა ზურაბ ჟვანიამ ხაზი გაუსვა სომხეთში პოლიტიკური კრიზისის კონსტიტუციის ფარგლებში გადაწყვეტას. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პრიორიტეტები თანამშრომლობაში გამოკვეთილია და მათს განსახორციელებლად ორივე ქვეყნის პარლამენტს ბევრის გაკეთება მართებს. უპირველესად, ეს სამართლებრივი ბაზის შექმნას ეხება, რათა ეკონომიკური ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის კიდევ უფრო მაღალ დონეზე განვითარდეს. ისაუბრეს ტრანსპორტის, ეკონომიკის, ვაჭრობის, კულტურის სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავებაზე, აგრეთვე, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის [illegible] „ჩვენს საპარლამენტო ურთიერთობებს უკვე ისტორია აქვს", — განაცხადა ბატონმა ხოსროვ არუთუნიანმა. ახლა, მთავარია მას კონკრეტიზაცია და დინამიკა მივცეთ. ეს ეხება საკანონმდებლო ბაზების ჰარმონიზაციას, განსაკუთრებით ეკონომიკის სფეროში. ურთიერთობებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მისივე თქმით, ორი ქვეყნის პარლამენტის ფუნქციაა გარკვეული ზემოქმედება მოახდინოს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. უნდა ჩამოყალიბდეს რეგიონული უსაფრთხოების სისტემა. „ჩვენ ვეთანხმებით ყველა პრინციპს, რომელსაც მშვიდობიანი კავკასიის ინიციატივა გულისხმობს", — განაცხადა სტუმარმა. როგორც მანვე აღნიშნა, არასტაბილური სომხეთი, არასტაბილური რეგიონია. ტრადიციულად, შეხვედრის შემდეგ, სტუმარმა საპატიო სტუმართა წიგნში ჩანაწერი გააკეთა.

საქართველო-სომხეთს შორის დადებულ ორმოცდასამ შეთანხმებას დღეს კიდევ ერთი შეემატა: შეთანხმება საქართველოს პარლამენტისა და სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული კრების თანამშრომლობის შესახებ. დოკუმენტზე ხელმოწერის ცერემონიამდე სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარე პარლამენტის სხდომათა დარბაზში სიტყვით წარსდგა. **(გამოსვლა გაზეთის ამავე ნომერში ქვეყნდება).**

პარლამენტის სხდომაზე გამოსვლის შემდეგ, ბატონებმა ზურაბ ჟვანიამ და ხოსროვ არუთუნიანმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. ნავთობსა და ევრაზიულ დერეფანთან დაკავშირებით ზურაბ ჟვანიამ განაცხადა: „ამ საერთაშორისო პროექტის განხორციელებაში თანაბარია რეგიონის ყველა სახელმწიფოთა როლი. მით უფრო, რომ ლაპარაკია არა მხოლოდ აღმოსავლეთ-დასავლეთის მარშრუტზე, არამედ ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებაზეც, სადაც გადამწყვეტი დატვირთვა აქვს სომხეთს, ამდენად, უსაფუძვლოა საქართველოს კრიტიკა საკუთარი გეოპოლიტიკური უპირატესობის გამოყენების სურვილისათვის", — თქვა პარლამენტის თავმჯდომარემ.

* * *

გუშინვე სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი შეხვდა სომხეთის ეროვნული კრების დელეგაციას ეროვნული კრების თავმჯდომარის ხოსროვ არუთუნიანის ხელმძღვანელობით.

შეხვედრაზე კმაყოფილებით აღინიშნა, რომ [illegible] ზღვრავს საერთო გეოპოლიტიკური ფონი, ხელს უწყობს ორ ქვეყანას შორის არსებული საკანონმდებლო ბაზა. ხაზგასმით ითქვა, რომ განსაკუთრებულ აღმავლობას ეკონომიკურ ურთიერთობაში ეხმარება შეფასებისა და მიდგომების თანხვედრა ორ მეზობელ ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიმართ.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, დადებული ხელშეკრულებების ეფექტიანი რეალიზაციის, აგრეთვე, სამინისტროების კოორდინირებული მუშაობის მიზნით, საჭიროა ერთობლივი სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომისიის შექმნა. კანონმდებლობის მაქსიმალური დაახლოება, თანამშრომლობის ახალი მექანიზმების შემუშავება. გამოითქვა სურვილი და მზადყოფნა ორი ქვეყნის არა მარტო პოლიტიკური, არამედ საქმიანი წრეებისა და სამეცნიერო პოტენციალის ამოქმედების თაობაზე. გამოითქვა მოსაზრებები ურთიერთხელსაყრელი ერთობლივი პროექტების შექმნის შესახებ, რომელთა საშუალებითაც განხორციელდება ორი ქვეყნის ბაზრის სრული ათვისება.

სომხეთის დელეგაციამ, აგრეთვე, სურვილი გამოთქვა საქართველოს მხარემ განიხილოს მათი მონაწილეობის შესაძლებლობა სატრანსპორტო ალიანსში, რაც საქართველოს ნავსადგურების საშუალებით მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სომხეთის დაკავშირებას და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებას ალიანსის მონაწილე ქვეყნებთან.

სახელმწიფო მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ 29 აპრილს თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების სამიტის ფარგლებში შემდგარი საქართველოსა და სომხეთის პრეზიდენტების კონსტრუქციული და მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა და დღევანდელი ვიზიტი ახალ იმპულსს მისცემს ორ მეგობარ ქვეყანას შორის მრავალმხრივი ურთიერთობის გაღრმავებას.

* * *

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიიღო საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი სომხეთის ეროვნული კრების დელეგაცია მისი თავმჯდომარის ხოსროვ არუთუნიანის ხელმძღვანელობით. შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოსა და სომხეთს შორის ისტორიულად არსებული კეთილმეზობლური ურთიერთობის [illegible] მადიანურ სამყაროში. ამ ორ ქვეყანას ერთნაირი ბედისწერა ჰქონდა და ექნება მომავალშიც, ამიტომ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ უშიშროების მექანიზმის შესაქმნელად, რომელიც დაიცავს ჩვენს პატარა სახელმწიფოებს გარშემო არსებული დიდი ქვეყნების აგრესიისაგან", — ბრძანა კათალიკოს-პატრიარქმა.

„ჩვენი ქვეყნების ურთიერთობას მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა როდი აქვს. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა კავკასიის რეგიონში დამყარდეს მშვიდობა და სტაბილურობა. და ჩვენი ეკლესიების იერარქთა მოღვაწეობა დიდად უწყობს ხელს მშვიდობის დამყარების პროცესის განვითარებას კავკასიაში", — განაცხადა სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარემ.

დასასრულ, შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთს გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები.

ვიზიტი დღესაც გაგრძელდება.

საქინფორმი.

სურათზე: სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარის ხოსროვ არუთუნიანის და საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ნიკო ლეკიშვილის შეხვედრა.

მალხაზ მაჭავარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კანონმდებლობა

ცვლილებები და დამატებები — საგადასახადო კოდექსში

(პირველი გვერდიდან)

უმთავრესია 52.5 მუხლის მე-15, მე-16 და მე-17 ნაწილები, რომელთა მიხედვით, 2000 წლის 1 იანვრამდე საქართველოში ხორბლის გადამუშავებით წარმოებული ფქვილისა (საცალო წესით მიწოდების გარდა) და პურის მიწოდებისას, დამატებითი ღირებულების განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ბრუნვის 5 პროცენტით. ფინანსთა მინისტრის წინადადებით ამ ცვლილებას და ამავე კოდექსის იგივე მუხლის მე-17 ნაწილს მომავალ სასესიო კვირას განიხილავენ. ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" წინადადებით ამოიღეს ცვლილებების 58.3 მეორე ნაწილის „გ" პუნქტი, რომელიც შეეხება იმპორტული მსუბუქი ავტომობილების მიწოდების დაბეგვრას დამატებითი ღირებულების გადასახადით 5 პროცენტის ოდენობით. 52.6 პუნქტის მიხედვით, 277 მუხლს დაემატა მე-19 ნაწილი: 1999 წლის 1 იანვრამდე იმპორტირებულ ალკოჰოლურ სასმელებზე საბაჟო გადასახადის, აქციზისა და დამატებითი ღირებულების ნაცვლად, შემოღებული იქნება კომბინირებული ფიქსირებული გადასახადი. 39-ე პუნქტით განისაზღვრა საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსავლის და ზენორმატიული დატვირთვისათვის გადასახადის გადამხდელი პირის ვინაობა და მე-40 პუნქტის მიხედვით — გადასახადებით დაბეგვრის ობიექტი. მინისტრის წინადადებით, დამოუკიდებელი პუნქტები დაეთმობა ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახეობებზე გადასახადის განაკვეთებს. ცალკე პუნქტი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების შემოსვლისათვის გადასახადის აკრეფას საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მიერ, ხოლო ზენორმატიული დატვირთვისათვის — საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ გამოთქვა შენიშვნა 25-ე პუნქტთან დაკავშირებით, რომელშიც მოყვანილია ცხრილი ადმინისტრაციული ერთეულის ფარგლებს გარეთ არსებული სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწებისათვის, მისი განმარტებით, მაღალმთიანი რაიონების, კერძოდ, სოფელ ნინოწმინდას ტიპის დასახლებების მიწის დაბეგვრა და გადასახადი განსხვავებული უნდა იყოს დაბლობის მიწის გადასახადისაგან. ამ ცვლილებებს ფინანსთა მინისტრის წინადადებით, შემდეგ სასესიო კვირას განიხილავენ. დეპუტატებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია კოდექსის 204-ე მუხლმა, რომელიც ბენზინის აქციზის 60 პროცენტით გაზრდას ითვალისწინებს. ფრაქცია „სახალხო პარტიის" წინადადებით, ამოგებული თანხა ბიუჯეტის სოციალურ ხარჯვით ნაწილში უნდა გადანაწილდეს. როგორც უმრავლესობის, ასევე საპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან მსჯელობისას გამოიკვეთა მოსაზრება, რომ არსებობს უარყოფითი ტენდენცია, ანუ იმის საშიშროება, რომ ბენზინის გაძვირების შედეგად ამოღებულმა თანხამ სახელმწიფო ბიუჯეტამდე ვერ მიაღწიოს და ისევ მსხვილ ბიზნესმენთა ჯიბე შეავსოს. დეპუტატთა ერთი ჯგუფის აზრით, საბიუჯეტო რეზერვების ამოქმედებას ვერც წვრილ მეწარმეთა დაბეგვრა შეუწყობს ხელს. ფინანსთა მინისტრის წინადადებით, 204-ე მუხლი, ჯერჯერობით, კვლავ არსებული ფორმულირებით დარჩა. პარლამენტარებმა მოითხოვეს, სერიოზულად გადაისინჯოს საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მუშაობა სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების დროულად შეტანასთან დაკავშირებით. საბოლოოდ, დეპუტატებმა კენჭი უყარეს კიდევ რამდენიმე მუხლის შეცვლასა და ამოღებას და საბოლოოდ კანონპროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ", III მოსმენით მიიღეს.

ამით საქართველოს პარლამენტის 28 აპრილი — 1 მაისის პლენარულმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.

პარლამენტის პრესსამსახური.

„უბატონოდ ხმას არავინ გასცემს"

საქართველოს ახალმა თავდაცვის მინისტრმა მისი წინამორბედისაგან მემკვიდრეობით 29-კაციანი დაცვა და 4 ესკორტის მანქანა მიიღო. როგორც „გეას" კორესპონდენტს თავდაცვის სამინისტროში აცნობეს, გენერალ-მაიორი დავით თევზაძე დაცვას 5 კაცამდე ამცირებს, ესკორტს — ერთ მანქანამდე.

„ჩვენი მინისტრი იმდენად კარგი პიროვნებაა, ქუჩაში ფეხითაც რომ იაროს, უბატონოდ ხმას არავინ გასცემს". — უთხრეს „გეას" თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა.

ამაზე ჩვენი გაზეთი წერდა

გუშინ თბილისის მერიის წარმომადგენლობა გლდანის არასრულწლოვანთა გამანაწილებელს ესტუმრა. ვიცეპრემიერ გიგი წერეთლის განცხადებით, არასრულწლოვანთა გამანაწილებლის სტრუქტურა მთლიანად შესაცვლელია. ჩასატარებელია სერიოზული სარემონტო სამუშაოები. მისი თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, რომლის დაქვემდებარებაშიც იმყოფება არასრულწლოვანთა გამანაწილებელი, და განათლების სამინისტროსთან ერთად, უნდა შემუშავდეს პროექტი, რათა იქ მყოფ ბავშვებს უკეთესი პირობები შეექმნათ.

თანხმობის აუცილებლობა

ვახტანგ ბოჭორიშვილმა მხატვარ ირაკლი ოჩიაურის სახელოსნოში გამართულ პრესკონფერენციის თემას „საქართველოს ხსნის რეალური გეგმა" უწოდა. მან აღნიშნა, რომ „აგრესიული ნოტები ჩაცხრა". პოზიციაც და ოპოზიციაც შერიგებაზე ლაპარაკობენ. კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას არ გამორიცხავს. მათ საქართველოს მოსახლეობის, ყველა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიმართვა წარადგინეს პრეზიდენტის, პარლამენტის მიმართ — გამოიჩინონ კეთილი ნება და საქართველოს გადასარჩენად, ეროვნული თანხმობის მისაღწევად დიალოგისაკენ ნაბიჯი გადადგან.

გამოფენაზე კიშინიოვში

სპეციალიზებული საერთაშორისო გამოფენა „მოლდოვექსპო-98" გაიმართება 6-10 მაისს კიშინიოვში. აქ წარმოდგენილი იქნება სასურსათო პროდუქტები, სასმელები, პროდუქციის ტრანსპორტირებისა და შენახვის საშუალებები. გამოფენაში მონაწილეობა საქართველოს მეწარმეებს მისცემს შესაძლებლობას თავიანთი ნაწარმი გააცნონ ფართო, საქმიან აუდიტორიას, დადონ ხელსაყრელი ხელშეკრულებები საჭირო პარტნიორებთან. ექსპოზიცია მოაწყვეს მოლდოვის საერთაშორისო საგამოფენო ცენტრმა, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

დევნილთა საყურადღებოდ

დევნილთა და განსახლების სამინისტრომ გაავრცელა განცხადება თბილისში მცხოვრებ დევნილთა საყურადღებოდ. მათთვის განკუთვნილი ყოველთვიური ფულადი დახმარება, ნაცვლად ქართული ბანკის ფილიალებისა, გაიცემა საფოსტო ბანკის განყოფილებებში შემდეგ მისამართებზე:

საბურთალოს, ვაკის რაიონი — ბახტრიონის ქ. №28.
დიდი დიღომი — პეტრიწის ქ. №8;
ნაძალადევის რაიონი — ცოტნე დადიანის №315;
გლდანის რაიონი — სავაჭრო ცენტრი მეტრო „ახმეტელთან";
დიდუბე, ჩუღურეთის რაიონი — წერეთლის გამზირი №95;
მთაწმინდა, კრწანისი — გორგასლის ქ. №4;
სამგორი, ისნის რაიონი — ქინძმარაულის №1;
წყნეთი — რუსთაველის №1.

ფასები გაიზარდა

მიმდინარე კვირაში ფასები გაიზარდა 0,13 პროცენტით, მათ შორის, სურსათზე — 0,34 პროცენტით, მომსახურებაზე და არასასურსათო საქონელზე ფასები უცვლელი იყო.

წინა კვირასთან შედარებით ფასები გაიზარდა ძროხის ხორცზე (7,1 პროცენტით); შემცირდა პამიდორზე (11,1 პროცენტით) და მარგარინზე (4,8 პროცენტით).

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და „გეამ".

რეგიონი

ქართველები და ოსები

ჩატეხილ ხიდებს ვამრთელებთ

მდინარე ფაწაზე ახალი ხიდი აშენდა

შიდა ქართლის გუბერნატორის მანქანა ახალთახალ, ქათქათა ხიდზე შედგა. მანქანიდან გადმოვედით. ჩვენ პირველი ვიყავით, ვინც გორის საგზაო სამმართველოს კოლექტივის ნაღვაწი — ხიდი მდინარე ფაწაზე — დავაჭაშნიკეთ.

დილაუთენია იყო და მთებში თოვლის დნობით მეგულიანებული ფაწა ღრიალით მორბოდა ხეობაში. სტუმრები ჯერ არ ჩანდნენ. საგზაო სამმართველოს უფროსს გენო აბალაკს გამოველაპარაკე.

— ამჟამად გორი-ცხინვალი-ონის საავტომობილო გზის 56-ე კილომეტრზე ვიმყოფებით, — მითხრა მან. — ფაწაზე ხიდის მშენებლობა შარშან, ნოემბერში დავიწყეთ, ტენდერში გამარჯვების შემდეგ. ძველი ხიდი, რომელიც აქედან ქვემოთ, ორიოდ კილომეტრზე იყო, 91-ში მიწისძვრამ დაანგრია. შემდეგ სახელდახელო, დროებითი ხიდი გამართეს და დღემდე ამ ხიდით სარგებლობენ გამვლელები და გამომვლელები.

ახალი ხიდი გაეროს განვითარების პროგრამის მიხედვით აშენდა. დაფინანსებითაც გაეროს განვითარების ფონდმა დააფინანსა. ორმალიანი ხიდის სიგრძე 64 მეტრია, სიგანე — 8.

— მთელი ზამთარი ვმუშაობდით, — ამბობს სამმართველოს მთავარი ინჟინერი შოთა აბულაძე, — ჩვენი სამმართველოს მძლავრი საგზაო-სამშენებლო ტექნიკა ფაწას ხეობაში „ჩავასახლეთ". მუშებმა, მებულდოზერეებმა ვახტანგ სეფისკვერაძემ და ვალოდია ტუაევმა, მეექსკავატორეებმა მიშა ჯომარიძემ და ვანია ბაგაევმა, ამწეს მემანქანემ ხვიჩა ირემაძემ და სხვებმა პატიოსანი, თავდადებული შრომით კოლექტივიც ასახელეს და მხარეც: ხეობაში, მთის მდინარეზე კოხტა, დიდებული ხიდი წამოიმართა.

ვანია ბაგაევი, მეექსკავატორე, ხუთი შვილის მამა: საქართველოში დღეს ვის ულხინს, რომ ცხინვალელ მშენებელ მუშას ულხინდეს. და ამის მიუხედავად, ვგრძნობ, რომ აქეთაც სწორდება საქმე და იქითაც. ეს ერთობლივად აშენებული ხიდიც ამის დასტურია. მეგობრულ კოლექტივში მომიწია მუშაობამ, სადაც ყველა თავისი საქმის ნამდვილი ოსტატია. გამომუშავებაც მაღალი იყო — 200-220 ლარი თვეში.

— კარგია, რომ ჩატეხილ ხიდებს ოსებიც და ქართველებიც ერთნაირი მონდომებით ვაშენებთ, — აღნიშნა საუბარში შიდა ქართლის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა ირაკლი ბოჭორიძემ, — ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საქმე თავად ქართველებისა და ოსების ხელშია და არც ჩვენ და არც ჩვენი ცხინვალელი მეგობრები ძალ-ღონეს არ ვიშურებთ, რომ წარსულის ტკივილები საბოლოოდ ჩაცხრეს და დაამდეს.

ხიდის თავს მანქანების კოლონა მოადგა. ჩამოვიდნენ სტუმრები თბილისიდან, გორიდან, ცხინვალიდან. აქ არიან გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტები **ელიზაბეტ ფონგი და ჰენრი კოლსტრაპი**, გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში **მარგო ბარსოტი**, სხვა ოფიციალური პირები.

ყველას მოსწონს მშენებელთა ნახელავი — ამ ხიდზე სიკეთემ, ერთობამ, მეგობრობამ უნდა იაროს.

გზა მშვიდობისა — ონისკენ, გზა მშვიდობისა — გორისკენ!

* * *

ამაღლებული განწყობილებით ვბრუნდებით შინ. ქართულ-ოსური მეგობრობის სახლის მშენებლობა კიდევ ერთი აგურით ამაღლდა.

ლიახვის ხეობაში გამოვიარეთ. მზით გაჩახჩახებულიყო ბაღები და მინდვრები. გლეხს ახლა სახლში რა გააჩერებს. მთელი ჯალაბით გამოსულა გარეთ. ხნავს, თესავს, ფარცხავს, ხილის ბაღებში დაფუსფუსებს.

„რომელნი ველნი ირწყვიან წყლითა ლიახვითა, მოსავალი მისი არს ქართლისად უმჯობესი, შემრგო, გემოიანი და სპეტაკი" — ბრძანებს ვახუშტი.

გაზაფხულიც „სპეტაკი და უმჯობესი" დაბრძანდება ქართლში.

გურამ ვაშაკიძე,
„სრ" საკ. კორ.

სურათებზე: სტუმრები და მასპინძლები; ახალი ხიდი მდინარე ფაწაზე; უკანასკნელი სამუშაოები ხიდის გახსნის წინ.

ამირან ადამაშვილის ფოტო.

პრესკონფერენცია

თანამეგობრობას სერიოზული ცვლილებები ელის

მიზანშეწონილია ევროკავშირის გამოცდილების გაზიარება

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აღმასრულებელი მდივნის პოსტზე ბორის ბერეზოვსკის დანიშვნა, სავსებით ცხადია, მთავარ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც მოწმობს, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების პოლიტიკურ განწყობილებებსა და იმ მიდგომაში, რომელსაც იჩენენ ამ საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაციის არსებობის ახალ ეტაპზე მისი საქმიანობის თავისებურებებისადმი. ამ თანამდებობაზე იმ ადამიანის დანიშვნა, რომელმაც პოსტ-საბჭოურ სივრცეში ერთ-ერთმა პირველმა დაიპყრო თანამედროვე მეწარმეობის მწვერვალი, მიგვანიშნებს, რომ ახალი დამაიმედებელი ტენდენციები ისახება. ეს ტენდენციები უკავშირდება იმას, რომ უაღრესად საჭირო ხდება თანამეგობრობის სახელმწიფოთა თანამშრომლობის პროცესი აქტიურად გადავიდეს მყარ და საიმედო ეკონომიკურ საფუძველზე, რაც ხელს შეუწყობს ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების ინტერესების დაახლოებას, მათი ურთიერთმოქმედების გაძლიერებას, გაიყვანს მათ კონფლიქტური სიტუაციების გადაუჭრელობით განპირობებული წინააღმდეგობების, და პირველ ყოვლისა, პოლიტიკური დაპირისპირების ლიკვიდაციის გზაზე. ყოველ შემთხვევაში, ამიერიდან ამაზე ამყარებენ დიდ იმედებს. შემთხვევით არ განუცხადებია ედუარდ შევარდნაძეს პრესკონფერენციაზე, რომ, თუ კიშინიოვის სამიტის შემდეგ მას „დათრგუნული განწყობილება ჰქონდა“,-ახლა ენთუზიაზმის ახალ შემოტევას გრძნობს. რა თქმა უნდა, პრეზიდენტის ასეთი შეგრძნება მარტო იმ პერსპექტივებით როდია გამოწვეული, რომლებიც დაკავშირებულია თანამეგობრობის აღმასრულებელ სტრუქტურებში ახალი ადამიანის მოსვლით, რადგან, უდავოა, საქართველოსათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ ახალ გადაწყვეტილებასაც, რომელიც მიიღეს წინა დღეს პრეზიდენტების გამოკითხვის გზით. მაგრამ, ალბათ, არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ „ბერეზოვსკის ფაქტორი“, რომელსაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური დანიშნულება და დასაბუთება აქვს, მაქსიმალური დიპლომატიური ძალისხმევით იმოქმედებს იმ მიზნით, რომ კონფლიქტები მოწესრიგდეს და გაზრდილი დაძაბულობის ზონები მშვიდობიანი და ნაყოფიერი თანამშრომლობის ტერიტორიად გადაიქცეს.

ამიტომ ბუნებრივია, რომ საქართველოს პრეზიდენტისათვის მიცემული ერთ-ერთი პირველი კითხვა ეხებოდა ბორის ბერეზოვსკის პოლიტიკურ პოტენციალს. ედუარდ შევარდნაძემ შეახსენა აუდიტორიას, რომ მას არაერთხელ ჰქონია კონტაქტები ბერეზოვსკისთან, რომელთა შედეგად სავსებით კონკრეტული შთაბეჭდილება ჩამოუყალიბდა. ბერეზოვსკი ორჯერ ჩამოვიდა თბილისში, იყო შეხვედრები მოსკოვში. „ვფიქრობ, რომ მიღებული გადაწყვეტილებით ჩვენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით ახალი თანამეგობრობის შექმნის გზაზე, რადგან ბორის ბერეზოვსკის შესწევს უნარი იმოქმედოს კონსტრუქციულად აღმშენებლობითი მიზნებისათვის“, – ლაკონურად გამოთქვა თავისი თვალსაზრისი პრეზიდენტმა. უპასუხა რა კითხვას იმის შესახებ, თუ როგორ შეფასდა სამიტზე თანამეგობრობის ახლა უკვე ყოფილი აღმასრულებელი მდივნის ივანე კოროტჩენიას საქმიანობა, ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ბატონი კოროტჩენია ცნობილია როგორც პატიოსანი და წესიერი ადამიანი, მის მიმართ სიმპათიურად იყო განწყობილი თანამეგობრობის ქვეყნების ყველა პრეზიდენტი, რომლებმაც გულითადი მადლობა გადაუხადეს მას მოსკოვის შეხვედრის დროს. პრეზიდენტმა გააცნო დამსწრეთ ბორის ელცინის წინადადება იმის თაობაზე, რომ ივანე კოროტჩენიას გადაუხადონ მადლობა და მიანიჭონ საპატიო ჯილდო – ორდენი.

შემდეგ ჟურნალისტთა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა საქართველოში რუსეთის სამხედრო ყოფნის თემა, სამხედრო ბაზების შემდგომი ბედი. პრეზიდენტმა განმარტა, რომ რუსეთის ბაზების არსებობა და ადგილსამყოფელი ეფუძნება რუსეთ-საქართველოს შეთანხმებისა და მთელი რიგი ხელშეკრულებების შესაბამის დებულებებს. ედუარდ შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „სხვა საქმეა, როგორ სრულდება და როგორ შესრულდება ეს ხელშეკრულებები“. სხვაგვარად თუ ვიტყვით, ცნობილია, რომ საქართველომ გაითვალისწინა რუსეთის მხარის, როგორც სტრატეგიული პარტნიორისა და მოკავშირის ინტერესები და თანხმობა განაცხადა ტერიტორიები და საცხოვრებელი ობიექტები ბაზებისათვის გადაეცა დროებით სარგებლობაში, მაგრამ იგი ამასთანავე იმედოვნებს, რომ რუსეთი შეასრულებს მხარეების მიერ ხელმოწერილ დოკუმენტებში დათქმულ ორ უმნიშვნელოვანეს პირობას. საქმე ეხება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში სრულ მხარდაჭერას და საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობაში დახმარებას. „ამასთან დაკავშირებით კვლავ არის პრეტენზიები, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ საქმე სასიკეთოდ შეიცვლება“, – გამოთქვა იმედი ედუარდ შევარდნაძემ.

უნდა ითქვას, რომ თანამეგობრობის 12 ქვეყნის ურთიერთობაში არსებული ყველა გაუგებრობა, ან, თუნდაც, ამ გაუგებრობათა უმრავლესობა, როგორც მიაჩნიათ მოსკოვში წარმოდგენილი სახელმწიფოების პრეზიდენტებს, შეიძლება აღმოიფხვრას დაგეგმილი სტრუქტურული რეფორმების პირველივე ეტაპზე. მართალია, ძნელი სათქმელია რამდენ ხანს გასტანს რეორგანიზაციის პროცესი, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმ რთულ პირობებს, რომლებთანაც არის დაკავშირებული დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ხელმძღვანელი მექანიზმის სრულყოფისათვის გამიზნული საქმიანობა. ედუარდ შევარდნაძის პრესკონფერენციაზე გამოთქმული თვალსაზრისი ასეთია: საქმე გვექნება რადიკალურ ცვლილებებთან, „და ეს ცვლილებები საფუძვლიანად უნდა მოვამზადოთ“. საქართველოს პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ამისათვის საკმარისი არ არის ერთი თვე, და იქნებ ერთი წელიც. „საკმარისია მოვიყვანოთ ევროკავშირის მაგალითი, რომელმაც თავისი მმართველობითი სტრუქტურების მექანიზმის ჩამოყალიბებას, სრულყოფასა და საბოლოო განმტკიცებას მრავალი წელი მოანდომა“, თქვა ე. შევარდნაძემ. გარდა ამისა, ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ძირითადი მოხსენების შემდეგ, რომელიც ამჯერად გააკეთა ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა, რაიმე გადაწყვეტილების უმალვე მიღება სამიტის მონაწილეებს არ შეეძლოთ. საქმე ეხება იმას, რომ აუცილებელია როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, თანამეგობრობის სრულყოფის პროგრამის წინასწარი შესწავლა, ამისათვის კი საჭიროა დამოუკიდებელი ექსპერტები, დიდი სპეციალისტები, რომლებიც შეისწავლიან საქმის ვითარებას. პრობლემა ის არის, რომ ეს სავალდებულო ღონისძიებებია, რათა თავიდან ავიცილოთ ისეთი სიტუაციები, როცა თანამეგობრობის ინტერესები და გეგმები ეწინააღმდეგება ცალკეული სახელმწიფოების კონსტიტუციურ ინტერესებსა და თავისებურებებს. „თქვენ იცით, რომ, უბრალო წარმონაქმნი არ არის, ვთქვათ, სახელმწიფო სათათბირო, ასევე – არც საქართველოს პარლამენტი. უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ნაკლები იყოს შეუსაბამობა“, – თქვა საქართველოს პრეზიდენტმა

პრესის ყურადღების მიღმა ვერ დარჩებოდა საერთაშორისო მნიშვნელობის კიდევ ერთი აქტუალური თემა – კასპიის ნავთობის მარშრუტები. ჟურნალისტები დაინტერესდნენ, თუ რა შეხედულების არის ედუარდ შევარდნაძე საქართველოს ტერიტორიის გავლით ბაქო-ჯეიჰანის ვარიანტის რეალიზაციის პერსპექტივაზე. „რუსეთის ზოგიერთ წრეებში დიდად განიცდიან იმას, რომ, თუ ნავთობსადენს გაიყვანენ საქართველოს ტერიტორიაზე, რუსეთში დაიწყება შიმშილი, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ, – თქვა საქართველოს ხელმძღვანელმა. – ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია მარტივი არითმეტიკული გაანგარიშებანი. საქართველოს, როგორც ცნობილია, არა აქვს თავისი ნავთობი, არა აქვს გაზი. აქვს ტერიტორია, რომლის გამოყენება შეიძლება ნავთობის გადატუმბვისა და ტრანსპორტირებისათვის. თუ რა ტერიტორიებს გაივლის ნავთობი, ამას ჩვენ არ ვწყვეტთ, ამას წყვეტენ სხვები. ჩვენ მხოლოდ ან დავრთავთ ნებას, ან არ დავრთავთ ნებას, რომ ნავთობმა გაიაროს საქართველოს ტერიტორიაზე. მაგრამ ხომ სისულელე იქნება, რომ არ დავრთოთ ნება? ასე რომ, ეს საერთო ანგარიშით სხვების გადასაწყვეტია“.

შემდეგ ედუარდ შევარდნაძეს მოუწია იმის ახსნა, თუ რატომ არ უნდა დართონ ნება აფხაზეთის ლიდერს ვლადისლავ არძინბას მონაწილეობა მიიღოს მოსკოვის სამიტში აფხაზეთის მხარის მოთხოვნათა მიუხედავად. სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლის, ანუ იმ მხარის ხელმძღვანელის მოწვევა, რომელიც არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული ნორმების, მათ შორის, სახელმწიფო სამართლებრივი ნორმების დარღვევა იქნება. ამასთანავე გასაგები და ბუნებრივია, რომ როგორც რუსეთის, ისე სხვა მხარეების შუამავლობით გამართულ მომავალ ორმხრივ შეხვედრებში და მოლაპარაკებებში, ასევე, უშუალო კონტაქტების დროს ბატონი არძინბას მონაწილეობა არა მარტო სასურველი, არამედ ბევრ შემთხვევაში სავალდებულოცაა.

შეიცვლება თუ არა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოლიტიკური ორიენტირები და ძირითადი კურსი ახალი მინისტრის დანიშვნით? უპასუხა რა ამ რამდენადმე მოულოდნელ კითხვას, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ძირითად კურსს განსაზღვრავს სახელმწიფოს ხელმძღვანელი პარლამენტთან ერთად. რაც შეეხება ყოფილ თავდაცვის მინისტრს, მან სერიოზული შეცდომები დაუშვა. „საერთოდ კი, – საჭიროდ მიიჩნია ედუარდ შევარდნაძემ დაეზუსტებინა, – როცა მიდიოდნენ გრაჩოვი და როდიონოვი, არ მიკითხავს რატომ წავიდნენ ისინი“.

და ბოლოს, იყო კითხვები იმის შესახებ, თუ საითკენ მიდის თავდასხმების კვალი და ძაფი, აგრეთვე, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი პრიმაკოვის იმ ცნობილი შენიშვნის თაობაზე, რომელიც ეხება „მერსედესის“ ჯავშნის სიმტკიცეს. პასუხებმა დარბაზის გამოცოცხლება გამოიწვია, და ალბათ, ღირს მათი სიტყვა-სიტყვით ციტირება: „მე ვიცი, საით მივყავართ თავდასხმების ძაფს, მაგრამ არ ვიტყვი, რადგან ყოველი თავდასხმის შემდეგ ძალა მემატება. მე ზოგიერთ კოლეგას, თანამეგობრობის ქვეყნების პრეზიდენტებს ვურჩევდი თავის თავზე გამოეცადათ ეს...“ რაც შეეხება პრეზიდენტის ავტომობილის ჯავშნის სიმტკიცეს, ბატონმა შევარდნაძემ განაცხადა, რომ ევგენი პრიმაკოვი ის კაცია, რომელთანაც მას დიდი ხანია შესანიშნავი ურთიერთობა აქვს. „თანაც იგი თბილისელია, მაგრამ, უბრალოდ, უკბილო ხუმრობა გამოუვიდა. სხვათა შორის, მე მას შევთავაზე გაგვეცვალა „მერსედესები“ და შეგვემოწმებინა, ვისი ჯავშანი უფრო მტკიცეა“.

პრესკონფერენციის დამთავრებისას, საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ პრაქტიკული შედეგები და წარმატებები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის განვითარების შემდგომ ეტაპებზე დამოკიდებული იქნება საერთო ძალისხმევაზე, სხვადასხვა რგოლისა და ადამიანების საქმიანობაზე – იგივე ევგენი პრიმაკოვზე და იმათზე, ვინც ჩაბმულია ამ საქმეში პოლიტიკური საქმიანობის უფრო დაბალ საფეხურებზე.

ედუარდ შევარდნაძემ გულთბილი მადლობა გადაუხადა ჟურნალისტებს ამ შეხვედრისადმი დიდი ინტერესისა და ყურადღებისათვის.

მაია ალუდაური,
ნოდარ ბროლაძე,
საქინფორმის სპეც. კორ.
მოსკოვი – თბილისი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ №102.

უბის წიგნაკიდან

მანეჟიდან ჩინგისხანამდე– ჟირინოვსკის გავლით

(პირველი გვერდიდან)

სამაგიეროდ – მთელი ამ ენერგიის პროსპექტების გამტარ არტერიებში გადანაცვლება, ტალღობრივი, როგორც მონღოლთა შემოსევა – „მერსედესი“, „ვოლვო“, „აუდი“ (დანარჩენი თქვენ ჩამოთვალეთ): მრავალცილინდრიან თუჯის ძრავებში განივთებული ცივილიზებული ცხენის ძალები, გნებავთ, მეოცე საუკუნის ჩინგისხანები.

„ახალი მონღოლები“ იპყრობენ მოსკოვის პროსპექტებს, და არ უნდა იყოს ეს ურიგო. „ვოლგები“ და „მოსკვიჩები“ კი, უკეთეს შემთხვევაში, – დიდ რუსულ პოეზიაში დარჩენილი ნოსტალგია „ტროიკის“, ან, უარეს შემთხვევაში, სოცინდუსტრიის ატავისტური გამოვლენა. ისე ჩაგივლიან მშობლიური რახრახით, როგორც წასული ახალგაზრდობა.

აფიქსირებს ამას მოსკოვის ცენტრის დაცარიელებულ სიჩქარეში ნებიერად მიმავალი კაცის გონება, და ცუდს ამაში ვერაფერს ხედავს...

პერსპექტივაში კი გამოჩნდა ახალი მანეჟის მოედანი, როგორც პაუზა ქალაქის ცხოვრების. სულ რამდენიმე წლის წინათ აქაურობა – მოცდენილი სიცარიელე, ნეიტრალური სივრცე კრემლის მისადგომებთან, რომელიც ავტომობილებისთვისაც და ფეხით მოსიარულეთათვისაც ერთნაირად აკრძალული ზონა იყო. ახლა – უზარმაზარი, სამსართულიანი მიწისქვეშა სავაჭრო ცენტრი, ულტრათანამედროვე საქონელი – თითქმის მთელი მსოფლიოდან, ბარები, ბისტროები, პიცერიები. აქ – ახალგაზრდობა. მაღაზიებში ხალვათობა მუშტრის, არავინ გარდა გამყიდველებისა და დაცვის მაგარი ბიჭების, რომლებიც უსაქმურობისაგან ამთქნარებენ, რადგან არავინ ჩანს „მათი ინტერესის საგანი“.

ასეთ ფეშენებელურ გარემოში მოხვედრილი ჩვეულებრივი კაცისთვის ერთადერთი რეცეპტი არსებობს – წარმოიდგინო, რომ არაფერი აქ დაბერტყილი სიმდიდრიდან არ გჭირდება და არაფერზე არ გწყდება გული. თუმცა არის მეორეც – მალე ამოხვიდე ალიბაბას ამ სეზამიდან, ამოხვიდე გემოვნებით გაკეთებულ სკვერში, სადაც წითელ ტიტებს რგავენ დენდროლოგი-დეკორატორები, ბაღის ჩარიგებული სკამებიდან ამოარჩიო ის, საიდანაც კარგად ჩანს კრემლის პანორამა, გადამალო მოსკოვის გაზეთები და შეეცადო გაერკვე იმ პოლიტიკურ უდროობაში, რომელიც დამდგარა რუსეთში.

გვერდით სკამზე კი გულგაღეღილს სძინავს უსახლკარო ზანგს, კლოშას, ანუ ბომჟს ახალი მოსკოვის.

აპრილია, 29. ერთ საათში თანამეგობრობის სახელმწიფოთა პრეზიდენტების სამიტი იწყება...

ზუსტად ექვსი წლის წინათ, 1992 წლის 29 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ბუშს განუცხადებია, – რუსეთში ყველაფერი რიგზე იქნება.

პერსპექტივის-იმედიანი ხილვა. მაგრამ დღეს თითქოს სიცხადე აკლია ამ პერსპექტივას.

ასეთ შემთხვევაში იტყვიან, ეს ჩვენი პრობლემა არ არის... რა მოგახსენოთ... რუსეთის დემოკრატიული მომავლის გარკვეულობა, რომელშიც „ყველაფერი რიგზე იქნება“, საქართველოს დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა. ამას ყველა გრძნობს – პოლიტიკოსიც და ჩვეულებრივი მოქალაქეც, ყველა, ვისაც აკვიატებული ამბიციურობის საცობებით არა აქვს დახშული ობიექტური შეფასების გამტარი არხები.

სულ ორიოდე დღის წინათ ევროკავშირში გაერთიანებული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა რუსეთი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნად აღიარეს. ამის გაუთვალისწინებლობა არ ეგების.

მაგრამ...

არის უდროობა რუსეთის პოლიტიკურ სარბიელზე და, მგონი, არც ამის დაუნახაობა ივარგებს. სულ ახალმა სამკვირიანმა სამთავრობო კრიზისმა და მესამე პარასკევს არჩეული პრემიერის მიერ განხორციელებულმა არც თუ რადიკალურმა საკადრო ცვლილებებმა, ხაზი გაუსვა უდროობის რეალობას.

პოლიტოლოგებს (და არა მარტო მათ) მიაჩნიათ, რომ სერგეი კირიენკოს კანდიდატურისადმი პრეზიდენტ ელცინის უპრეცედენტო ერთგულება, და სახელმწიფო სათათბიროსათვის მკლავის გადაწევა, არის რუსეთის პრეზიდენტის ერთ-ერთი უკანასკნელი ცდა, გაიხანგრძლივოს სახელმწიფოს სათავეში ყოფნის ჟამი.

ანალიტიკოსები ასკვნიან, რომ რუსეთის მთავრობის პრემიერმინისტრობიდან ვიქტორ ჩერნომირდინის ჩამოცილებასაც იგივე ქვეტექსტი აქვს – მართვის სადავეების საკუთარ ხელში აღება. ჩერნომირდინი, როგორც ამბობენ, მაინცდამაინც არ ელოდებოდა (ამაოდ ელოდებოდა?) პრეზიდენტის მითითებებს და დამოუკიდებლად იღებდა სერიოზულ და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს.

ჩერნომირდინი გაუშვეს: მოცილე ქვეყნის მართვის ამჟამად ეფემერული პერსპექტივისათვის ემზადება მისთვის უცხო პოლიტიკურ სფეროში.

მაშ, მთელი ძალაუფლება პრეზიდენტს?

ვერ გეტყვით, რადგან აქ მიაჩნიათ, რომ ელცინი კონკრეტულად არც ერთ პრობლემაზე თუ მიმართულებაზე არ მუშაობს – მეფობს. ხოლო მთელი ეს საკადრო ორომტრიალი იმისთვის დასჭირდა, რომ გაახსენოს პოლიტიკურ ოპონენტებს, ვინ არის რუსეთის ნამდვილი პატრონი.

პრემიერი პრემიერის ჩარჩოებში უნდა ეტეოდეს.

მაგრამ ეს ახალგაზრდა სერგეი კირიენკო ვითომ ის „დამჯერე ბიჭია“, რომელიც ასეთ ჩარჩოებში ჩაეტევა და პრობლემებს არ შეუქმნის პრეზიდენტს? კიდევ რამდენ ხანს? მერე არ მოიყვანს თავისი თაობის ხალხს მთავრობაში და რაოდენობა თვისობრიობაში არ გადაიზრდება?

არც ისე შეუძლებელი ჩანს დღეს წარმოუდგენელი (ან ნაკლებად წარმოსადგენი) ამგვარი ჩანაცვლება.

როტაცია? უამისოდ პოლიტიკა არ არსებობს.

მაგრამ დღეს სხვა რეალურ ძალაზეა ლაპარაკი, რომელიც რუსეთის პოლიტიკურ ასპარეზზე ახალ პოზიციებს ძალიან დაჟინებით იპყრობს.

არა, ეს კომუნისტები არ არიან, ეს ის ძალაა (მესამე ძალა?), რომელიც გენერალ ალექსანდრე ლებედში არის პერსონიფიცირებული – უხეში, შეუზღუდავი, ზედაპირული მაქსიმალიზმი, თეატრალური ხალხურობა, რაღაც გადმობრუნებული ჟირინოვშჩინის მსგავსი. ასეთი ფიგურა დღევანდელი რუსეთისათვის (ეს არის უბედურება), ჩანს, მისაღებია. ამ დროისათვის, ამ მომენტისთვის.

ხვალ შეიძლება (როგორც საერთოდ ხდება ხოლმე) გონიერებამ გაიმარჯვოს, მაგრამ ხვალ შეიძლება გვიანი იყოს გამოფხიზლება.

და სწორედ აქ, მსჯელობის ამ მონაკვეთზე იბადება ლოგიკური დასკვნა თანამეგობრობის, როგორც ეფექტიანი დამცავი მექანიზმის, შესაძლებლობათა შესახებ. არ არის ეს განყენებული მსჯელობის ნაყოფი. საქართველოს პრეზიდენტის საქმიანობამ 29 აპრილის სამიტზე, მისმა არგუმენტირებულმა პოზიციამ და ავტორიტეტმა, შეიძლება ითქვას, გადაარჩინა თანამეგობრობა, გადაედგა ნაბიჯები უკან – საბჭოთა კავშირისაკენ. სწორედ მისი წინადადებით არ მიიღეს აქ წარმოდგენილი პროგრამები დსთ ფორუმის მოწყობის, ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნის შესახებ და სხვა.

დაკვირვებული მკითხველი ამოიკითხავდა ყველაფერ ამას ინტერვიუში, რომელიც პრეზიდენტმა შევარდნაძემ სამიტის დამთავრების შემდეგ ქართველ ჟურნალისტებს მისცა. (იხ. „სრ“ №101).

იყო ამაზე საუბარი იმ დიდ პრესკონფერენციაზეც, რომელიც, როგორც ვიუწყებოდით, რუსეთში საქართველოს საელჩოებში გაიმართა და რომლის ბეჭდვას დღევანდელ ნომერში ვამთავრებთ.

* * *

ეგორ იაკოვლევმა, რუსეთის თანამედროვე დემოკრატიის ერთ-ერთმა ლიდერმა ქაოტური სიტუაციიდან გამოსვლის შესაძლებლობა იმაში დაინახა, რომ რუსი ხალხი მაინც არ დაკარგავს სულიერებას, მომხვეჭველობა და ღალატი არასოდეს გახდება მისი დამახასიათებელი ნიშნები. და ეს ზოგადი იმედი უფრო დააკონკრეტა იმით, რომ პოლიტიკურ ავანსცენაზე სადაცაა გამოვლენ ახალი დროის პოლიტიკოსები.

ვითომ გამოვიდნენ უკვე?

ჯერჯერობით უდროობაა მოსკოვში.

არმაზ სანებლიძე,
„სრ“ სპეც. კორ.
მოსკოვი – თბილისი.







სურათებზე: მანეჟის მოედანი მაღლა და მიწის ქვეშ: უკეთესი, კიდევ უფრო უკეთესი და ზანგი ბომჟი (ცენტრში).

ავტორის ფოტო.

დოკუმენტი

გადაწყვეტილება

აფხაზეთის, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების დამატებით ღონისძიებათა შესახებ

(პირველი გვერდიდან)

კვლავ გამოხატავს სერიოზულ შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ თანამეგობრობის ფარგლებში ადრე მიღებულ მთელ რიგ გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობის გამო ჯერაც არ დაწყებულა ლტოლვილთა ორგანიზებული დაბრუნების პროცესი,

შეშფოთებით აღნიშნავს, რომ კონფლიქტში აფხაზეთის მხარის არაკონსტრუქციული პოზიციის გამო აფხაზეთის, საქართველო, პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებული მოლაპარაკებანი შეფერხებულია,

გამოხატავს სერიოზულ შეშფოთებას აფხაზეთში, საქართველო, ეგრეთ წოდებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების გამართვასთან დაკავშირებით, რომლებიც არ შეიძლება ლეგიტიმურად ჩაითვალოს პირობებში როცა არ არის განსაზღვრული ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების პრობლემა, რამაც ობიექტურად გამოიწვია კონფლიქტის ზონაში სიტუაციის გამწვავება, გაართულა მისი სრულმასშტაბიანი მოწესრიგების მიღწევა,

შეშფოთებით აღნიშნავს, რომ კონფლიქტის ზონაში გაფართოვდა დივერსიულ-ტერორისტული საქმიანობის, კოლექტიური სამშვიდობო ძალების სამხედრო მოსამსახურეებისა და საქართველოში გაეროს მეთვალყურეობის მისიის თანამშრომლების მძევლად აყვანის, ძალადობის სხვა ისეთი აქტების მასშტაბი, რომელთა მსხვერპლი ხდებიან მშვიდობიანი მოსახლეობა, ლტოლვილები და ადგილნაცვალი პირები,

ხაზს უსვამს თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს 1997 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაუყოვნებლივი განხორციელების აუცილებლობას, რაც უზრუნველყოფს ლტოლვილებისა და ადგილნაცვალი პირების ორგანიზებული დაბრუნების პროცესის დაწყებას,

ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ:

1. გააგრძელოს მხარეთა თანხმობით აფხაზეთის, საქართველო, კონფლიქტის ზონაში მშვიდობის შენარჩუნების კოლექტიური ძალების ყოფნის ვადა 1998 წლის 31 ივლისამდე ან იმ დრომდე, როცა კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი მხარე, მიიჩნევს რა, რომ არ სრულდება ამ გადაწყვეტილების დებულებები, მოითხოვს ოპერაციის შეწყვეტას.

2. დაუშვებლად მიიჩნიოს აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ლტოლვილებისა და ადგილნაცვალი პირების ორგანიზებული დაბრუნების პროცესის შემდგომი გაჭიანურება, დაბეჯითებით მოითხოვოს გალის რაიონში (ძველ საზღვრებში) ლტოლვილებისა და ადგილნაცვალი პირების ორგანიზებული დაბრუნების დაწყება და მათი დაბრუნების დამთავრება 1998 წლის დამლევამდე მხარეების, რუსეთის ფედერაციისა და გაეროს ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისარიატის სამმართველოს წარმომადგენელთა მიერ შემუშავებული მექანიზმების საფუძველზე.

მხოლოდ ლტოლვილებისა და ადგილნაცვალი პირების შეუფერხებელი ორგანიზებული დაბრუნების პროცესთან, უწინარეს ყოვლისა გალის რაიონში (ძველ საზღვრებში), უშუალო პირდაპირი დაკავშირების პირობით განხორციელდეს რეგიონის ეკონომიკური აღდგენის ღონისძიებანი და სასაზღვრო და საბაჟო რეჟიმის ნორმალიზება.

დაბეჯითებით ურჩიოს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს განიხილონ და გადაწყვიტონ გალის რაიონში (ძველ საზღვრებში) ლტოლვილთა დაბრუნებისა და ცხოვრების სრული ნორმალიზაციის ეტაპზე დროებითი გარდამავალი ადმინისტრაციის შექმნის საკითხი, რომელიც შუამავლების, გაეროსა და ეუთოს უშუალო მონაწილეობით იმუშავებს.

3. მშვიდობის შენარჩუნების კოლექტიური ძალების სარდლობამ მხარეებთან ურთიერთქმედებით უზრუნველყოს თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს 1997 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

ერთი თვის ვადაში კონფლიქტის მონაწილე მხარეების მიერ შემუშავებული მექანიზმის საფუძველზე დასახონ მშვიდობის შენარჩუნების კოლექტიური ძალების დისლოკაციის შეცვლის გეგმა, მათ შორის კოლექტიური ძალების გაერთიანებული შტაბის, მათი ქვედანაყოფების დისლოკაციის ადგილებზე გადატანა, აგრეთვე, განახორციელონ ლტოლვილებისა და ადგილნაცვალი პირების ორგანიზებულ დაბრუნებასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებანი, უწინარეს ყოვლისა, გალის რაიონში (ძველ საზღვრებში).

მშვიდობის შენარჩუნების კოლექტიური ძალების სარდლობამ გააძლიეროს ყურადღება მშვიდობის შენარჩუნების კოლექტიური ძალების მანდატის შესაბამისად უშიშროების ზონაში მდებარე საარსებო მნიშვნელობის ობიექტების, კერძოდ, ენგურჰესის, ხიდების, წყალმომარაგების სისტემების და სხვათა უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველყოფისადმი.

4. გამოხატოს დიდი შეშფოთება იმის გამო, რომ თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს 1997 წლის 28 მარტის გადაწყვეტილების ნაწილი, რომელიც უშიშროების ზონის გაფართოებას ეხება, არ შესრულდა.

მოუწოდოს აფხაზეთის მხარეს კვლავ დაუბრუნდეს ამ საკითხს, განიხილოს და დადებითად გადაწყვიტოს იგი.

იმ შემთხვევაში, თუ დაბრკოლდება ლტოლვილთა დაბრუნება, საფრთხე შეექმნება მშვიდობასა და უშიშროებას რეგიონში, განიხილოს საკითხი, რომ შესაბამისი ცვლილებები შეიტანონ სამშვიდობო ოპერაციის ხასიათსა და შინაარსში ასეთ შემთხვევებში გაეროს წესდებით გათვალისწინებულ ადეკვატურ დებულებათა საფუძველზე.

5. თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო მოუწოდებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე ქვეყნებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს გადაწყვეტილებებს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მშვიდობის შენარჩუნების კოლექტიური ძალების გამოყენებისა და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მშვიდობის უზრუნველყოფის ოპერაციის განხორციელების მანდატის დამტკიცების შესახებ, უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ სამშვიდობო ოპერაციაში რუსეთის ფედერაციასთან ერთად, რომელსაც ამჟამად ამ ოპერაციის მთელი სიმძიმე აკისრია.

6. მიაღწიოს, მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ კონფლიქტით გამოწვეული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და ჰუმანიტარული პრობლემების გადაჭრის ხელშეწყობას.

7. საჭიროდ მიიჩნიოს მიმართოს გაეროს, რომ საქართველოში გაეროს მეთვალყურეობის მისიის შემადგენლობაში შეიყვანონ თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენელ მეთვალყურეთა ჯგუფი.

8. დაავალოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აღმასრულებელ სამდივნოს, თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა სამხედრო თანამშრომლობის კოორდინაციის შტაბის მონაწილეობით, სისტემატურად მოახსენოს თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურებს, თუ როგორ სრულდება თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს გადაწყვეტილებანი აფხაზეთის, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ.

9. აცნობოს გაეროს უშიშროების საბჭოს თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს ეს გადაწყვეტილება.

ეს გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

* * *

ეს დოკუმენტი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა გამოკითხვის წესით ხელმოწერის შედეგად ძალაშია შესული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიროვნება

ოთარ ქანდარიას თვითშეწირვის უნარი

საალდგომოდ განსაკუთრებით მიმიხაროდა მშობლიური სოფლისკენ. გზად, ქუთაისში, ჩემს უფროს მეგობარს, რესპუბლიკის დამსახურებულ მხატვარს ოთარ ქანდარიას უნდა შევხვედროდი. ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს პრეზიდენტმა ახლახან ის ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

როცა ეს ბრძანებულება წავიკითხე, გულით გავიხარე. გამახსენდა, ამ ათიოდე წლის წინათ, როგორ ფარულად დავწერეთ მასზე გაზეთ „ქუთაისში“, როგორ გაგვებუტა, რამდენიმე დღით „დაგვემალა“ კიდეც, მერე სახელოსნოში მიგვიპატიჟა და შერიგების პურ-მარილიც იკისრა.



ღირსების ორდენი დღემდე მრავალ ღირსეულს რგებია, მაგრამ ოთარ ქანდარია სწორედ ის კაცია, ვინც თავისი ხალასი ნიჭით, თავმდაბლობით, მოკრძალებით, ქუთაისური კოლორიტით და ხალხის უზომო სიყვარულით მართლაც იქით მატებს ღირსებას ორდენს, ნებისმიერ ჯილდოს.

ამას წინათ ცივი უარი თქვა დავით კაკაბაძის პრემიაზე მისი კანდიდატურის წარსადგენად. ღირსების ორდენზეც, ფაქტობრივად, მისდა უჩუმრად წარადგინეს. ამიტომაც, არ მეგულება კაცი, რომელიც გულწრფელად არ ხარობდეს ოთარ ქანდარიას ამ ალიარებით.

არადა, რა დრო გასულა, ოთარ სიმონიჩს (მთელი ქუთაისი ასე ეძახის) 60 წელიწადი შესრულებია.

სიმონ ქანდარია, ოჯახის მეათე შვილი, სამხედრო მოსამსახურე იყო და 30-იან წლებში ქართული დივიზია რომ ქუთაისში გადმოიყვანეს, მაშინ დამკვიდრებულა ქანდარიების გვარის ერთადერთი წარმომადგენელი იმერეთის მთავარ ქალაქში. (გვარის ფუძე სენაკის რაიონის სოფელ ლეძაძამეშია). სამწუხაროდ, უიღბლო გამოდგა ეს დაფუძნება. ორმოციოდე წლის ძალ-ღონით სავსე მამაკაცი მოულოდნელად გარდაიცვალა. მაშინ ოთარი, სამი უფროსი დის ნანატრი ძმა, მხოლოდ ექვსი წლისა იყო. ოჯახის ახალგაზრდა დედაც მალე გატეხა ოთხ ობოლზე ზრუნვამ და ფიქრმა. სრულიად ახალგაზრდა, გამოუცდელი გოგონები — გულნარა, მერი და ნუნუ ქანდარიები, 14 წლის ძმასთან ერთად, უდედოდაც დარჩნენ... დაიწყო მძიმე, წვალებითა და ვაებით სავსე წლები. საოცრად უჭირდათ, მაგრამ ახლობლების, ქუთაისელი მეზობლებისა და მეგობრების თანადგომით რწმენა არ შერყევიათ, ცხოვრებაზე ხელი არ ჩაუქნევიათ. გოგონები უმაღლეს სასწავლებელში მოეწყვნენ. გულნარა ისტორიკოსი გახდა, ნუნუ მათემატიკოსი, მერი — პარტიული მუშაკი. ოთარმა კი თავისი გულისწადილი აისრულა და სამხატვრო აკადემიას მიაშურა...

შეგირდი ეურჩება ოსტატს

1966 წელს სამხატვრო აკადემია ქსოვილების მხატვრული დამუშავების სპეციალობის სტუდენტებმა პირველად დაამთავრეს. გულჩათხრობილ, სერიოზულობით სხვათაგან გამორჩეულ სტუდენტს ოთარ ქანდარიას იბარებს აკადემიის რექტორი, პროფესორი აპოლონ ქუთათელაძე და ეუბნება: დაწერე განცხადება, აკადემიაში უნდა დაგტოვოთ.

ოთარი უხერხულად იმშუმნება, ვერაფერს ამბობს.

— ნუ გერიდება, შენ ეს დაიმსახურე — ამხნევებს რექტორი.

— არა, ბატონო აპოლონ, მე აუცილებლად ქუთაისში უნდა დავბრუნდე, თბილისი ძალიან მიყვარს, მაგრამ უქუთაისოდ ცხოვრება არ შემიძლია. უნდა გამიგოთ...

— კარგად იფიქრე, ასე უცებ ნუ გადაწყვეტ, აქ მეტი გასაქანია.

— რამდენიც არ უნდა ვიფიქრო, თბილისში როგორი გასაქანიც არ უნდა მქონდეს, მაინც ქუთაისში მირჩევნია.

მეორე დღეს აპოლონ ქუთათელაძემ სამ ცალად გადაბეჭდილი დახასიათება დაახვედრა ოთარ ქანდარიას.

— სამი ერთნაირი დახასიათება რად მინდა, ბატონო აპოლონ?

— გქონდეს, ჩემო ოთარ! ერთ ადგილას სამსახური თუ არ მოგეწონება, მეორეგან მიდი, თუ იქაც არ მოგეწონება — მესამეგან... მე შენ დიდ პატივს გცემ და არ მინდა გაწვალდე.

ახლაც გუშინდელივით ახსოვს 32 წლის წინანდელი ამბავი ოთარ ქანდარიას და დიდი სიყვარულით იგონებს ბრწყინვალე რექტორსა და მოქალაქეს აპოლონ ქუთათელაძეს.

700 მარგალიტის პატრონი

ქუთაისში დაბრუნებული ოთარ ქანდარია ჯერ პიონერთა სასახლის მხატვარ-კონსულტანტად იწყებს მუშაობას. მალე ქალაქში გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ფილიალი იხსნება და მისი დირექტორი, ცნობილი პოეტი ზურაბ კუხიანიძე იწვევს მთავარ მხატვრად. ასე დაუკავშირდა იგი წიგნს, გაზეთს, ჟურნალს, საგამომცემლო საქმეს და თანდათან ჩამოყალიბდა როგორც საკუთარი ხელწერის გრაფიკოსი. ოცდაათ წელიწადზე მეტია ქუთაისში წიგნი არ გამოსულა, ოთარ ქანდარიას ღირსეულად რომ არ მოეხატოს. ამ ნახატებში არც ერთი წერტილი, ხაზი, ორნამენტი ერთმანეთს არა ჰგავს. თითოეული გრაფიკული ნიუანსი დიდი ფიქრის შედეგია და, რაც ყველაზე მთავარია, მისი ორნამენტები მხოლოდ ქართულია.

ახლახან შექმნა 200-მდე ქართული ისტორიული ძეგლის თავისებური გრაფიკული ნამუშევრები, დახატა ქართული შრიფტი. 700-ზე მეტი ორიგინალი გადააწყო პირველი პერსონალური გამოფენისათვის, რომელიც დღეს, 2 მაისს გაიხსნება ქუთაისში გაზაფხულისა და სიყვარულის ტრადიციულ დღესასწაულზე — ორმაისობაზე.

როგორც იქნა, პერსონალურ გამოფენაზე დაითანხმეს ეს გამოუსწორებელი, თავმდაბალი ქუთაისელი.

საკუთარი თვითშეწირვით მოპოვებული

ქუთათურები განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ რესპუბლიკის დამსახურებულ იურისტს, მჭევრმეტყველებით გამორჩეულ პიროვნებას, დახვეწილ ინტელიგენტს გურამ უგრეხელიძეს (იგი სამიოდე წლის წინათ გარდაიცვალა). აი, რას წერდა ბატონი გურამი ოთარ ქანდარიას შემოქმედებაზე:

„ჩემი სურვილია გავფანტო ის მცდარი, მოარული აზრი, თითქოს ოთარი ივიწყებდეს საკუთარ თავს და იღვწოდეს, არსებობდეს მხოლოდ და მხოლოდ სხვებისთვის, რათა მათ ამოუდგეს მხარში ჩვენი მოუსვენარი და მოუწესრიგებელი ცხოვრების ყველა გაჭირვებაში.



ეს მოჩვენებითი შეხედულება შექმნილია ოთარის მიერ დიდი ოსტატობით შენიღბული ამაღლებული მიზნისთვის — სხვებისადმი სიკეთის მოტანის, უანგარო ხელის გამართვის გზით დახატოს თავისი სურათი, ავტოპორტრეტი, რომლის საღებავად ხმარობს საკუთარ სულიერ ენერგიას, გრძნობის უხვ მარაგს და გონების მესამურ გამჭრიახობას. მას ესმის, რომ კარგ ნიადაგზე ნათესი სიკეთე უხვ ჭირნახულს იძლევა და მისთვის არ არსებობს იმაზე ძვირფასი ჭირნახული, ვიდრე ცხოვრების ის დიადი სურათი, რომელიც არც ჩარჩოში ისმება, არც ტილოზე იხატება და ანონიმური რჩება, სანამ იმ სრულყოფას არ მიაღწევს, როცა მას ვერც დრო დააკლებს რამეს და ვერც სივრცე.

ასეთი საძნელო გზა აირჩია ოთარმა ავტოპორტრეტის შესაქმნელად, რაც საკუთარი თვითშეწირვით მოიპოვება“...

ოთარ ქანდარიას ნახატებში მართლაც იგრძნობა დიდი სულიერი ენერგია, უხვი გრძნობები, გონების მესამური გამჭრიახობა.

„გულს ჯავრად ჩაგეჭრებოდი“

— ოთარ, მაინც რა არის მთავარი შემოქმედისთვის? — ვეკითხები.

— სიყვარული, საქმის სიყვარული და სიმართლე. ხომ გახსოვს, როგორ უყვარდა ფშაველ მგოსან ქალს ხვარამზეს: ერთ დღეს, ახალ ნაწვიმარზე, ხვარამზეს სახლის ახლოს სატრფომ ცხენით გაიარა. ხვარამზემ მონატრებული თვალები გააყოლა მას, მაგრამ ამაყმა მთიელმა თავი არ შემოაბრუნა. როცა საოცნებო მგზავრი თვალს მიეფარა, ვაქიკას ცხენის ნაფეხურებს ლობე შემოაველო ხვარამზემ, რომ არ წაშლილიყო და... მოფერებოდა. ამ სიყვარულისადმი მიძღვნილ ხვარამზეს ლექსს ილია ჭავჭავაძე შედევრს უწოდებდა — „ვერცხლის თასადამც მაქცია, რო ღვინით აგევსებოდი, დაფერილი მქნა წითლადა, შამსვამდი, მაგერგებოდი. ანა მქნა ვერცხლის სათითე, რო ხელში ჩაგედებოდი, ანა მქნა ოქროს ბურთვაი, კალთაში ჩაგემლებოდი... ან შენი ნანდაური მქნა, გულს ჯავრად ჩაგეჭრებოდი, ძალიან დაწუხებული, გზაზედაც შაგეყრებოდი!..“

— და შენ ასეთი სიყვარულით გიყვარს?

— მიყვარს ქუთაისი, ჩემი უძველესი და ყველასგან გამორჩეული ქალაქი, ჩემი უდროოდ წასული მშობლების, მეგობრების ძვალთშესალაგი... ხომ იცი, სპარტაკ, ასთმიანი კაცისთვის რა ძნელია ქუთაისში ცხოვრება, მე მაინც აქ სიკვდილი მირჩევნია სხვაგან ლაღად ყოფნას...

— მართლაც ძლიერი და ბედნიერი კაცი ხარ, ოთარ...

— ბედნიერება, ალბათ, ისევ ჩემი საქმის, ჩემი ოჯახის, ჩემი ქუთაისის სიყვარულშია. ბედნიერი ვარ მაშინ, როცა რაღაც გულით მიხარია, როცა საყვარელ საქმეს მთელი არსებით მივეჯაჭვები. ოთარ მამფორიას სტრიქონები ხომ გახსოვს — „მე მიმაჭედეს პოეზიას რითმის ლურსმნებით“.

— რა გადაარჩენს საქართველოს?

— სიყვარული და უშურველობა, ურთიერთსიყვარული, ურთიერთთანადგომა.

სახელოსნოში ოთარის მეუღლე, ჟურნალისტი მანანა ლარცულიანი და ოთხი წლის თვალებბრიალა ლიზიკო შემოდის (ოთარმა გვიან, ძალიან გვიან შექმნა ოჯახი). ლიზიკო მამას ეკითხება:

— მამიკო, ეს ბიძია ვინ ალის?

— თბილისიდან საგანგებოდ ჩამოვიდა, რომ შენ გაგიცნოს, ეს ჭიკჭიკა, პატარა ქალი ვინ არისო.

— მე ლიზიკო ვალ, მათლა ლიზიკო მქვია, ლიზიკო ქანდალია ვალ — ეშმაკები უთამაშებს თვალებში პატარა ანგელოზს.

— ლიზიკო როგორი სიყვარულით გიყვარს, ჩემო ოთარ?

— ო, ახლა „ჩამჭერი“. ამის ახსნა არ შეიძლება...

— არც არის საჭირო!

ლიზიკო ღია აივანზე გარბის. დიდ ყუთში გახარებულ ვაზის ფოთლებს ეფერება და იძახის: მამიკო, მათლა სამი მტევანია, მათლა სამია...

— შემოდგომაზე რთველში გპატიჟებ. სამ მტევან ადესას დაკრეფა არ უნდა? — ხუმრობს ოთარი.

გარეთ აყვავებულ-ათქვირებულ იმერეთს აწვიმს. საოცარი სურნელი ტრიალებს. მაგონდება ირაკლი აბაშიძის ლირიკის ერთ-ერთი შედევრი: „როგორც დათბება, როგორც დათბება და მზე ჩატკბება შემკულ დაისში, უნდა აღსრულდეს, რაც მენატრება, უნდა გავფრინდე ჩემ ქუთაისში. ჩემი აპრილის ვნახო კისკისი, ჩემი რიონის ახლად აშვება, ატმის ხეების მწველი გიზგიზი, ტყემლის ხეების გაფარფაშება“...

ღმერთმა ლიზიკოსა და აპრილის კისკისი ნუ მოუმალოს ქანდარიების ოჯახს.

სპარტაკ ქობულია,
თბილისი — ქუთაისი.

შემოქმედი

შემოდგომაზე შეყვარებული მხატვარი

ნახატის აზრს რომ ჩაწვდე, შეძლო მისი ავტორის ნიჭისა და უნარის შეფასება, უმეტესად საჭიროა მეტნაკლებად ერკვეოდე ხელოვნებათმცოდნეობაში. ჭეშმარიტი ხელოვანის ოსტატობა კი სწორედ ის არის, როცა მისი ნახატის „წაკითხვას“ შეძლებს ყველა, განურჩევლად იმისა, ესმის თუ არა სახვითი ხელოვნების ანბანი. ასეთი ტილო კი არა ერთი და ორია საქართველოს დამსახურებული მხატვრის, ცხინვალელი პეიზაჟისტის სერგო მინასოვის შემოქმედებაში.

არ შეიძლება სუნთქვა არ შეგეკრას მოზრდილი ფერწერული ტილოს წინაშე, რომელსაც ჰქვია „მწუხრი ყელის ტბაზე“ — მუქი ლილისფერი ტბა, ბინდისგან შავი და ლურჯი ფერებით გაიდუმალებული მისი ნაპირები, ალაგ-ალაგ ვიწრო თეთრი ზოლები რომ გამოკრთის და თუმცა წინა პლანზე ცხენების რემაა, მნახველს თვალი მაინც ტბაზე რჩება.

სამოცდაათიან წლებში შექმნილმა ამ ნახატმა მოიარა თბილისისა და მოსკოვის გამოფენები, ხოლო „სოვეტსკი ხუდოჟნიკის“ მიერ 1974 წელს გამოცემულ ღია ბარათების კომპლექტში ეს პეიზაჟი გარეკანზეა გამოტანილი.

სერგო მინასოვმა 50 წლის წინათ დაამთავრა ცხინვალის მახარბეკ თუღანოვის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი, 1965 წელს — თბილისის სამხატვრო აკადემია, სადაც მისი მასწავლებლები იყვნენ აპოლონ ქუთათელაძე, სერგო ქობულაძე... მომდევნო წელმა ჩაუყარა საფუძველი მის შემოქმედებითს ბიოგრაფიას, როცა თბილისში გამართულ ოსური ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაში მიიღო მონაწილეობა ფერწერული ნამუშევრით „მუსიკის გაკვეთილი“.

მხატვრის ადრეულ ტილოებზე ასახულია მშობლიური კუთხის პეიზაჟები, იმ კუთხისა, სადაც დაიბადა და გაიზარდა. ჩრდილებდაგრძელებული ხეები, ოქროსფერი ნაწვერალი და მის განაპირას მთის ძირში ჩადგმული სახლი, მაღლა ცაზე ქულა ღრუბლები („შემოდგომა“); გარიჟრაჟია ხეობაში. მზე ჯერ არ ჩანს. მხოლოდ ცხენებს უგრძნიათ განთიადი... („მთის პეიზაჟი“) ცისფერის, თეთრის, ოქროსფერის შეხამებით მიღწეული ეფექტი. სამაგიეროდ, მინასოვის შემოქმედებისათვის იშვიათი მრუმე ფერებია სურათზე „მიტოვებული აული“, რომელშიც ერთმანეთს შერწყმია სოფლისა და მხატვრის სევდა დაცლილი, სახურავგადახდილი სახლების გამო. თითქოსდა პირუტყვიც ემშვიდობება მშობლიურ მთებს...

და მაინც, მინასოვისთვის მთავარია პეიზაჟი. მასვე ეკუთვნის ყირიმსა და ლიტვაში ყოფნისას შექმნილი სერიალი.

თანდათან იგრძნობა, წლებთან ერთად როგორ იხვეწება მხატვრის შემოქმედებითი სტილი და თანდათან დომინირდება მისი საყვარელი თემა — შემოდგომა.

თითქოს შემოდგომის დიდი წიგნი აქვს სხვადასხვა ზღაპრით აკინძული.

შემოდგომით უფრო მრავალფეროვანია ბუნება, — ასე მიხსნის ბატონი სერგო თავისი სიყვარულის მიზეზს წლის ამ დროისადმი. მე კი მის ოჯახსა თუ სახელოსნოში სტუმრობისას სხვა შთაბეჭდილება მრჩება — შემოდგომის მშვიდი და წყნარი ფერები, ერთი შეხედვით მარტივი, მაგრამ ღრმა აზრის შემცველი კომპოზიცია თვით ავტორის ბუნებას გამოხატავს: მშვიდი, გაწონასწორებული, კეთილი, ნიჭიერი და თავმდაბალი. ასეთად იცნობენ ცხინვალში მხატვარს მეზობლები, მეგობრები, კოლეგები.

სერგო მინასოვის შემოქმედებითი ნიმუშები მრავალჯერ იყო წარმოდგენილი თბილისის, მოსკოვის, ბალტიისპირეთის, ვლადიკავკაზის მხატვართა გამოფენებზე; მისი მხატვრული ტილოები დღესაც გამოფენილია თბილისისა და ვლადიკავკაზის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში.

მხატვრისთვის განსაკუთრებით ძვირფასია ბოლო წლებში შექმნილი ნაწარმოებები: „თავისუფალ ცხენთა სრბოლა“, „რეკვიემი“, „იმედის მაგისტრალი“.

წლეულს ოქტომბერში კი გაიმართება მისი პერსონალური გამოფენა. სერგო მინასოვის ერთგული მეგობარი და ყოველი ახალი ტილოს პირველი შემფასებელია მისი მეუღლე, სამი ვაჟის დედა სვეტლანა ფალიევა-ინგლისური ენის მასწავლებელი ცხინვალის გიმნაზიასა და მე-2 საშუალო სკოლაში. სამიდან ორი ვაჟიც მამის კვალს გაჰყვა.

მინასოვების ოჯახში უპირველესია ხელოვნება!

ციალა კახნიაშვილი,
„სრ“ საკ. კორ.
ცხინვალი.

პოეზია უპირველეს ყოვლისა

შოთა ნიშნიანიძე

გადაძახილი დავით გურამიშვილთან

ამირანი თავის ნათლია ქრისტე ღმერთს გადაუდგა გზაში: გინდა თუ არა, მეჭიდეო. ღმერთმა ამირანი ამ მკრეხელობისათვის კავკასიის ქედზე მიაჯაჭვა. ახლაც ლოკავს მისი ერთგული ყურშა იმ ჯაჭვებს გასაწყვეტად.

ქართულ ლექსის გენერალო, ბედი
ბევრჯერ აგებურდა,
რუსის ჯარის პორუჩიკი ტყვედ ჩავარდი
მაგდებურგთან.
არც ლეკებთან გაღუნულხარ, არც
შემკრთალხარ ფრიდრიხ დიდთან
ზუბოვკაში ლექსად წერე, რაც
წისქვილმა იღირღიტა.
გუშინდელი ეს სამოთხე,
აღმოსავლეთ-დასავლეთი,
ახლა არის ჯოჯოხეთი, არის ერთი
ბაზალეთი.
მე კი რა ვქნა ლექსის კაცმა, რით
ვუშველო ამ სიმხეცეს?
ვერც ავისხი იარაღი, ვეღარც ბერად
აღვიკვეცე.
ქართველმა თქვა: ლხინში ვზივარ,
დედულეთში, წყლისპირსაო,
აფხაზის და ჩეჩნისხელას ვახრამუნებ
პილპილსაო.
ეჰ, ქართველო, უდარდელო, მაგ
ტრაბახში დრო გასულა,
ვახტანგურად სმას შეეშვი და იომე
გორგასლურად...
მწარედ როგორ არ ვიყმუვლო, ცოდვა
როგორ არ ვინანო,
ქრისტე ღმერთთან არაერთხელ
შერცხვენილო ამირანო.
სულ იმას ვწუხ, სულ იმას ვყეფ, ხვალ
და ხვალ-ზეგ რა მოგელის?
მე ვარ შენი ყურშა ძაღლი — შენი ჯაჭვის
გამლოკველი...

ფრაგმენტი პოემიდან

იქ აფხაზეთის ლურჯი მთებია —
ყინულოვანი ბროლი და რკინა,
სადაც ერთმანეთს შეერთებია
ამირანის და აბრსკილის გმინვა.
მე ამ მთებიდან რას გამოვეელი
თუ არა მეხს და ზვავთა ფორიაქს.
კავკასიონის ქედი ყოველი
ცხრა ბაბილონის ცხრა გოდოლია.
აქ არი ჩემი ხატი და ნიში,
ახლა დაჩხაპნილ-გადანახაზი,
ცისფერთვალება და ქერა ჯიში,
კეთილშობილი ძველი აფხაზი.
აი ბედია, აგერ ილორი,
ქრისტიანულიც და წარმართულიც,
ცა ურარტული ერთი ფიორი,
მაგრამ მარადი, ანუ ქართული.
აქ ერთად ძოვდნენ მგლებიც, კრავებიც,
მგელი კრავობდა და კრავი მგლობდა.
იცოდნენ ზოგჯერ წაკინკლავება,
მაგრამ მამული საერთო ჰქონდათ.
კრავმა კრავობა აღარ ინდომა,
მგელიც, ბატონო, მგლობას თაკილობს,
ლომობა უნდათ და ამიტომაც
ორივე გახდა ლომის საკბილო.
ასე ბზიკისგან კვდება ფუტკარი,
ასე ეცემა მეხი კანკელებს,
მგელს გააკრავებს მამა უფალი,
ხოლო სატანა კრავს გაამგელებს.
შარვაშიძეთა სამეფო სადარს
მთელ ტანზე სიმწრის ხვითქი გადასდის,
კუდს უბწნის ვიღაც ნაყიეჩადარი
და ნასკვითარი დასდევს ქამანდით.
აფხაზო კაცო, შურისძიებით
დავემგვანებით ისევ კენტავრებს,
ჩვენ არ გვისვრია ჩვენი ტყვიები —
სხვისი ტყვიებით ვკლავდით ერთმანეთს.
ბედის რისხვაა და ირონია,
როცა მტრები ვართ და ვიკრულებით
და როდის უფრო საბრალონი ვართ,
მკვლელები რომ ვართ თუ მოკლულები?

ბილიარდის ბურთების სიმღერა

სამკუთხედად დაგვაწყობენ წეროების
გუნდივით
და იწყება ძმათა შორის დაკა-დაკა
მუდმივი.
ჩვენი ბედით გაოცდება მოხუციც და
ბალღიც:
ერთს იღებენ მიზანში და სხვა კი
ხვდება ბადეში.
ბედისწერის განჩინებით ძმა ძმას
შეეტოქება,
ერთმანეთის გადაჩეხვით ვიღაც არის
მოგებას:
იძულებით მტრები ვართ და სხვათა ნების
მორჩილნი.
ეჰა, თურმე ეს ქვეყანაც ჩვენს
თარგზეა მოჭრილი.

დიალოგი სროლაში

— ერთმანეთს ესვრით ქართველები?
ერთმანეთს ესვრით?
გამიჯნულები ბარიკადით... ქუჩით...
თუ მესრით, ...
ერთმანეთს ესვრით?

— ჰაერში ვისვრით... ცაში ვისვრით...
მხოლოდღა ცაში...
ცაში სროლაში, ძიაკაცო, რას ხედავთ
საშიშს?

— ცაში ღმერთია... ცაში სროლა
უარესია...
ვერც კი ხვდებიან ცოდვისშვილნი ღმერთს
რომ ესვრიან

თითები

პირველი თითი — ცერა თითია,
მოწონებაა მისი იდეა.
მაგრამ ბოლო დროს
(ვამბობ ხუმრობით!)
მთლად გაზარმაცდა უსაქმურობით.

მეორე თითი არ ერიდება
არც ქნევა-კაკუნს, არც მითითებას.

მესამე თითი თუმც მაღალია,
მისი სილენჩე არახალია.

მეოთხე — გახლავთ ცოტა
ჩერჩეტი, —
ოქრო იზიდავს, თუნდაც ბეჭედი.

ნეკი იქცევა ცოტა უზრდელად —
უფროსს დროდადრო ყურში უძვრება.

ჩვენი საქმეა ხელის მოწერა,
ან აღზევება ანდა მოცელვა.

პირჯვარსაც ვიწერთ, მოგეხსენებათ,
თან გემოს ვატანთ ბრაწის ჩვენებას!

ცალკ-ცალკე თუ ვართ — ყველა
სუსტი ვართ,
თუ შევიკვრებით, მაშინ მუშტი ვართ.

ძახილი

„გროს-ლაზარეთის“ სიკვდილის ბანაკიდან



1941-45 წლების დიდი სამამულო ომის უკრაინის ეროვნული მუზეუმის დირექტორმა, გენერალ-ლეიტენანტმა ა. არტემოვმა ამას წინათ გამოგვიგზავნა საქართველოს იმ მოქალაქეთა სია, რომლებიც უკრაინის ხმელნიცკის ოლქის ქალაქ სლავუტის სიკვდილის ბანაკში, ე. წ. „გროს-ლაზარეთში“ დაიღუპნენ.

ვაგრძელებთ ამ სიის გამოქვეყნებას. იქნებ, ჩვენმა თანამოქალაქეებმა თავიანთი ახლობლები ამოიცნონ. გვარებს და სახელებს, ბუნებრივია, უცვლელად, დედნისეული მონაცემებით ვბეჭდავთ, უნებლიე შეცდომას ახალი შეცდომა რომ არ დავუმატოთ.

ვისაც უფრო დაწვრილებით დააინტერესებს ამა თუ იმ დაღუპულის ვინაობა, შეუძლია მიმართოს შემდეგ მისამართზე: 252015, უკრაინა, კიევი - 15, იანვრის აჯანყების ქ. №44, მემორიალური კომპლექსის გენერალურ დირექტორს, გენერალ-ლეიტენანტ ა. არტემოვს.

91. **ლოხუა აერალი,** ქართველი, დაბადებული 1908 წელს მორაპანში, დაიღუპა 1943 წლის 3 იანვარს.

92. **მკრტიჩიანი სარქის,** სომეხი, დაბადებული 1909 წელს, დაიღუპა 1942 წლის 18 დეკემბერს.

93. **მიკალ კაგო,** ქართველი, დაბადებული 1912 წ. სტალინირში. დაიღუპა 1942 წლის 18 დეკემბერს.

94. **მამედოვ ალი,** აზერბაიჯანელი, დაბადებული 1923 წელს, მუღანლოში. დაიღუპა 1942 წლის 18 დეკემბერს.

95. **მამედოვი ისსაა,** აზერბაიჯანელი, დაბადებული 1926 წ. მუღავერში, დაიღუპა 1942 წლის 21 დეკემბერს.

96. **მახრამბეკოვა მუსტაფ,** თურქი, დაბადებული 1917 წ. სარაჩლოში, დაიღუპა 1942 წლის 23 დეკემბერს.

97. **მუმლაძე დიმიტრი ივანეს ძე,** ქართველი, დაბადებული 1901 წ. ბათუმში, დაიღუპა 1942 წლის 23 დეკემბერს.

98. **მიქაძე კაბულ,** ქართველი, დაბადებული 1909 წ. თბილისში, დაიღუპა 1942 წ. 26 დეკემბერს.

99. **მელიქიძე არჩილ,** ქართველი, დაბადებული 1918 წ. ბალანთაში, დაიღუპა 1942 წლის 12 დეკემბერს.

100. **მელაძე ა. ვ.** ქართველი, დაბადებული 1900 წ. დაიღუპა 1942 წლის 7 დეკემბერს.

101. **მაისურაძე გრიგოლ,** ქართველი, დაბადებული 1923 წელს უწერაში, დაიღუპა 194

102. **მიქავა ასლან,** ქართველი, დაბადებული 1904 წ. დაიღუპა 1942 წლის 25 ნოემბერს.

103. **მამალაძე შოთა,** ქართველი, დაბადებული დაიღუპა 1942 წლის 26 ნოემბერს.

104. **მარქანიანი ატემეს,** სომეხი, დაბადებული 1910 წ. ბოგდანოვკაში, დაიღუპა 1942 წლის 4 დეკემბერს.

105. **ნაგაბედიანი მურატ,** სომეხი, დაბადებული 1926 წ. სოხუმში, დაიღუპა 1943 წლის 2 იანვარს.

106. **ნურდალაძე ლეონიდ,** ქართველი, დაბადებული 1914 წ. მახარაძეში, დაიღუპა 1942 წ. 14 დეკემბერს.

107. **ნირუაშვილი სიმონ,** ქართველი, დაბადებული 1899 წ. კაკაბეთში, დაიღუპა 1942 წ. 12 დეკემბერს.

108. **ნაგოიან არშაკ,** სომეხი, დაბადებული 1920 წ. დაიღუპა 1942 წ. 14 დეკემბერს.

109. **ნაპუაშვილი ილია,** ქართველი, დაბადებული 1898 წ. თბილისში, დაიღუპა 1942 წლის 22 დეკემბერს.

110. **ნაკაშიძე სიმონ ალექსანდრეს ძე,** ქართველი, დაბადებული 1905 წ. მოხისში, დაიღუპა 1943 წლის 12 ივნისს.

111. **ნელეთალიევი სარი,** თურქი, დაბადებული 1909 წ. ჩომურში, დაიღუპა 1942 წ. 21 დეკემბერს.

112. **ნიკოლაიშვილი დიმიტრი,** ქართველი, დაბადებული 1908 წ. ოზურგეთში, დაიღუპა 1942 წ. 21 დეკემბერს.

113. **ოლხოვაშვილი დავით ვასილის ძე,** ქართველი, დაბადებული 1891 წ. კოლიტში, დაიღუპა 1943 წ. 26 მაისს.

114. **ოგურჩან გიორგი,** ქართველი, დაბადებული 1913 წ. ვანში, დაიღუპა 1942 წლის 24 ნოემბერს.

115. **ყოლბაია ჯიოზ,** ქართველი, დაბადებული 1913 წ. დაიღუპა 1942 წლის 18 დეკემბერს.

116. **კვინტრაძე პროკოფი,** ქართველი, დაბადებული 1909 წ. გონჩარში, დაიღუპა 1942 წ. 25 ნოემბერს.

117. **ოდოსენიძე სანდრო,** ქართველი, დაბადებული 1909 წ. ტრებუკში, დაიღუპა 1942 წლის 2 დეკემბერს.

118. **ალადაშვილი ზაქრო,** დაბადებული 1917 წ. თბილისში, დაიღუპა 1942 წლის 3 დეკემბერს.

119. **პერეაშვილი სიმონ,** ქართველი, დაბადებული 1902 წელს. სტალინირში, დაიღუპა 1942 წლის 26 დეკემბერს.

120. **ფაჩუაშვილი ალექსანდრე,** ქართველი, დაბადებული 1902 წელს. თერჯოლაში, დაიღუპა 1942 წლის 27 დეკემბერს.

121. **პალიაბური აკაკი,** ქართველი, დაბადებული 1908 წელს ნიკორწმინდაში, დაიღუპა 1943 წლის 23 მაისს.

122. **პოლევიანი ბუგუზ,** სომეხი, დაბადებული 1908 წ. დაიღუპა 1942 წლის 2 დეკემბერს.

123. **ბასილაია ელიზბარ,** ქართველი, დაბადებული 1910 წელს წიფლისკარში, დაიღუპა 1942 წლის 1 დეკემბერს.

124. **პერუკაშვილი მაქრო,** ქართველი, დაბადებული 1922 წელს გურჯაანში, დაიღუპა 1942 წლის 29 ნოემბერს.

125. **ბუცხრიკიძე ქრისტეფორე,** ქართველი, დაბადებული 1906 წ. სირკცალში, დაიღუპა 1942 წ. 10 დეკემბერს.

126. **ფხაკაძე კიმოთე,** ქართველი; დაბადებული 1901 წ. ფარცხანაყანებში. დაიღუპა 1942 წ. 10 დეკემბერს.

127. **პაცკო დ.** ქართველი, დაბადებული 1898 წ. ქუთაისში, დაიღუპა 1942 წლის 25 ნოემბერს.

128. **პატაშვილი შალიკო ივანეს ძე,** ქართველი, დაბადებული 1922 წ. თბილისში, დაიღუპა 1943 წ. 22 მაისს.

129. **კვაჭანტირაძე არტემ პავლეს ძე,** ქართველი, დაბადებული, 1909 წელს გურიადაში, დაიღუპა 1943 წ. 13 ივნისს.

130. **ფოფხაძე ბესარიონ,** ქართველი, დაბადებული 1905 წ. თბილისში, დაიღუპა 1943 წ. 27 მაისს.

131. **პოკრაძე სამსონ,** ქართველი, დაიბადა 1903 წ. სამტრედიაში, დაიღუპა 1942 წ. 10 დეკემბერს.

132. **ბოჭორიშვილი ილია,** ქართველი, დაბადებული 1916 წ. დაიღუპა 1942 წლის 26 ნოემბერს.

133. **პაიკიძე სპირიდონ,** ქართველი, დაბადებული 1901 წ. ვანში, დაიღუპა 1942 წლის 24 ნოემბერს.

134. **როსტომოვი გიორგი,** რუსი, დაბადებული 1922 წ. თბილისში, დაიღუპა 1942 წლის 9 დეკემბერს.

135. **ზუბიტაშვილი ზოსიმე,** ქართველი, დაბადებული 1902 წ. წითელწყაროში, დაიღუპა 1942 წ. 8 დეკემბერს.

136. **სოფრომაძე ივანე,** ქართველი, დაბადებული 1906 წ. ტყიბულში, დაიღუპა 1942 წ. 18 დეკემბერს.

137. **წოწკოლაური იოსებ გიორგის ძე,** ქართველი, დაბადებული 1913 წ. დაიღუპა 1942 წ. 24 დეკემბერს.

138. **ზაბარიაძე ვასილი,** ქართველი, დაბადებული 1904 წ. გურიანთაში, დაიღუპა 1943 წ. 27 ივნისს.

139. **სანიკიძე რაფიელ დავითის ძე,** ქართველი, დაბადებული 1910 წ. ქუთაისში, დაიღუპა 1943 წ. 15 ივნისს.

140. **ზარქუა აკაკი,** ქართველი, დაბადებული 1922 წელს თბილისში, დაიღუპა 1943 წლის 27 ივნისს.

141. **სნაპიან კარეკი,** სომეხი, დაბადებული 1910 წ. დაიღუპა 1943 წლის 21 ივნისს.

142. **სოხაძე კონდრატე,** ქართველი, დაბადებული 1903 წ. თბილისში, დაიღუპა 1943 წ. 11 ივნისს.

143. **სტელმაშვილი ლევან,** ქართველი, დაბადებული 1905 წ. დაიღუპა 1943 წლის 24 ივნისს.

144. **სუბათაშვილი გიგლა,** ქართველი, დაბადებული 1923 წელს როხში. დაიღუპა 1943 წლის 9 ივნისს.

145. **სუზგალ ნიკოლოზ,** ქართველი, დაბადებული 1913 წ. ქუთაისში. დაიღუპა 1942 წ. 10 დეკემბერს.

146. **სანმოტიან ხაპიკ,** უზბეკი, დაბადებული 1910 წ. თბილისში. დაიღუპა 1943 წ. 17 დეკემბერს.

147. **სანამიან მარგოს,** სომეხი, დაბადებული 1910 წ. ახალქალაქში. დაიღუპა 1943 წ. 1 იანვარს.

148. **საკასიან ელისა საკოვ.** სომეხი, დაბადებული 1897 წ. დაიღუპა 1943 წ. 1 იანვარს.

149. **სამოლაშვილი იოსებ,** ქართველი, დაბადებული 1900 წ. ცხინვალის რაიონში. დაიღუპა 1942 წლის 17 დეკემბერს.

150. **სემტაშვილი ზაქრო,** ქართველი, დაბადებული 1903 წ. თბილისში, დაიღუპა 1942 წლის 29 ნოემბერს.

151. **სეგოშვილი გიორგი,** ქართველი, დაბადებული 1907 წ. საკირეში, დაიღუპა 1942 წ. 14 დეკემბერს.

152. **საგინაძე ილარიონ,** ქართველი, დაბადებული 1898 წ. არგუთში, დაიღუპა 1942 წ. 6 დეკემბერს.

153. **სირაძე დავით,** ქართველი, დაბადებული 1906 წ. ასკანაში. დაიღუპა 1942 წ. 8 დეკემბერს.

154. **თევზაძე იპოლიტე,** ქართველი, დაბადებული 1911 წ. ხოჯალიაში, დაიღუპა 1942 წ. 31 დეკემბერს.

155. **ტუჯანი ორფილ,** სომეხი, დაბადებული 1903 წ. ახალქალაქში. დაიღუპა 1942 წლის 17 დეკემბერს.

156. **თათარაშვილი გრიგოლი,** დაბადებული 1909 წელს თბილისში, დაიღუპა 1942 წ. 29 ნოემბერს.

157. **გაბუნია დავით,** ქართველი, დაბადებული 1914 წ. გულიხეთში, დაიღუპა 1942 წ. 11 დეკემბერს.

158. **ტერსიმაიან მასკო,** ქართველი, დაბადებული 1911 წ. თბილისში, დაიღუპა 1942 წ. 13 დეკემბერს.

(დასასრული იქნება).

ГОЛОСУЙ!
или
ПРОИГРАЕШЬ
РАЗГОН
ВСЕХ
ПОНЬМ
НЕ ВСЕ ТАК
ПРОДАЖН
КАК НАШ
ПРЕЗРЕННЫЙ ПРЕЗ
РОССИИ

რუსეთში ბევრს ეგონა, რომ კირიენკო ვერ გავიდოდა

პიკეტი სახელმწიფო სათათბიროსთან კენჭისყრის წინ

კოკოს „აი-ქიუ“ ბევრ ჩვენგანს შეშურდებოდა

ინტერნეტის საერთაშორისო კომპიუტერის ქსელის ისტორიაში პირველი „სახეობათშორისი“ საუბარი გაიმართა ამ რამდენიმე დღის წინათ, იუწყება როიტერის სააგენტო. „ამერიკა ონ ლაინის“ ქსელის 20 ათასამდე მოსარგებლემ კიბერნეტიკულ სივრცეში კავშირი დაამყარა სანფრანცისკოელ გორილასთან, რომელსაც სახელად კოკო ჰქვია. იგი 25 წელიწადს სწავლობდა ყრუ-მუნჯთა ენას. მაიმუნმა დაიზეპირა 2 ათასი სიტყვა და პასუხს სცემდა ცნობისმოყვარეებს თავისი მასწავლებლის, დოქტორ ფრენსინ პეტერსონის დახმარებით. კოკო გამოდგა ძალზე გულღია და მხიარული არსება, მაგრამ მას პირადი საქმეები უფრო იტაცებდა, ვიდრე ადამიანებთან საუბარი. მაგალითად, მოულოდნელად შეწყვიტა „საუბარი“, რათა ოთახი დაელაგებინა, ეთამაშა და ფანჯარაში გაეხედა. სხვათა შორის, კოკოს თავი ადამიანად მოაქვს და ძალზე ცუდი აზრისაა სხვა გორილებზე. კოკოს „აი-ქიუ“ (ინტელექტის კოეფიციენტი) 86 პუნქტის ტოლია, რაც ადამიანისთვისაც არ არის ურიგო. შედარებისათვის, „ჰომო საპიენსის“ ნორმალური კოეფიციენტი შეადგენს 95-105 პუნქტს. კოკოს ყველაფერი რიგზე აქვს იუმორის მხრივაც. როდესაც მეტისმეტად ცნობისმოყვარე ადამიანებთან ურთიერთობა მობეზრდა, გორილამ თქვა: „ჩააქრეთ სინათლე. ჯერჯერობით“. აქციას აწყობდა „გორილების ფონდი“. მისი მიზანი იყო, მიეპყრო საზოგადოებრიობის ყურადღება ბარის გორილების ბედისათვის. პრიმატების ეს სახეობა, რომელთა რიცხვს კოკოც განეკუთვნება, ცენტრალურ აფრიკაში ცხოვრობს და გადაშენების პირას არის მისული.

მსოფლიო პრობლემა

ყაზახეთის სოციალური უზრუნველყოფის სფეროს მძიმე დრო დაუდგა. უსახსროდ დარჩა ბევრი საავადმყოფო, საბავშვო და საპენსიო დაწესებულება, ალმა-ათაში მათხოვრობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

გინდ აშიმშილე, გინდ აშოხოცე: ხალხი მაინც კმაყოფილია!

ერაყმა დიდის ამბით იდღესასწაულა თავისი ლიდერის — სადამ ჰუსეინის დაბადების დღე, რომელსაც 61 წელი შეუსრულდა. როგორც როიტერი იუწყება, დღესასწაული გაიმართა ყველა ქალაქსა და სოფელში, ოფიციალური პრესა აქებ-ადიდებდა „ბრძენსა და დიად“ ჰუსეინს, ბაასის მმართველი პარტიის აქტივისტებმა სანქციების შედეგად დამშეულ ერაყელებს შოკოლადი, ნამცხვარი და სხვა ნუგბარი დაურიგეს. მაგრამ ხალხისთვის საქმელი როდია მთავარი. ადამიანები გულწრფელ მადლობას სწირავდნენ ალაჰსს საამაყო ლიდერის მოვლინებისათვის და შესთხოვდნენ, დიდხანს ადღეგრძელოს. სადამ ჰუსეინი ერაყს სათავეში ჩაუდგა 1979 წელს; სწორედ მისი მმართველობის დროს გადაიტანა ხალხმა რვაწლიანი ომი ირანთან და სპარსეთის ყურის ომი. შვიდი წელიწადია, გრძელდება გაეროს მიერ შემოღებული ეკონომიკური ბლოკადა, მაგრამ სადამის რეჟიმი არათუ არ ინგრევა, არამედ მტკიცდება კიდეც. ერაყელთა სიხარულს გაეროს იმ გადაწყვეტილებამაც კი ვერ მიაყენა ჩრდილი, რომელმაც ვადა გაუგრძელა სანქციებს.

კუბა ბლოკადას არღვევს

კუბამ და დომინიკანელთა რესპუბლიკამ გადაწყვიტეს, აღადგინონ დიპლომატიური ურთიერთობა, იუწყება პრენსა ლატინას სააგენტო. ზუსტად 38 წლის წინათ, ფიდელ კასტროს გახელისუფლების შემდეგ, დიპლომატიური ურთიერთობა შეწყდა. მაგრამ ქვეყნებმა გაითვალისწინეს ორმხრივი ურთიერთობის სარგებლიანობა და გადაწყვიტეს, განაახლონ კონტაქტები. როგორც სააგენტო აღნიშნავს, დღესდღეობით, შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების „ხრიკების“ მიუხედავად, კუბამ შეძლო, შეენარჩუნებინა დიპლომატიური ურთიერთობა მსოფლიოს 164 სახელმწიფოსთან, რომელთა რიცხვში ახლა უკვე კარიბის ზღვის ყველა ქვეყანა შედის.

მეხანძრეები რუსეთშიც ვაჟკაცობენ

მარტო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ტიუმენელმა (რუსეთი) მეხანძრეებმა ცეცხლს გამოსტაცეს 5.300 კაცი, ჩააქრეს 40.000 ხანძარი.

გფრ მასმედია გამარჯვებას უწინასწარმეტყველებს გენერალ ლებედს

გერმანული გაზეთები ფართოდ აშუქებენ ალექსანდრე ლებედის წარმატებას კრასნოიარსკის გუბერნატორის არჩევნებში. „ტაგესშპიგელი“, კერძოდ, აღნიშნავს, რომ რუსეთში იმას, ვისაც მნიშვნელოვანი თანამდებობა არ უკავია, აკლდება პრესის ყურადღება და სულ მალე ყველანიივიწყებენ. ალექსანდრე ლებედი, რომელიც სულ ორი წლის წინათ ელცინის მემკვიდრედ და 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ფავორიტად ითვლებოდა, ამაში დარწმუნდა საკუთარი მწარე გამოცდილებით. სახელმწიფოს მეთაურის უკანასკნელ არჩევნებში ლებედმა მოულოდნელად მესამე ადგილი დაიკავა. მაშინ ელცინმა გენერალი შეიყვანა დაახლოებულ დიდებულთა რიცხვში, რათა მეორე ტურში მისი ამომრჩევლების მხარდაჭერით ესარგებლა. გამარჯვების შემდეგ კი გააგდო ლებედი, მიუხედავად იმისა, რომ გენერალმა საოცარ წარმატებას მიაღწია ჩეჩნეთთან მოლაპარაკებაში. გამობრძმედილ მეომარს ისღა დარჩენოდა, ჩაბმულიყო კრასნოიარსკის მხარის გუბერნატორის სავარძლისათვის ბრძოლაში, და პირველ ტურში მოპოვებული წარმატებით გაექარწყლებინა სკეპტიკოსების პროგნოზები.

* * *

საშინელი აჩრდილი დაძრწის კრემლის დერეფნებში, წერს გაზეთი „ველტი“. მოსკოვის პოლიტიკური ელიტა ძრწოლით შესცქერის ციმბირს, სადაც ექსგენერალი ლებედი აპირებს, გუბერნატორად დაუდგეს მხარეს, რომელიც ერთიათად აღემატება დიდი ბრიტანეთის ტერიტორიას და უაღრესად მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. თანაც, ლებედი ციმბირს არ იკმარებს, და რეგიონული სანედლეულო გიგანტების მხარდაჭერით გაუძღვება უკმაყოფილო ხალხის მარშს მოსკოვზე, რათა 2000 წელს კრემლი აიღოს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ გუბერნატორის არჩევნების მეორე ტურში ლებედს ბედმა არ გაუღიმა, მისი შუალედური გამარჯვება, მინიმუმ, ამტკიცებს: ოპოზიციის ასეთი ქარიზმატული ლიდერი შეიძლება საშიში იყოს რეგიონის ახლანდელი მეთაურისთვის, რომელსაც ელცინი წყალობის თვალით უყურებს. შუალედური შედეგები გახდა ის ლაკმუსის ქაღალდი, რომელიც განსაზღვრავს მთელ სახელმწიფოში შექმნილ სიტუაციას. იგი მოწმობს, რომ მოსახლეობის უმრავლესობა კრემლის კურსის უკმაყოფილოა. მილიონობით რუსი მოქალაქე ხომ ნამდვილად დაზარალდა რეფორმების შედეგად. და ახლა მათ აერთიანებთ ერთი რამ: ისინი ველარ იქნებიან ვერც რეგიონული ლიდერების და ვერც შორეულ მოსკოვში, კრემლის სასახლეში გამოკეტილი ბორის მეფის დახმარების იმედად. ადგილობრივი მცხოვრებნი დაუფარავად აცხადებენ: „იქ, ზევით, ძაღლნენ და ჩვენც მაძღრები ვგონივართ. მათ უსინდისოთ გაგვყიდეს, მათ უღალატეს ამიერურალის მოსახლეობას“.

როგორი იქნება პანამის არხის ალტერნატიული ტრასა?

ნიკარაგუაში პანამის არხის ალტერნატიული საოკეანთაშორისო ტრასის მშენებლობის იდეა დიდ სიძნელეებს აწყდება, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გაურკვეველია, ვინ დააფინანსებს პროექტს, და, მეორე, — ხელისუფალნი ეჭვებს გამოთქვამენ „ეკოლოგიური ასპექტებისა და ქვეყნის სუვერენიტეტისადმი შესაძლო საფრთხის გამო“.

ნიკარაგუის პრეზიდენტი არნოლდო ალემანი, რომელმაც ეს პოსტი გასული წლის იანვარში დაიკავა, თავდაპირველად, მხურვალედ მიესალმა რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახმელეთო სატვირთო ტრასის გაყვანის წინადადებას, რომელიც შეაერთებდა წყნარი და ატლანტის ოკეანეების სანაპიროებს. მისი თქმით, წმინდა ეკონომიკური სარგებლიანობის გარდა, ეს ხელს შეუწყობდა დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას ქვეყანაში, რომელშიც სასტიკი უმუშევრობაა, აგრეთვე, მთლიანად „აამაღლებდა ნიკარაგუის კონკურენტუნარიანობას ლათინური ამერიკის რეგიონსა და მსოფლიოში“. მაგრამ, როგორც ალემანი ახლა აცხადებს, დღემდე ვერავინ შეძლო მისი დარწმუნება, რომ ამ იდეის განხორციელებ „არაფერს ავნებს ეკოლოგიას და არ შექმნის სიტუაციას, რომელიც ზიანს მიაყენებს ეროვნულ სუვერენიტეტს“.

ამჟამად განიხილავენ საოკეანთაშორისო ტრასის გაყვანის ოთხ ვარიანტს. მათგან, სამის ინიციატორები არიან კერძო ბიზნესის წარმომადგენლები, ბოლო ერთისა — რესპუბლიკის ადმინისტრაცია. სამთავრობო ექსპერტები ამჯობინებენ, მათი აზრით, უფრო ეკონომიურ გზას — მოდერნიზაციაპყონ და სატვირთო გადაზიდვებს მოუმარჯვონ ამჟამად არსებული გზატკეცილი, რომელიც აკავშირებს ორ ნავსადგურს — ნიკარაგუის პუერტო — კორინთოს, წყნარი ოკეანის სანაპიროზე, და ჰონდურასის პუერტო-კორტესს, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე. ამ პროექტის რეალიზაციის მიახლოებითი ღირებულება 300 მილიონ დოლარს შეადგენს. მაგრამ, არსებულ სირთულეებს ემატება კიდევ ერთი პრობლემა — ეროვნული და საზღვარგარეთელი ინვესტორების მცირე ინტერესი ამ პროექტისადმი.

ინგლისის მთელმა რიგმა კომპანიებმა ინტერესი გამოიჩინეს ნიკარაგუაში ე.წ. წყალსახმელეთო საოკეანთაშორისო ტრასის გაყვანისადმი. მათი ჩანაფიქრით, სავაჭრო გემები ატლანტიკიდან შეძლებენ მივიდნენ ნიკარაგუის ტბის პირას მდებარე გრანადის ნავსადგურში მდინარე სანხუანის გაელით, რომელიც კარიბის ზღვას უერთდება. ამ ადგილიდან კი გაყვანილ უნდა იქნეს რკინიგზა ზემოხსენებულ პუერტო-კორინთომდე. პროექტის განხორციელების ღირებულება არც ამ შემთხვევაში გადაამეტებს 300 მილიონ დოლარს.

მაგრამ ამ მომენტში უფრო კონკურენტუნარიანად გამოიყურება რესპუბლიკის წყნარი და ატლანტის ოკეანეების სანაპიროებს შორის რკინიგზის მაგისტრალის გაყვანის ორი ვარიანტი. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში იდეის რეალიზაციას სულ ცოტა 1 მილიარდი დოლარის დაბანდება დასჭირდება, მან ყველაზე დიდი ყურადღება მიიპყრო პოტენციური ესპანელი, მექსიკელი, სამხრეთ კორეელი და ტაივანელი ინვესტორების მხრივ. და აქეთ იხრება პრეზიდენტი არნოლდო ალემანიც, რომელიც, ამასთანავე, სიფრთხილეს იჩენს და მოუწოდებს, არ იჩქარონ დასკვნების გამოტანა, სანამ „საბოლოოდ არ ამოიფხრება ყველა ეჭვი“.

დაშნაკებს გაუხარიათ

სომხეთში 15 აპრილიდან კვლავ იწყო გამოსვლა ყოველდღიურმა გაზეთმა „ერქირმა“ — „ქვეყანამ“. ეს არის „დაშნაკცუტუნის“ პარტიის ორგანო. პარტია სომხეთში აკრძალული იყო 1994 წლის დეკემბრიდან 1998 წლის თებერვლამდე. გაზეთ „ერქირის“ გამოსვლის განახლებასთან დაკავშირებით, დაშნაკთა პარტიის იდეების გამომხატველმა ერევნის მეორე გაზეთმა „აიოც აშხარმა“ — „სომხურმა სამყარომ“ გამოაცხადა, რომ დამოუკიდებელი ხდება. დაშნაკთა პარტიის აკრძალვის პერიოდში იგი არაოფიციალურ პარტიულ ორგანოდ ითვლებოდა.



შიშს დიდი თვალები აქვს

მექსიკაში კვლავ გაიღვიძა მთვლემარე ვულკანმა პოპოკატეპეტლმა, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი მბოლავ მთას უწოდებენ.

ვულკანის ძირას მდებარე სკოლის მოსწავლეები კლასებში შერბიან პოპოკატეპეტლის ამოფრქვევის დაწყების შემდეგ.

ძაღლი ადამიანის მეგობარია, მაგრამ ალიკაპი მაინც არ აწყენს

სულ მალე საფრანგეთში აიკრძალება პიტბულების ყოლა, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. სოფლის მეურნეობის მინისტრის ლუის ლე პენსკის ინიციატივით და მთავრობის შემწეობით უმკაცრეს მოთხოვნებს წაუყენებენ ისეთი აგრესიული ჯიშების ძაღლების პატრონებს, როგორიც არის როტვეილერი, დობერმან-პინჩერი და მასტიფი. დაგეგმილია აიკრძალოს ზემოაღნიშნული საშიში ჯიშების ყოლა მრავალსართულიან სახლებში. რაც შეეხებათ კერძო სექტორის მცხოვრებთ, ისინი ვალდებული არიან, თავიანთი ალსაზრდელები სახეირონოდ ატარონ ალიკაპითა და მოკლე საბელით. ეს მკაცრი მოთხოვნები აიხსნება საფრთხით, რომელსაც ქოფაკები უქმნიან გარშემო მყოფ ადამიანებს. ქვეყნის მთავრობას განზრახული აქვს, აკრძალოს ქვეყანაში პიტბულების ჩაყვანა, ხოლო საგანგებოდ შექმნილი კომისია კონტროლს დაუწესებს ჯიშის გამრავლებას. კერძოდ, პიტბულების მფლობელებს მოსთხოვენ ოთხფეხა ალსაზრდელთა სავალდებულო სტერილიზაციას. როგორც სააგენტო აღნიშნავს, დღეს საფრანგეთში 30 ათასზე მეტი ამ ჯიშის ძაღლია. ხოლო სულ ხუთიოდე წლის წინ მათი რიცხვი 500-ს არ აღემატებოდა. ერთი ასეთი „ადამიანის მეგობრის“ ღირებულება, რომელიც ცივ იარაღზე გაცილებით უფრო საშიშია, შავ ბაზარზე 1500 დოლარი ღირს.

რუსეთი: მატულობს თანდაყოლილ დაავადებათა რისკი

რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების სწავლულებმა დაადგინეს, რომ ბავშვთა სასუნთქი ორგანოების, გულსისხლძარღვთა სისტემის ბევრი დაავადება და ალერგიული პათოლოგიები ხშირად გამოწვეულია ორგანიზმის ნეიროლოგიური დარღვევებით. ისინი ხდება ჯერ კიდევ დედის საშოში ან დაბადების შემდგომ პირველ საათებში. ბავშვის ცენტრალური ნერვული სისტემა ისპობა დედის ცუდი ჯანმრთელობის გამო. მეცნიერთა აზრით, დღეს ქალები მეტისმეტად ბევრ ფსიქიკურ-ემოციურ დატვირთვას განიცდიან. ამასთან, უარყოფით გავლენას ახდენს ეკოლოგიური ვითარების გაუარესებაც, აღნიშნავს „ციმბირის რადიო“.

მადლობა პირველ „მაქოს“ რომელმაც ბორბალი გამოიგონა

ექსპერტთა შეფასებით, „მაქოების“ წილად მოდის რუსეთის საგარეო-სავაჭრო ბრუნვის დაახლოებით 15 პროცენტი, ანუ 20 მილიარდი დოლარი. სულ კი ამ ბიზნესს ფედერაციაში მისდევს 10-დან 30 მილიონამდე კაცი.

ურჩ გადამხდელთა შორის გამოჩენილი პიროვნებებიც იყვნენ

„რატომ არ იხდიან ერთნი, ან ცდილობენ, არ იხადონ ბეგარა, — ეს გასაგებია. გაუგებარი ის არის, რატომ იხდიან ბეგარას მეორენი“, — ამბობენ ავტორიტეტული ფინანსისტები. დაბეგვრის ისტორია უფრო მეტ საიდუმლოებებს შეიცავს, ვიდრე — კრიმინალისტიკისა. უცნაურია, მაგალითად, რომ „წესიერ“ და „ურჩ“ გადამხდელთა თანაფარდობა ევროპაში საუკუნეების მანძილზე პრაქტიკულად უცვლელი რჩებოდა. პირველ მსოფლიო ომამდე გერმანიაში საგადასახადო ანარიცხების 8-12 პროცენტი „ყაჩაღურად“ ითვლებოდა. 1918 წლის შემდეგ ეს პროცენტი ორჯერ გაიზარდა. ახლა გადასახადი მთანთქავს გერმანული ოჯახის თითქმის ნახევარ შემოსავალს, მაგრამ ურჩ გადამხდელთა პროცენტი იგივე დარჩა. წარსულში მათ შორის ფინანსთა მინისტრი და კანცლერიც კი იყვნენ.

გოეთე, ვაიმარის ფინანსთა მინისტრად ყოფნისას, ყოველწლიურად იღებდა შემოსავალს 3000 ტალერის ოდენობით, აგრეთვე, ორჯერ მეტ ჰონორარს, ხოლო ხაზინაში იხდიდა სულ 150 ტალერს. მართალია, დიდი მწერალი ლეგალურად მოქმედებდა და მარტოოდენ საკუთარი კეთილდღეობისათვის როდი ზრუნავდა: მაგალითად, მან გაატარა რეფორმა, რომელიც უპირატესობას ანიჭებდა ბეგარის წვრილ გადამხდელებს. მაგრამ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა 1808 წელს, როდესაც ვაიმარში ნაპოლეონის ჯარები შეიჭრნენ. ყველა და, მათ შორის, გოეთეც, იძულებული იყო, ენაღდებინა „სამხედრო სესხი“.

თავისებურად ეკიდებოდა გადასახადს კანცლერი ჰიტლერიც. როდესაც „მაინ კამფის“ გამოცემით მიღებული შემოსავლის გვარიანი ნაწილი ჩამოაჭრეს გადასახადის სახით, მან დაავალა მოხელეებს, გამოენახათ საბაბი, რომელიც ამ უსიამო მოვალეობისგან გაათავისუფლებდა. საბაბიც უპოვეს: ჰიტლერი შეადარეს კეისარს, რომელზეც არ ვრცელდებოდა ბეგარის კანონი.

ხრიკების უმრავლესობა დღესაც სავსებით ლეგალურ ხასიათს ატარებს. მაგალითად, გერმანელი ფეხბურთელები, მორიგი მატჩის თამაშის შემდეგ, მიემგზავრებიან ბელგიაში, კალიფორნიაში ან სხვა საგადასახადო სამოთხეში, რაც მათ აძლევს უფლებას, არ იხადონ ბეგარა გერმანიაში. ასევე იქცევიან ჩოგბურთელები ბორის ბეკერი, შტეფი გრაფი და ავტომრბოლი მიხეილ შუმახერი. გერმანიის ყველაზე მდიდარი კაცი ფრიდრიხ კარლ ფლიკი, რომელმაც 1994 წელს მამამისის კონცერნი გაყიდა, მიღებული ამონაგებიანად საცხოვრებლად ავსტრიაში გადავიდა, რის შედეგადაც ახლა გერმანიის ხაზინას ყოველწლიურად აკლდება 100-100 მილიონი მარკა. ყოველივე ეს ხდება სრულიად ლეგალურად. ბეგარის გადახდისგან თავის არიდების ხერხებზე წიგნები იწერება. სპეციალური კონსულტანტები კონფიდენციალურ რჩევა-დარიგებას იძლევიან და ამგვარ მომსახურებაზე დიდი მოთხოვნაა. გერმანელთა 80 პროცენტს მიაჩნია, რომ საგადასახადო კანონმდებლობის მიმართ მოქალაქის პატიოსნება, უწინარესად, მის სიბრიყვეს მოწმობს. თუმცა, ნაირ-ნაირ ხრიკებს მიმართეს როგორც ერთი, ისე მეორე მხარე. პრუსიის მეფე ვილჰელმ ფრიდრიხ I, რომელმაც პარიკის ტარების გადასახადი შემოიღო, მიმართავდა „ბლიცშემოწმებებს“; კონტროლიორები შინ უცვიედებოდნენ და თავზე პარიკებს ჰგლეჯდნენ მოქალაქეებს, რათა შეემოწმებინათ გადახდის მარკის არსებობა. საკვირველი გადასახადი მოიგონეს XVIII საუკუნეში ვიურტემბურგის ხელისუფლებმა — ბელურებზე. როდესაც ჩიტები მეტისმეტად გამრავლდნენ, ყოველი სახლის პატრონს მოსთხოვეს გაენადგურებინა ლუჟინი ბელურა, რაშიც 6 კრეიცერს იღებდა. უნიათო მეპატრონე ხაზინას უხდიდა 12 კრეიცერს, მაგრამ მას ერჩივნა, საჭირო რაოდენობის მკვდარი ბელურები ეყიდა იატაკქვეშა ვაჭრისგან, რომელიც ჩიტებს ქალაქის სანაგვეზე აგროვებდა. ფრიდრიხ დიდმა მოიგონა ყავის გადასახადიც — 8 ვერცხლის გროში გირვანქაში, მაგრამ ემმაკი გურმანები ჩუმჩუმად შეექცეოდნენ ყავას. ახლანდელი ხელისუფალნი ასევე გამუდმებით იგონებენ საბაბს გადასახადის გასაზრდელად, ანდა, ახალ ბეგარას აწესებენ. ამასთან, საფინანსო უწყებები, ზნეობის დაცემასთან ბრძოლის პროცესში, ურჩ გადამხდელებს ხშირად უწნეო მეთოდებით აცლენენ: გახსნილი აფერების 20 პროცენტი ნებაყოფლობითი მაბეზღარების შემწეობის წილად მოდის.

მას შემდეგ, რაც შუმერების სახელმწიფოში (ძველი წელთაღრიცხვის 3000 წ) პირველად შემოიღეს საქალაქო გადასახადი, ისტორიაში გაჩნდა სიახლე — ომები, აჯანყებები და რევოლუციები, რომელთა მიზეზი გახდა მაღალი გადასახადები. საფრანგეთის რევოლუციის დროს 1789 წელს ჯარისკაცებისა და მებაჟეების 50-ათასიანი არმია მოსახლეობას შესია მარილის ბეგარის ასაღლებად.

გადაუხდელობისა და მარილის კონტრაბანდისათვის ყოველწლიურად გალერებზე გზავნიდნენ მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს. 1524 წელს გერმანიაში უზომო ბეგარის გამო აჯანყდნენ გლეხები. დამსჯელი აქციები და მოსახლეობის პროტესტები საპასუხო რეაქციას იწვევდნენ, მაგრამ გადასახადის მიმართ დამოკიდებულება იგივე რჩებოდა.

გადასახადისა ყველა უკმაყოფილოა. ერთმა ქალმა არ ისურვა ბანკში შეენახა დანაზოგი, რათა არ ეხადა ანაბრის სარგებლის გადასახადი, თუმცა თანხა ისეთი იყო, რომ გადასახადით არ იბეგრებოდა. მეორე თავისამრიდებელმა პენსიონერმა იგივე მოტივით გადაიტანა თავისი დანაზოგი შვეიცარიის ბანკში, რამაც ყურები დააცქვეტინა საგადასახადო ინსპექტორებს. რესტორნების მფლობელები სულ უფრო ხშირად ყიდულობენ საქონელს არა ბითუმად მოვაჭრეებისაგან (ფასდაკლებით), არამედ სუპერმარკეტის პატრონისაგან (უქვითროდ). ეს ხელს აძლევს ორივეს. უქვითროდ არემონტებენ ბინებს, სვამენ პროთეზებს. ურჩ გადამხდელთა ნაირ-ნაირი ოინების შედეგად გერმანიის ხაზინას ყოველწლიურად აკლდება **15-დან 40 მილიარდამდე მარკა.** ბეგარის გადახდისათვის თავის არიდება ახალი „მასობრივი სახეობის სპორტი“ ხდება.

ჟურნალი „РМ“, გერმანია. ბონი.

უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „მედიანას“ მასალების მიხედვით.

გვერდის რედაქტორი
არჩილ მანჯგალაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასტაქარი

მან ასობით ადამიანს თვალისჩინო დაუბრუნა

ამჯერად მკითხველს მსურს მოვუთხრო ერთ ჩვენს თანამემამულეზე, ჭეშმარიტ პატრიოტზე, რომელიც ამჟამად, სამწუხაროდ, ჩვენს შორის აღარ არის. ეს გახლავთ თეერატ გორგილაძე, ქობულეთის რაიონის სოფელ გორგაძეებში, იუსუფ გორგილაძის ოჯახში დაბადებული კაცი.

საქართველოში ექიმობა ოდითგანვე საპატიო პროფესიად ითვლებოდა... ექიმობაზე ოცნება თეერატს ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან დაჰყვა. ეს ოცნება კი 1948 წელს აუხდა, როცა ოდესის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კარი შეაღო.

რატომ ოდესის? — იკითხავს მკითხველი, — ამის ბედნიერი მიზეზი ის გახლდათ, რომ 1948 წლის ზაფხულში ბათუმს სტუმრად ეწვია მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი, საბჭოთა ოფთალმოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, აკადემიკოსი ვლადიმერ ფილატოვი. იგი აჭარის ჯანდაცვის მინისტრის ნეერესტან მამიკაშვილის პირადი სტუმარი იყო. სწორედ მაშინ გადაწყდა აჭარიდან ოდესაში ახალგაზრდების სასწავლებლად გაგზავნა. მათ შორის იყო თევრათიც...

თევრათმა სტუდენტობის დროს ოკულისტობა აირჩია და ამ პროფესიას სიცოცხლის ბოლომდე ერთგულა. მისი მოწოდება სწორედ ეს იყო და მის განსწავლამში დიდი წვლილი მიუძღვის სახელოვან მასწავლებელს, აკადემიკოს ვ. ფილატოვს, რომელიც ძალზე დაინტერესდა ქართველი ჭაბუკის მუყაითობით და უკვე მეოთხეკურსელი, ინსტიტუტში წაიყვანა სტაჟირებისათვის. 1952 წლის 31 დეკემბერს იშვიათი რამ მოხდა: ვ. ფილატოვი კრუიზით ჩამოვიდა ბათუმში. ახალი წლის ღამეს გემზე შეხვდა, ხოლო მეორე დღეს თევრათმა სოფელში მიიწვია. ამის შემდეგ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ოფიციალური ურთიერთობა მამა-შვილურ ურთიერთობაში გადაიზარდა. სულ რაღაც ერთი წლის გამოცდილების ექიმს სახელოვანმა აკადემიკოსმა, სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე, ოქროთი მოვარაყებულ ჩარჩოში ჩასმული საკუთარი პორტრეტი აჩუქა გულთბილი წარწერით. ეს იყო თავისი ერთგული მოწაფის მეცნიერულ მემკვიდრედ აღიარება. თევრათი ვ. ფილატოვის ერთ-ერთი უკანასკნელი და უახლოესი მოწაფე გახლდათ და სახელმოხვეჭილმა მეცნიერმა, აღსასრულის მოახლოებისას, ფაქტობრივად, მას გადააბარა ყველა იდეა და წამოწყება, რაშიც ქვემოთ დავრწმუნდებით. „თევრათს ჩვენი განსვენებული აკადემიკოსის გედის სიმღერად ვთვლითო“, — უთქვამს თავის დროზე ინსტიტუტის მთავარ ექიმს, ევდოკია ბუდილოვას: საქმე ის იყო, რომ ვ. ფილატოვმა იცოდა ვინ შეძლებდა მისი დიდი ხნის ნაფიქრალის ხორცშესხმას და არჩევანი სწორედ ახალგაზრდა ქართველ ექიმზე შეაჩერა. ეს იყო რქოვანას გადანერგვის (კერატოპლასტიკის) უახლესი მეთოდი, რომლის პრიორიტეტი თავის მასწავლებელთან ერთად თევრათ გორგილაძესაც ეკუთვნის.

ამ მეთოდს იყენებენ მაშინ, როცა მხედველობას მყარი ლიბრის გაჩენით კარგავენ. ეს არის რქოვანა გარსის ამღვრევა, რომლის მკურნალობა ჩვეულებრივი მეთოდებით არ ხერხდება, თევრათმა კიდევ უფრო გააღრმავა, გააუმჯობესა და სრულყო ეს მეთოდი და მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრება ოფთალმოლოგიის ამ პრობლემას მიუძღვნა. ამ საქმეში მხარს დიდად უჭერდა თავისი ხელმძღვანელი, პროფესორი დავით ბუშმიჩი. სადოქტორო დისერტაციის დაცვამდე თევრათის მეთოდს ინსტიტუტის მრავალი სპეციალისტი იყენებდა.

თანამშრომლები კარგად ხედავდნენ მის დახვეწილ ინტელექტს, მომავალს და უდიდესი მზრუნველობით ეკიდებოდნენ. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ჩვენმა სასიქადულო თანამემამულემ მთელი დარჩენილი სიცოცხლე ამ ინსტიტუტში გაატარა.

იგი ოდესაში დაოჯახდა, შეეძინა ორი ქალიშვილი, რომელთაგან ლიანა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია, იქვე, ვ. ფილატოვის სახელობის ინსტიტუტში მუშაობს და მამის გზას აგრძელებს. უმცროსი თამილა უცხო ენების სპეციალისტია, ინგლისური და ესპანური ენების მცოდნე, ოდესის პოლიტიკურ ინსტიტუტში კითხულობს ლექციებს.

ბატონ თევრათ გორგილაძის სიკეთე თავის მშობლიურ აჭარას სხვა მხრივაც მისწვდა. 1983 წელს, როცა ბათუმში ვისვენებდით, დავათვალიერეთ რესპუბლიკური საავადმყოფოს თვალის განყოფილება. ბარაკული ტიპის შენობა, რომელიც 1902 წელს არის აშენებული და უბადრუკად გამოიყურებოდა. ბატონმა თევრათმა სურვილი გამოთქვა შენობის რეკონსტრუქციისა და მისი თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვისა. თავად გასწია შუამდგომლობა, რის შემდეგ საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების სახსრებიდან გამოიყო 120000 მანეთი. პროექტის მომზადება და მშენებლობა სააქციო საზოგადოება „ინტურისტის“ (რომლის გენერალური დირექტორი თევრათის ძმა, ბატონი რევაზ გორგილაძე იყო) სარემონტო კანტორამ იკისრა. მალე ძველი შენობა მართლაც საკმაოდ გაფართოვდა, მთლიანად გადაკეთდა ამორტიზებული ბარაკი, ამოქმედდა ახალი საოპერაციო ახალი მოწყობილობით, სადაც ახლა ურთულეს ოპერაციებს აკეთებენ. აქვე მუშაობს თევრათის აღზრდილი, მისივე მოწაფე და ძმისშვილი, უკვე საკმაოდ აღიარებული ექიმი, მარინე გორგილაძე.

თევრათის საქმიანობაში იყო რაღაც განსაკუთრებული, მიმზიდველი, კეთილშობილური, მისაბაძი. უპირველესად, ეს იყო პაციენტებისადმი უდიდესი ყურადღება, გულთბილობა, გულისხმიერება და სიყვარული.

სხვადასხვა დროს თევრათ გორგილაძე ხანგრძლივი დროით მიველინებული იყო ბულგარეთში, უნგრეთში, იუგოსლავიაში, ტუნისში, ერაყში, კუვეიტში; სწორედ ამ ქვეყანაში აუხილა თვალი კუვეიტის ვაჭრობის მინისტრს. მადლიერმა პაციენტმა საკუთარი სახსრებით ააშენა ინსტიტუტის გვერდით უზარმაზარი კორპუსი, სადაც შემდგომში თვალის კლინიკა და სხვა განყოფილებები გაიხსნა.

1967 წელს თევრათ გორგილაძე ტუნისში მიიწვიეს და მეუღლესთან, ნევროპათოლოგ ნონა გორგილაძესთან ერთად ორი წლით გაემგზავრა კიდეც. ტუნისში თევრათმა ათას ორასზე მეტი ოპერაცია გააკეთა. ოპერაციებს ყოველთვის ესწრებოდა იქაურ ექიმთა დიდი ჯგუფი, თევრათ გორგილაძის სახელიც ძალიან მალე მთელ ქვეყანას მოედო და მის უმაღლეს ხელმძღვანელობამდეც მიაღწია. ამიტომ იყო, რომ მოსახლეობის სამედიცინო დახმარების დარგში დიდი დამსახურებისათვის პრეზიდენტ ბურგიბას დეკრეტით თევრათ გორგილაძე უმაღლესი ჯილდოთი — „რესპუბლიკის ორდენით“ დაჯილდოვდა. ის იყო პირველი უცხოელი სპეციალისტი, რომელმაც ტუნისის მთავრობის ეს მაღალი ჯილდო მიიღო.

ორი წლის შემდეგ თევრათი ძირითად სამუშაოს დაუბრუნდა. მის ავადმყოფთა გეოგრაფია ვრცელი, ხოლო მათი რაოდენობა უთვალავი იყო. მასთან ნახავდით უკრაინელებს, რუსებს, ებრაელებს, აზერბაიჯანელებს, სომხებს, ბერძნებს, კუბელებს, აფრიკელებს, იუგოსლავებს და, ვინ მოთვლის, კიდევ ვის. მაგრამ მისთვის ქართველი ყველაფერს ნიშნავდა და ჩვენებურებიც უშურველად სარგებლობდნენ დიდად განსწავლული თანამემამულის სიკეთითა და ყურადღებით.

სამადლობელი ბარათებიც მდინარესავით მოედინებოდა და მოჰქონდა ადამიანთა უღრმესი თაყვანისცემა...

1974 წელს თევრათ გორგილაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია... იმავე წელს იგი კერატოპლასტიკის განყოფილების ხელმძღვანელად დანიშნეს. სიცოცხლის მანძილზე მან 200-ზე მეტი სამეცნიერო შრომა მოამზადა, რომელთა შორის რამდენიმე მონოგრაფიაა. ერთი წიგნი „რქოვანას გადანერგვა“ ბატონ აზიზ ახვლედიანის ხელდასმით აჭარის გამომცემლობაშიც დაიბეჭდა და დიდად მეამაყება, რომ ამ წიგნის რედაქტორად ავტორმა სწორედ მე ამომირჩია.

თევრაზი 12 გამოგონების ავტორია, მათ შორისაა მსოფლიოში აღიარებული დანა ტრეპანი, რომლით ნაოპერაციები 96 პროცენტი სრულიად განიკურნა, ხოლო დანარჩენ 4 პროცენტს მდგომარეობა გაუუმჯობესდა.

თევრათის ხელმძღვანელობით მომზადდა 15 სადოქტორო და 29 საკანდიდატო დისერტაცია, შეფასებასაც არ დაუყოვნებია — თევრათ გორგალაძეს უკრაინის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა.

ვფიქრობ, უადგილო და უინტერესო არ იქნება თუ ერთხელ კიდევ გავიხსენებთ, რას წარმოადგენს მის მიერ მედიცინაში არჩეული პრობლემა.

ადრე გადანერგილ რქოვანას (ტრანსპლანტატს) თვალის ქსოვილში ამაგრებდნენ კონიუნქტივური ლენტით. ფიქსაციას ავადმყოფი კარგად იტანდა, მაგრამ ოპერაციის შემდეგ მას ბევრი გართულება მოსდევდა. კლინიკაში შემუშავდა ბიოლოგიური ნაკერების დამაგრების ახალი მეთოდი — ფიქსაცია ვიბრინული აფსკით, რის შედეგადაც თვალი ამ, ერთის შეხედვით უცხო სხეულს კარგად ეგუება, ხოლო ერთი კვირის შემდეგ იგი მთლიანად შეიწოვება და მისგან არავითარი კვალი არ რჩება.

ამ მეთოდმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა საზღვარგარეთ, რაზეც მეტყველებს სპეციალისტთა დიდი ნაკადის ჩამოსვლა ოდესაში საქმის ძირითადი არსის გასაცნობად. აქ ჩამოდიოდნენ არამარტო აფრიკის, არამედ ამერიკისა და ევროპის განვითარებული ქვეყნებიდან: იტალიიდან, ვატიკანიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან, იუგოსლავიიდან, ესპანეთიდან და ა. შ.

კიდევ ერთი კაცის შთაბეჭდილებაზე მოგითხრობთ. ბიძაჩემს აქიფ ჭალალიძეს სამინელი კატარაქტა აწუხებდა. ბათუმში ჩამოსულ თევრათს გავასინჯეთ და საოპერაციოდ ოდესაში დაიბარა.

დიდებულად მიგვიღო.

მალე ოპერაციაც გაკეთდა და... ახლა ქვეყანას თუ ვხედავ და ხელის ცეცებით არ დავდივარ, ეს იმ ღვთისნიერი კაცის მადლია, ღმერთმა სამოთხეში, ნათელში ამყოფოსო, იტყვის ხოლმე ბიძაჩემი.

ხანგრძლივი დროით უცხოეთში ყოფნის მიუხედავად, თევრათ გორგილაძე არასოდეს წყვეტდა კავშირს ქართველ კოლეგებთან. ცნობილ თბილისელ პროფესორ ალექსანდრე შატილოვთან, შემდეგ კი მის ქალიშვილთან, პროფესორ ტატიანა შატილოვასთან მუდმივი საქმიანი და ურთიერთსასარგებლო კონტაქტები ჰქონდა. ასევე ყოველთვის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოიხსენიებდა ხოლმე თავის უმცროს კოლეგას, ცნობილ პროფესორს ივა ბერაძეს.

1995 წლის დეკემბერში თევრათ გორგილაძე კვლავ გვეწვია აჭარაში. ამჯერად იგი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის სტუმარი იყო. პირველად სწორედ მას გაუმხილა გულისნადები: ბათუმის თვალის განყოფილებას მეორე სართულს დავაშენებ, გავხსნი ახალ სადიაგნოსტიკო და სამკურნალო განყოფილებებს და სამუშაოდაც საბოლოოდ აქ ჩამოვალო.

— ოთხ-ხუთ თვეში განყოფილებას აშენებულს დაგახვედრებთ, მოწყობილობასაც ჩვენ შევიძენთ, ოღონდ თქვენ ჩამობრძანდითო, — უპასუხა ბატონმა ასლანმა და მართლაც დაიწყო ამ დიდი საქმის სამზადისი, მაგრამ...

... ორი თვის შემდეგ, 1996 წლის 7 მარტს თევრათ გორგილაძემ შეკრიბა თავის განყოფილებაში მომუშავე ოცდათორმეტივე ქალბატონი, ყველას მიულოცა ქალთა დღე, გადასცა საჩუქრები, გამოემშვიდობა და სახლისაკენ გაემართა საკუთარი ცოლ-შვილისათვის მისალოცად. ინსტიტუტის კიბე ჩაათავა და ბოლო საფეხურზე შეჩერდა... მისი სიკვდილიც სიმბოლური იყო. მშობლიური ინსტიტუტის კოლექტივი, რომელთანაც თევრათ გორგილაძემ ორმოცდაორი წელი იღვაწა, დიდი გულისტკივილით გამოეთხოვა სახელოვანი ოჯახის ღირსეულ წევრს, ჭეშმარიტ მკურნალს, პედაგოგსა და პატიოსნებით აღსავსე მოქალაქეს.

ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ივან ლოგაიმ, თქვა: „ეს იყო შესანიშნავი ექიმი, რომელმაც ასობით ადამიანს დაუბრუნა თვალისჩინი, ეს იყო მასწავლებელი, რომელმაც მრავალს შეასწავლა ოფთალმოლოგიის საიდუმლოებანი. ეს იყო ადამიანი, რომელიც მრავალს დაეხმარა ცხოვრების მოგვარებაში. ეს იყო შესანიშნავი მეგობარი, რომელთანაც ნებისმიერ დროს შეიძლებოდა მისულიყავი რჩევისათვის, მას ყოველთვის ჰყოფნიდა დრო და მოთმინება ავადმყოფებისა და მეგობრებისათვის“.

რამაზ სურმანიძე,
უცხოეთის თანამემამულეებთან ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ქველმოქმედება

«გიყვარდეს მოყვასი შენი» — ცხოვრების კრედო

ორგანიზაცია „საქნავთობპროდუქტის“ ხსენება ზოგიერთის წარმოდგენაში იქნებ დიდ თანხასთან ასოცირდება, ზოგს კი მასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, ნავთი და ბენზინი მოაგონდება.

ერთ დროს, მთელი რესპუბლიკის ნავთობპროდუქტებით მომარაგება, შემდეგ მისი რეალიზაცია მხოლოდ ამ უწყების მონოპოლია იყო: წელიწადში 4 მილიონ ტონაზე მეტი ნავთობპროდუქტი შემოჰქონდა.

ახლა სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო, ორგანიზაციას მძიმე დღეები უდგას, დიდ ფინანსურ სიძნელეებს განიცდის და მიუხედავად ამისა, შარშან, პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად, საგურამოს ასთმით დაავადებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის მეურვეობა იკისრა.

კომპანიის ხელმძღვანელები შეეცადნენ, ოდნავ მაინც შეემსუბუქებინათ მძიმე ხვედრი დედ-მამის კალთას მოცილებული, ავადმყოფი ბავშვებისათვის.

უწინარეს ყოვლისა, იმაზე იზრუნეს, ბავშვებს თბილ ოთახებში ემეცადინათ, გარდა ამისა, საახალწლოდ და შემდეგაც უხვად აუტანეს საჩუქრები. 1998 წლის დამდეგიდან კი ტრადიციასაც ჩაუყარეს საფუძველი: ყოველ თვეში, შესაბამისად, „იუბილარ“ ბავშვებს, მთელი ინტერნატისთვის მოწყობილ „ალაფურშეტებზე“ დაბადების დღეს ულოცავენ და ასაჩუქრებენ ხოლმე.

ასე იყო იანვარში, თებერვალში, მარტში, აპრილში. სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები, რომლებიც ნაკლებად არიან განებივრებული სანახაობითი ღონისძიებებით, კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ კიკნაძემ მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლზე დაპატიჟა.

ისეთი ორგანიზაციის თავკაცს, როგორიც სახელმწიფო კომპანია „საქნავთობპროდუქტია“, საქმესა და საქმიან შეხვედრებს რა გამოულევს, მაგრამ, როცა ბავშვებთან აქვს შეხვედრა დაგეგმილი, მისთვის სხვა საზრუნავი აღარ არსებობს.

პირადად არჩევს და ყიდულობს საჩუქრებს ბავშვებისთვის, თავისი ხელით ურიგებს მათ ტკბილეულს, ეფერება პატარებს, სახელდახელო კონცერტებზე ხმასაც შეაშველებს ხოლმე ნორჩ მომღერლებს. მუდამ სიხარულით ხვდებიან და ელოდებიან ბატონ ვახტანგს ბავშვები.

შეგონება — „გიყვარდეს მოყვასი შენი“ — ვახტანგ კიკნაძის ცხოვრების მრწამსია.

რომან ლეჟავა.

სურათზე: ვახტანგ კიკნაძე (შუაში) ასთმით დაავადებულ საგურამოს ბავშვთა სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებთან.

არქივი

ქართული დემოკრატიის ისტორიისათვის

ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანას, როგორც მრავალეროვან სახელმწიფოს, სხვადასხვა ერების წარმომადგენლებთან თანაცხოვრების მდიდარი ისტორიული გამოცდილება აქვს. XII საუკუნის საქართველოში, რომელიც წინა აზიის განვითარებული საერთაშორისო ეკონომიკური და კულტურული კავშირების ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა, იმატა უცხოელთა რიცხვმა. უცხოელთა და სხვა სარწმუნოების მქონეთა უმეტესობა სომხები (გრიგორიანები), არაბები, სპარსელები და თურქები (მუსლიმანები) იყვნენ. XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლება თავის რელიგიურ პოლიტიკაში ატარებდა სარწმუნოებათა თავისუფლების — რჯულშემწყნარებლობის პრინციპს. თითქმის ყველა უცხოელი ისტორიკოსი, რომელიც ამ პერიოდის საქართველოს შეეხო, არ დარჩენილა გულგრილი ქართველ მეფეთა ტოლერანტობისადმი.

მრავალეროვან საქართველოში ეროვნულ საკითხს გარკვეულ ყურადღებას უთმობდა პირველი რესპუბლიკის ხელისუფლებაც. იქ, სადაც საქართველოს მკვიდრი და სხვა ეროვნებები კომპაქტურად არ ცხოვრობდნენ და ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდნენ, მათი ეროვნული უფლებების დაცვა საერო თვითმმართველობის კომპეტენციას დაექვემდებარა.

პირველი რესპუბლიკის ხელისუფლება, შეძლებისდაგვარად, ყველაფერს აკეთებდა ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვისათვის. ხელისუფლების დამოკიდებულება ეროვნული უმცირესობებისადმი აისახა საქართველოს კონსტიტუციაშიც, რომელიც მიიღო საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს. კონსტიტუციის 129-ე მუხლში ვკითხულობთ: „არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედაენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა.

ყველას აქვს უფლება წეროს, ბეჭდოს და ილაპარაკოს დედაენაზე.

ხელისუფლებას ჯეროვნად ჰქონდა გააზრებული ის გარემოება, რომ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის გარეშე შეუძლებელი იყო ქვეყანაში ევროპული დემოკრატიის დამკვიდრება.

ამიერკავკასიის მთავრობა თავისი ფუნქციონირების მოკლე პერიოდში სერიოზულ ყურადღებას უთმობდა ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვას. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესო დოკუმენტს მივაკვლიეთ საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში. იგი ეხება ამიერკავკასიაში მცხოვრები რუსი მოსახლეობის დაცვის საკითხს. აი, ეს დოკუმენტიც, რომელსაც ჰქვია „ამიერკავკასიის მთავრობისგან ამიერკავკასიის რუს მოსახლეობას“.

„ამიერკავკასიის მთავრობა უკანასკნელ ხანებში იღებს სხვადასხვა ადგილებიდან ცნობებს რუსულ მოსახლეობაზე ხშირი თავდასხმების შესახებ, რასაც თან ახლავს მკვლელობა, ძარცვა, პირუტყვისა და ქონების დატაცება, — ვკითხულობთ მასში — ამავე დროს უპასუხისმგებლო პირები გაძლიერებულ აგიტაციას ეწევიან რუსი გლეხობის წინააღმდეგ, კერძოდ, ამტკიცებენ, რომ რუსი გლეხები არ წარმოადგენენ მათ მიერ დამუშავებული მიწების მფლობელებს და რომ ეს მიწები კანონით ეკუთვნის მკვიდრ მოსახლეობას.

ამიერკავკასიის მთავრობა გადაჭრით ამტკიცებს, რომ რუსი მშრომელი გლეხობა, როგორც ამიერკავკასიის მშრომელი დემოკრატიის ნაწილი, სარგებლობს ყველა უფლებით მიწის მისაღებად სხვა ეროვნების გლეხებთან ერთად. ბნელი ელემენტების აგიტაცია, რომელთა სურვილია ამიერკავკასიიდან რუსი მშრომელი გლეხობის გასახლება, წარმოადგენს დანაშაულებრივ პროვოკაციას.

ამიერკავკასიის მთავრობა მოუწოდებს რუს მშრომელ გლეხობას, არ აჰყვეს ჩრდილოეთ კავკასიაში ან შიდა რუსეთში გადასახლების სტიქიურ გრძნობებს. ასეთი მასობრივი გადასახლება ამიერკავკასიიდან, რომელთანაც რუსი მოსახლეობა დაკავშირებულია მრავალწლიანი ცხოვრებით, დაუშვებელია... ამიერკავკასიის მთავრობა მიმართავს რუს მოქალაქეებს მხურვალე მოწოდებით, არ წამოეგონ დამნაშავე აგიტატორების პროვოკაციაზე და ნუ დატოვებენ მშობლიურ სოფლებს და მიწებს. რუსი გლეხობის უფლებები მათ მიერ დამუშავებულ მიწებზე უდავოა. რუსი გლეხობის მოქალაქეობრივ და ქონებრივ უფლებებს ყაჩაღთა ბანდების ხელყოფისაგან, რომლებიც მოქმედებენ მავნე ელემენტების გავლენით, დაიცავს მთავრობა, რომელიც საამისოდ გადამჭრელ ზომებს მიიღებს, რათა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი რუსი გლეხობის შენარჩუნებას, შეუქმნას მას სათანადო პირობები ყოფაცხოვრებისათვის“.

დოკუმენტს ხელს აწერს ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარე, ქართველ მენშევიკთა ერთ-ერთი ლიდერი გეგეჭკორი და თარიღდება 1918 წლის 14 მარტით.

ქვეყნის მმართველობაში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებაზე მკაფიოდ მეტყველებს საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის 1918 წლის 15 ივლისის მიმართვა რესპუბლიკის მთავრობისადმი, რომელშიც სხვა საყურადღებო საკითხებთან ერთად გამოთქმულია მოსაზრება საქართველოს ეროვნულ საბჭოში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მიღების შესახებ. ამავე დოკუმენტში მოცემულია ცნობები საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა რაოდენობის შესახებაც. ამავე საარქივო საბუთში ხაზგასმითაა აღნიშნული ისიც, რომ ქართული ენის მეტნაკლები ცოდნა ეროვნული საბჭოს წევრებისათვის აუცილებელია.

გთავაზობთ ამ დოკუმენტს, რომელსაც ეწოდება „მოხსენება შესახებ კანონპროექტისა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობისა საქართველოს ეროვნულ საბჭოში“.

„საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, თანახმად სამანდატო კომისიის წინადადებისა, თავის კრებაზე ამა წლის მაისის 29-ში დაადგინა: „საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელნი საქართველოს ეროვნულ საბჭოში მიღებული იქნან ამ ერების მოსახლეობის რაოდენობის პროპორციით. თვით წარმომადგენლების მოწვევა ხსენებულ ერების ნაციონალურ საბჭოთაგან და სხვა ამგვარ დაწესებულებებთან შეთანხმებით მოხდეს“. ამ დადგენილების განხორციელება შეუძლებელი იყო იმ დრომდის, ვიდრე საქართველოს ეროვნული საბჭო არ მიიღებდა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის კანონს, ვინაიდან ყოვლად წარმოუდგენელი და შეუძლებელი იქნებოდა, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრი გამხდარიყო ისეთი პირი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე არ იქნებოდა. ამჟამად, როდესაც კანონი საქართველოს მოქალაქეობისა უკვე მიღებულია, შესაძლებელია სისრულეში მოყვანა ეროვნულ საბჭოს ზემოხსენებულ დადგენილებისა. სამანდატო კომისიამ გამოიანგარიშა დაახლოებით რიცხვი საქართველოს ტერიტორიაზედ მცხოვრებ სხვადასხვა ერებისა, მაგრამ ამ გამოანგარიშების დროს მხედველობაში მიიღო მხოლოდ მკვიდრი მცხოვრებნი საქართველოსი და არა დროებით ჩამოსულნი. მხედველობაში მიიღო, აგრეთვე, ისიც, რომ ზოგიერთ ერის წარმომადგენლების მიერ დასახლებული სოფლები სავსებით აიყარნენ საქართველოს ტერიტორიიდან და სხვა ქვეყნებში გადასახლდნენ. ეჭვს გარეშეა, რომ ეს სტატისტიკური ცნობები არ არის სავსებით სწორე, მაგრამ დაახლოებით მაინც წარმოადგენს ამ ერთა მოსახლეობას საქართველოს ტერიტორიაზეც. ამ ცნობების მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე სახლობენ: სომხები — 200 000 ცოტა მეტი, თათრები — 80 000, ოსები — 45-50 000-მდე, აფხაზები — 9 000-ზე მეტი, რუსები — 60-70 000-მდე, ებრაელები 30 000-ზე მეტი, ბერძნები — 12-15 000-მდე, გერმანელები — 8 000-ზე ცოტა ნაკლები.

წარმომადგენელთა განაწილების დროს სამანდატო კომისიამ გადაწყვიტა, სულ მცირედ ეროვნულ უმცირესობასაც შეეკუთვნოს ერთი ხმა მაინც, რათა საქართველოს ეროვნულ საბჭოში ყოველ ერს, საქართველოს ტერიტორიაზედ მოსახლეს, ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი. ამისდა მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზედ მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათ მიეკუთვნებათ შემდეგი რიცხვი წარმომადგენლებისა საქართველოს ეროვნულ საბჭოში: სომხებს — 10, აფხაზებს — 5, თათრებს — 4, რუსებს — 3, ოსებს — 2, ებრაელებს — 2, ბერძნებს — 1, გერმანელებს — 1. (სულ 28), სამანდატო კომისია იმ აზრისაა, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს ყოველი წევრისათვის აუცილებელია იმოდენი ცოდნა ქართული ენისა, რომ გაიგოს საბჭოში წარმოთქმული სიტყვები და მსჯელობა.

შემოთავაზებული საარქივო დოკუმენტებიდან მკაფიოდ ჩანს, თუ რაოდენ დიდ პასუხისმგებლობასა და გულისხმიერებას იჩენდა ქართული სახელმწიფო ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მიმართ, რომელთა უფლებების დაუცველად შეუძლებელი იყო ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა.

გურამ შენგელია.

ფრთხილად!

ალერგიას დროზე უნდა მივხედოთ

თბილისში დაავადებულთა რაოდენობა სამჯერ გაიზარდა

გაზაფხული წელიწადის ყველაზე მშვენიერი დროა. იგი ადამიანს რომანტიკულ, ოპტიმისტურ განწყობას უქმნის, სიცოცხლის მშვენიერებას აგრძნობინებს. ჰყვავის ბუნება, ირგვლივ საამო სურნელება იფრქვევა.

ყველაზე მეტად ამ დროს პატარები ხარობენ, შინ ვეღარ უდგებათ გული. პატარა გიორგისაც სახლში რა გააჩერებდა. თანატოლებთან ერთად მან მახლობელ ტყეს მიაშურა. უეცრად, თამაშში გართულს, თვალების ქავილი და ცრემლის დენა დაეწყო, რასაც გაძლიერებული ცემინება და ხველა მოჰყვა. შეშინებული დიდედასთან გაიქცა, რა მოხდა, რით შეიძლება აიხსნას პატარა ბიჭის მოულოდნელი ავად გახდომა? პასუხი ერთია — ალერგიით. ყვავილობის პერიოდში მცენარეული მტვრისადმი ზეაწეული მგრძნობელობით. სიტყვა „ალერგია“ ბერძნული წარმოშობისაა („ალოს“ — უცხო, „ერგია“ — მოქმედება), ანუ უცხო ნივთიერების ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედება, რასაც არასასურველი შედეგები მოჰყვება ხოლმე. ალერგია, როგორც დაავადება, ანტიკური პერიოდიდან არის ცნობილი და მისი კლინიკური დახასიათება შესანიშნავად აქვს აღწერილი მედიცინის მამას — ჰიპოკრატეს.

ალერგიის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომავალი დედის ჯანმრთელობას, იმ სოციალურ და ეკონომიკურ გარემოს, რომელშიც მას უხდება ყოფნა, უარყოფით ემოციებს, მძიმე ფიზიკურ შრომას, გარემოს მავნე ფაქტორებს. სამწუხაროდ, ბოლო ხანს ჩვენში ფეხი მოიკიდა ქართველი ქალებისათვის მიუღებელმა მავნე ჩვევებმა: თამბაქოს წევამ, ალკოჰოლიანი და სპირტიანი სასმელების, და, რაც ყველაზე სამინელია, ნარკოტიკული საშუალებების მიღებამ. ყოველივე ეს, ქალის ორგანიზმის მძიმე დაზიანებას იწვევს, ორსულობისას პლაცენტის საშუალებით, ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერებები ადვილად ხვდება ნაყოფში და შეიძლება მძიმე ცვლილებები გამოიწვიოს, ხელსაყრელი პირობები შექმნას შემდგომში ალერგიის განვითარებისათვის.

ალერგიის თავიდან აცილების უმნიშვნელოვანესი საშუალება ჩვილის ბუნებრივი კვებაა. დადგენილი ფაქტია, რომ ნაადრევად ხელოვნურ კვებაზე გადაყვანა, არასრულფასოვანი და არარაციონალური კვება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ალერგიის განვითარებაში.

ალერგიის გავრცელებას დიდად შეუწყო ხელი ადამიანის ბუნებისადმი უგუნურმა დამოკიდებულებამ. ჩვენი ინსტიტუტის ფუნდამენტური გამოკვლევებით დადგენილია გარემოს მავნე ფაქტორების გადამწყვეტი როლი სასუნთქი სისტემის ალერგიული დაავადებების, უპირველეს ყოვლისა — ბრონქული ასთმის განვითარებაში. დასახელებულ ფაქტორებთან ერთად გენეტიკას — მემკვიდრეობას ერთ-ერთი მთავარი ადგილი განეკუთვნება დაავადების განვითარებაში. მსოფლიო სტატისტიკური მონაცემებით, საგრძნობლად გაიზარდა ალერგიულ დაავადებათა სიხშირე და, რაც მეტად შემაშფოთებელია, მოიმატა ბრონქული ასთმით გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობამ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ალერგია 21-ე საუკუნის პრობლემაა და, აქედან გამომდინარე, ამ პრობლემის ღრმა მეცნიერულ შესწავლას, პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებების შემუშავებას უდიდესი მნიშვნელობა ენაჭება.

უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვთა ასაკში ალერგიის პრობლემის დამუშავებას საფუძველი ჩაეყარა პედიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში პროფესორ ირაკლი ფაღავას თაოსნობით. სწორედ აღნიშნულმა ინსტიტუტმა შეისწავლა პირველად საქართველოში ალერგიული სტრუქტურა. პედიატრიის ს/კ ინსტიტუტის კლინიკური ალერგოლოგიის განყოფილების თანამშრომელთა ბოლო წლების ეპიდემიოლოგიური გამოკვლევის მონაცემებით, მარტო თბილისში ალერგიული დაავადებები თითქმის სამჯერ გაიზარდა. ბავშვთა ასაკში ალერგიულ დაავადებათა ეტიოლოგიის, პროფილაქტიკის და მკურნალობის საკითხების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ქ. თბილისის ბავშვთა № 1 კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე ჩამოყალიბდა ბავშვთა ალერგოლოგიური რესპუბლიკური ცენტრი და დისპანსერი, ამავე ბაზაზე 1971 წლიდან ფუნქციონირებს პედიატრიის ს/კ ინსტიტუტის კლინიკური ალერგოლოგიის განყოფილება. ათვისებული და პრაქტიკაში დანერგილია დიაგნოსტიკის და მკურნალობის უახლესი მეთოდები.

ჩვენი ინსტიტუტის იმუნოლოგიის ლაბორატორიამ პრაქტიკაში დანერგა ალერგიულ დაავადებათა დიაგნოსტიკის თანამედროვე იმუნოლოგიური მეთოდები. ალბათ, ზედმეტია ლაპარაკი ბავშვთა კონტინგენტის იმუნიზაციის მნიშვნელობის შესახებ. ვინაიდან პოლიკლინიკის პირობებში ბავშვებისათვის პროფილაქტიკური აცრების ჩატარება მიზანშეწონილი არ არის, თავის დროზე, თბილისის № 1 ბავშვთა კლინიკურ საავადმყოფოში გამოიყო სპეციალური პალატები, შეიქმნა ასაცრელი კაბინეტი და, შესაბამისი გამოკვლევების შემდეგ ვახდენდით აღნიშნული კონტინგენტის იმუნიზაციას. უკანასკნელ წლებში, ცნობილი მიზეზების გამო, ეს ღონისძიება ვეღარ ხორციელდება, არადა, აუცილებელია მისი განახლება. ამ საქმეში დახმარება უთუოდ გვჭირდება. ალერგიული დაავადებები თავისი მიმდინარეობით, პროგნოზით ერთ-ერთი ურთულესი დაავადებაა. მისი საშუალო და მძიმე ფორმების ბინაზე მკურნალობა დაუშვებელია. აუცილებელია ავადმყოფის ყოველმხრივი გამოკვლევა, დიაგნოზის დაზუსტება.

პედიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში შესრულებულმა მნიშვნელოვანმა გამოკვლევებმა არაერთხელ ჰპოვა საერთაშორისო აღიარება. დღევანდელ ურთულეს დემოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში აუცილებელია ამ ინსტიტუტის შენარჩუნება, შემდგომი განვითარება, ამას მოითხოვს ჩვენი ეროვნული ინტერესები. მშობლებმა დახმარებისათვის უნდა მიმართონ ქ. თბილისის ბავშვთა № 1 კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე მოქმედ პედიატრიის ს/კ ინსტიტუტის კლინიკური ალერგოლოგიის განყოფილებას და ბავშვთა ალერგოლოგიურ რესპუბლიკურ ცენტრს.

თამაზ ჭურაძ
ი. ფაღავას სახელობი
პედიატრიი
სამეცნიერო-კვლევით
ინსტიტუტის დირექტორ
პროფესორ

სპორტი

„საქართველოს რესპუბლიკის" სპეციალური გვერდი

პოლიათლონი

მესამე, ტრადიციული

წვევამდელის ჯარისკაცად მომზადებისთვის უშუალო პასუხისმგებლობა ეკისრება სასწავლო დაწესებულებაში – ფიზიკური აღზრდის მასწავლებელს, სამხედრო საქმის ხელმძღვანელს, მედიცინის მუშაკებს, სასწავლებლების ხელმძღვანელებს.

ჭიათურაში 1998 წლის საგაზაფხულო გაწვევის წვევამდელთა პირად-გუნდურმა პირველობამ პოლიათლონში ცხადყო, რომ საქართველოს ყველა რეგიონში ამ მხრივ დადებითი ძვრებია. ეს მათი შედეგებიდანაც ჩანს: ჭიათურაში მონაწილე 14 გუნდის წარმომადგენლებმა კარგი მომზადება გამოავლინეს. I ადგილზე გამოსულმა რამაზ ბექაურმა (თბილისი, ვაკის რაიონი) 191 ქულა დააგროვა, რაც საკმაოდ მაღალი შედეგია. მას 24 ქულით ჩამორჩა აჭარის წარმომადგენელი გიორგი გაგუა, რომელმაც 167 ქულა დააგროვა, ხოლო III საპრიზო ადგილზე გამოსულმა დათო ჭეხაშვილმა (თბილისი, დიდუბის რაიონი) 162 ქულას მოუყარა თავი. 14 გუნდის 112 მონაწილიდან სულ ორმა მიიღო „0" შეფასება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჭიათურის ხელმძღვანელობამ კარგი პირობები შეგვიქმნა შეჯიბრების ჩასატარებლად. კარგ მდგომარეობაშია მძლეოსნური ბილიკები, საცურაო აუზი და სხვა ბაზები. სასიხარულოა, რომ ჭიათურას შეუძლია უმასპინძლოს ნებისმიერი დონის პაექრობას საკმაოდ მაღალ დონეზე.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის და თავდაცვის სამინისტროს ერთობლივი დადგენილებით ჭიათურაში რიგით მესამე შეჯიბრება მოეწყო. ასეთი სპორტული ღონისძიება წელიწადში ორჯერ იმართება და უკვე ტრადიციად იქცა.

გუნდური I ადგილი, 1163 ქულით, თბილისის დიდუბის რაიონმა მოიპოვა, II ადგილზე გამოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (941 ქულა), ხოლო III ადგილი წილად ხვდა თბილისის ვაკის რაიონის ნაკრებ გუნდს, რომელმაც სულ 10 ქულით წააგო მეორე პრიზიორთან.

შეჯიბრების საზეიმოდ გახსნისა და დახურვის ცერემონიალს ესწრებოდნენ ჭიათურის საქართველოს სპორტის დეპარტამენტის, თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სამხედრო კომისარიატის ხელმძღვანელები.

საპრიზო ადგილზე გამოსულნი დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით, სამახსოვრო თასებით და დიპლომებით.

ნუხა გაგოშიძე,
მოსახლეობის გაჯანსაღებისა და მასობრივი სპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი.

სურათზე: შეჯიბრების ერთი მომენტი.

ავტორის ფოტო.

კონტაქტები

ლიტველი სტუმრები თბილისში

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ეწვივნენ ლიტვის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი არტურას პავილინასი და გენერალური მდივანი პეტრან სტასტუტა.

ბალტიისპირელი სტუმრები შეხვდნენ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ჯანო ბაგრატიონს. დაიდო მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება.

ლიტვის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი არტურას პავილინასი შეხვდა აგრეთვე საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს კახი ასათიანს.

სტუმრებმა და მასპინძლებმა ქართველი სპორტული ჟურნალისტებისათვის პრესკონფერენცია მოაწყვეს.

ბესიკ გაბრიაძე.

თანამშრომლობას აღრმავებენ

როგორც კიევის „დინამოს" პრესატაშემ გვაცნობა, თბილისისა და კიევის „დინამოს" ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, რომ ერთმანეთში რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა ჩაატარონ. უკრაინელთა აზრით, ეს დიდად შეუწყობს ხელს მათი გუნდის მომზადებას ჩემპიონთა ლიგის მომავალი წლის გათამაშებისათვის. გარდა ამისა, კიეველმა და თბილისელმა თანაკლუბელებმა მოილაპარაკეს, რომ კიევის „დინამო" რამდენიმე ფეხბურთელს ათხოვებს თბილისელებს, რათა ისინი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს ევროთასებზე უფრო ღირსეულად გამოსვლაში დაეხმარონ.

(გეა).

სპორტი ჩემს ცხოვრებაში

სადარბაზო ბარათი. გიორგი ბაბუნაშვილი, 56 წლისა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი: ჰყავს მეუღლე ნინო შადური (ფრანგული ენის სპეციალისტი), სამი შვილი და ექვსი შვილიშვილი.

დაშნით გაკაფული გზა

ამ ახოვან, ცისფერთვალა, ჭაღარათმიან ლამაზ, ოღონდ ერთობ გასუქებულ მამაკაცს რომ შეხედავ, შეიძლება იფიქრო-სპორტთან ცოტა მწყრალად ხომ არ არისო... თუმცა, გასაუბრებისთანავე გაირკვევა, რომ მწყრალად კი არა, ბოლო ორი წლის გამოკლებით სულ „სპორტსავსე" ცხოვრებით უცხოვრია; მოდით, გამოვყვეთ ბატონი გიორგის მოწაფეობიდან დაწყებულ სპორტულ გზას.

თბილისის ყოფილი ვაქეთა მე-7 საშუალო სკოლა (შემდგომ 53-ე), თუმცა სპეციალიზებული სპორტული სასწავლებელი არ იყო, მაგრამ ჩინებული სპორტსმენები დააფრთიანა ფეხბურთში, კალათბურთში, ფარიკაობაში... ავთანდილ ჭკუასელის, მოთა იამანიძის, დავით ყიფიანის (ფეხბურთელები), თამაზ ტოგონიძის, ასტამურ აჩბას, ლევან მოსეშვილის (კალათბურთელები), მორის სახვაძის, რევაზ და არჩილ გოგელიების (მოფარიკავენი) სახელები მრავლისმთქმელია...

გიორგი ბაბუნაშვილმაც ფარიკაობაში (დაშნა) დაიწყო ვარჯიში ცნობილ მასწავლებელთან თამაზ მესხთან; სხვათა შორის, თანკლასელ არჩილ გოგელიას მიჰყვა; მათ ორი წლის უმცროსი ძმაც „აედევნათ", როგორც ზოგჯერ ძმობას სჩვევია (ამჟამად ზურაბ ბაბუნაშვილი ენერგეტიკოსი გახლავთ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი) და უფროს-უმცროსმა ისეთი მუშკეტერობა გააჩაღა, რომ მშობლები დაფეთდნენ – ემანდ ერთმანეთს თვალები არ დათხარონო. შეშფოთებულმა დედ-მამამ კი შვილებს „პროფილი" გამოაცვლევინა – ძმებმა მცირეყალიბიან შაშხანას მოჰკიდეს ხელი სახელგანთქმულ მოთა ქველიაშვილის მეთვალყურეობით; ასმეტრიანი „პროფილით" ზურაბი პირველთანრიგოსანი გახდა, გიორგი – მეორეთანრიგოსანი. ჭაბუკთა ერთ-ერთ პრესტიჟულ ასპარეზობაზე უმცროსს პირველი ადგილი დაუკავებია, უფროსს – მეორე (უფროს-უმცროსობის წესის დარღვევით....). პარალელურად გიორგი ცურვაზეც დადიოდა, ბრასში „სპეციალდებოდა" და აქაც მეორე სპორტულ თანრიგს მიაღწია.



ერთ დროს თბილისში „მოდაში" იყო მაგიდის ჩოგბურთი (შინაურულად „პინგ-პონგი"), რომელმაც უბან-უბან, ეზო-ეზო დაიპყრო ქალაქი. ვერის უბანი, ბელინსკის ქუჩა და ბელინსკელები გამონაკლისი რატომ იქნებოდნენ, მით უფრო, რომ ცნობილი მაგიდის ჩოგბურთელები მარიეტა სირაძე და რობერტ კუდაშვილი იქაურები გახლდნენ. მათი გავლენითაც „დაავადდა" ერთხანს გიორგი ბაბუნაშვილი მაგიდის ჩოგბურთით.

იგი სროლაში მიღწეული წარმატებების წყალობით ჩაირიცხა პერსპექტიულ სპორტსმენთა ჯგუფში და იქიდან ჩააბარა უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე მისაღები გამოცდები. პირველი კურსიდან მოყოლებული, გიორგი აქტიურად ჩაება უნივერსიტეტის ცხოვრებაში, კერძოდ, სპორტულშიც, ჯერ როგორც სტუდენტი, შემდეგ როგორც თანამშრომელი.

სიმოვნებით იხსენებს ჩემი მოსაუბრე საუნივერსიტეტო სპორტის ნამდვილ მოამაგეს დავით ქამუშაძეს – ფიზკულტურისა და სპორტის კათედრის გამგეს, ჩვენს სახელოვან მძლეოსანს ელენე გოკიელს, რომლის მაშინდელი მეგობრობა ახლაც ეამაყებათ დეკანებს – დავით გერიტიშვილსა და მოთა მესხიას, კომკავშირის კომიტეტის მდივანს რონინ მეტრეველს, ასე რომ ზრუნავდნენ სტუდენტური სპორტის განვითარებაზე. ბატონი რონინი თავადაც ერთობ სპორტული ბრძანდებოდა, დასძენს...

– მოწაფეობიდანვე თხილამურებზეც ვიდექი; უფროსი კლასებიდან, მერე უნივერსიტეტის წლებში, ასე თუ ისე შეძლებული ოჯახებიდან გამოსულნი, ყოველ ზამთარს ბაკურიანში მივემგზავრებოდით. კოხტადან ვეშვებოდით, დიდი კოხტადანაც – იგივე მიტარბიდან. ბაკურიანს მაშინ თავისებური „ხარკიც" გავუღე – იქ ხელი მაქვს მოტეხილი.

– თქვენს შთამომავლობას თუ დაჰყვა სპორტის სიყვარული?

– შვილები ბიზნესისა და ინტელექტუალურ სფეროებში არიან დაკავებულნი. შვილიშვილები ზამთრობით გუდაურში მიმყავს ხოლმე, მიყვარს ყურება, როგორ დგანან თხილამურებზე, როგორ ციგაობენ.

– სპორტული ეკრანისა და პრესისათვის თუ იცლით?

– სიამოვნებით ვნახულობ ფეხბურთს, სხვათა შორის, ახალგაზრდობაში თვითონაც ბევრს ვთამაშობდი, მეკარეობა მიზიდავდა. ტელეეკრანზე ასევე სიამოვნებით ვუცქერ ხოლმე „ფორმულა"-1"-ით ავტორბოლებს. სპორტული პრესიდან უფრო ხშირად „სარბიელს" ვკითხულობ, ალბათ იმიტომაც, რომ აჩიკო გოგელიასა და ჩემი მეგობრის, მერაბ ხატიაშვილის შვილის გაზეთია.

... ავტორბოლების ხსენებაზე უნდა შევნიშნოთ, რომ ბატონი გიორგი თავგადაკლული ავტომოყვარული ბრძანებულა, ავტომობილები მისი მკვიდრი ჰობი ყოფილა და გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – დღემდე 31 „ცალი" გამოუცვლია...

– ევროპა და ამერიკა არა ერთხელ გადამისერავს ავტომობილით. 90-იანი წლების დასაწყისში წელიწადნახევარზე მეტხანს ვცხოვრობდი შეერთებულ შტატებში. ახლაც, ტრასას თუ მოვძებნი, მთელი აზარტით დავქრივარ 140-150 კილომეტრის სიჩქარით...

მისდა საუბედუროდ, ორი წლის წინათ ავტოავარიაში მოყოლილს წვივი გადაუტეხია, 6 თვე თაბაშირში ჰქონია. ფათერაკმა კოჭლობა დაუტოვა მძიმე კვალად და მაინც ცურვას ახლაც ახერხებს, ზაფხულობით მრავალგზის გადასერილი კუს ტბა კვლავ შეუძლია გადაცუროს.

– სპორტში თქვენი კერპები?

– თაყვანს ვცემდი შოთა იამანიძეს – დიდ ფეხბურთელსა და პიროვნებას. გამორჩეული პატივისცემით ვეკიდებოდი ომარ ფხაკაძეს – მე ხომ ველოდრომზეც დავდიოდი. თბილი ურთიერთობა მაკავშირებს ლევან თედიაშვილთან. ძალიან ახლოს ვარ ლევან მოსეშვილთან – თანასკოლელთან და კარის მეზობელთანაც. კუს ტბაზე ერთად დავდივართ ხოლმე.

... 1978 წელს უნივერსიტეტში გაიხსნა უცხოეთთან სამეცნიერო ურთიერთობის განყოფილება, რომლის გამგედ, უშუალოდ მაშინდელი რექტორის, დიდი მეცნიერის, ილია ვეკუას წინადადებით დაინიშნა გიორგი ბაბუნაშვილი. საზღვარგარეთთან სამეცნიერო კონტაქტების პარალელურად იგი სპორტულსაც არ ივიწყებდა და აქტიური მონაწილე გახლდათ, მაგალითად, ბულგარეთში, პლოვდივის უნივერსიტეტში სტუმრობის ორგანიზებისა, რომლის დროსაც მოეწყო ერთობ საინტერესო შეჯიბრებები კალათბურთსა და ფრენბურთში.

– ბატონო გიორგი, როცა ფაკულტეტს თქვენისთანა სპორტული წარსულის მქონე დეკანი უძღვება, ეს უთუოდ დაეტყობა მის სპორტულ იერს...

– ჩვენ გვყავს ფეხბურთის, კალათბურთის გუნდები, აღმოსავლური ბრძოლების „სპეციალისტები", რამდენიმე „შავი ქამრის" მფლობელიც კი. სპორტში წარმატებებისთვის გრანტები გვაქვს გამოყოფილი. ფაკულტეტი სამეურნეო ანგარიშზეა და ჩვენ შევძელით მეორეკურსელ ზურაბ კოპაძისთვის 400-ლარიანი გრანტი მიგვეცა, ასევე სწავლის საფასური გავვენახევრებინა.

... მალე ზაფხული დადგება და ზამთრის ძილისგან გამოღვიძებული კუს ტბა უთუოდ „წყალდიად" შეხვდება ერთგულ „მომხმარებლებს"...

თამაზ ეგანოიძე.

სამბო

ოქროს მედლები ნიუ-იორკიდან

პანამერიკული თამაშები თავისი მასშტაბურობით, თითქმის არაფრით ჩამორჩება სხვა გიგანტურ ასპარეზობებს. ამ შეჯიბრების ორგანიზატორებმა მის პროგრამაში ჭიდაობა სამბოც შეიტანეს. კიდევ მეტიც, მათ ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატიც გამართეს და ნიუ-იორკში საჭიდაოდ რუსეთის, იაპონიის, სამხრეთ კორეის, მონღოლეთის, უკრაინის, ბელორუსიისა და სხვა ქვეყნების ფალავნები მიიწვიეს. ამერიკელებმა ნამდვილი ფესტივალი მოაწყვეს, რადგან ღია ჩემპიონატში ჭაბუკები, ახალგაზრდები, ვეტერანები და ქალებიც კი მონაწილეობდნენ.

უკანასკნელ წლებში ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ყოველთვის იმართება ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები სამბოში ვეტერანთა შორის, სადაც ძალიან დიდი წარმატებით გამოდიან ქართველი ფალავნებიც. თბილისელმა პოლკოვნიკმა ზაურ სახვაძემ (82 კილოგრამი) ორჯერ დაიმშვენა მკერდი მსოფლიოს ჩემპიონის ოქროსმედლით, ხოლო ერთხელ ევროპის ჩემპიონის მაღალ ტიტულსაც შესწვდა. ახლახან ზაური ამერიკის კონტინენტიდან, ნიუ-იორკიდან დაბრუნდა და სამშობლოში მეოთხე ოქროს მედალი ჩამოიტანა. მის გარდა, ნიუ-იორკის ხალიჩაზე ამერიკის ჩემპიონის ოქროს მედლები დაისაკუთრეს უშანგი ყურაშვილმა (თბილისი, 75 კგ), ანზორ ზურაბაულმა (თბილისი, 90 კგ) და მძიმეწონოსანმა ოთარ ყურაშვილმა (კასპი). დიდების შეჯიბრებაზეც მიაღწია გამარჯვებას საქართველოს წარმომადგენელმა – თბილისელმა გიორგი ჩხაიძემ (68 კგ) დიდი ოქროს მედალი მოიპოვა.

შალვა ბოკერია

სურათზე: ევროპის, მსოფლიოსა და პანამერიკული თამაშების ჩემპიონი ზაურ სახვაძე.

ძიუდო

4 „ვერცხლი" და 6 „ბრინჯაო" ანკარიდან

24-26 აპრილს თურქეთის დედაქალაქ ანკარაში ჩატარდა ნაზიმ ჯანჯას სახელობის V საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში 1981-1982 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის.

ეს შეჯიბრება წარმოადგენდა ერთ-ერთ მოსამზადებელ ეტაპს ჭაბუკთა I მსოფლიოს თამაშებისათვის, რომელიც მოსკოვში გაიმართება 14-18 ივლისს.

ანკარაში საქართველოს ნაკრებთან ერთად ასპარეზობდნენ დედაქალაქის ჭაბუკ მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის წარმომადგენლებიც, სულ კი ტატამზე გამოვიდა 9 ქვეყნის 250 სპორტსმენი.

ვერცხლის მედლები მოიპოვეს: ქუთაისელმა რუსლან გედენიძემ (50 კგ), თბილისელმა გელა ბარათაშვილმა (55 კგ), გორელმა ბორის თადუმაძემ (66 კგ) და ლენტეხელმა დავით გასვიანმა (+90 კგ). ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ: ნიკა ვილაშვილი (60 კგ. თბილისი), დავით სეფისკვერაძე (66 კგ. ქუთაისი), გრიგოლ მამრიკიშვილი (73 კგ. თერჯოლა), დავით ტყემელაშვილი (81 კგ. ქუთაისი), ზურაბ ზვიადაური (90 კგ. თბილისი) და დავით ხაბულიანი (+90 კგ. ლენტეხი).

ასპარეზობისათვის გუნდი მოამზადეს მსოფლიოს ჩემპიონმა, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ამირან ტოტიკაშვილმა, მწვრთნელებმა ვაჟა ბალხამიშვილმა, ზურაბ კახაბრიშვილმა და ამირან მამრიკიშვილმა.

ელდარ ფარჯანაძე.

კარატე

კიდევ ერთი ნაბიჯი წინ

ვა-დო-კაი კარატეს საქართველოს ფედერაცია უახლოეს მომავალში ვა-დო-კაი კარატეს მსოფლიო ფედერაციის წევრი გახდება. როგორც ჩვენთან საუბარში ვა-დო-კაი კარატეს საქართველოს ფედერაციის პრეზიდენტმა, მესამე დანის მფლობელმა ნოდარ ნავდარაშვილმა განაცხადა, მას ამ საკითხზე რამდენიმე დღის წინ მოსკოვში მოლაპარაკებები ჰქონდა იაპონიის კარატეს ფედერაციის (YKF) პრეზიდენტთან კენგო სი გიურასა და ვა-დო-კაი კარატეს იაპონიის ფედერაციის პრეზიდენტთან კამიპირო უმინოსთან. ნავდარაშვილის თქმით, მათ დახმარება აღუთქვეს საქართველოს ფედერაციას ვა-დო-კაის მსოფლიოს ფედერაციაში გაწევრიანების საკითხში, რომლის პრეზიდენტიც იაპონიის პრემიერ-მინისტრი რიუტარო ხასიმოტოა. მსოფლიო ფედერაციაში გაწევრიანება საქართველოს ცნობილი ინსტრუქტორების მოწვევისა და ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში მონაწილეობის საშუალებას მისცემს. ნოდარ ნავდარაშვილის განცხადებით, ვა-დო-კაი კარატეს საქართველოს ფედერაციის მსოფლიო ფედერაციაში გაწევრიანების საკითხი ამ უკანასკნელის დირექტორთა საბჭოზე უახლოეს მომავალში გადაწყდება.

(გეა).

ათლეტიზმი

ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

44 წელიწადი ფიცარნაგზე

ლევან გიგუაშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის კათედრის მასწავლებელია. დაიბადა 1942 წელს. ძალოსნობაში ვარჯიში დაიწყო 1954 წელს, 12 წლის ასაკში. 1956 წელს, რესპუბლიკურ ჩემპიონატში, ოლიმპიურ ჩემპიონთან, ლეგენდარულ რაფაელ ჩიმიშკიანთან ერთად მოუწია ასპარეზობამ. მას შემდეგ სისტემატურად მონაწილეობდა შეჯიბრებებში. 80-იანი წლებიდან პროფილი შეიცვალა და ძალოსნობიდან სპორტის მონათესავე სახეობაზე - ძალისმიერ სამჭიდზე გადავიდა. დღემდე მონაწილეობს საქართველოში გამართულ ყველა მნიშვნელოვან შეჯიბრებაში, სადაც, როგორც წესი, ასრულებს სპორტის ოსტატის ნორმატივს. არის უმაღლესი კატეგორიის მსაჯი.

წლების მანძილზე მხოლოდ ერთი ნატვრა აქვს – როგორმე იშოვოს სპონსორი და გაემგზავროს ვეტერანებს შორის ძალისმიერ სამჭიდში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც გამარჯვების დიდი იმედი აქვს (მის მიერ ნაჩვენები შედეგები ამის სრულ საფუძველს იძლევა).

მართალია, სპონსორები არ ჩანან, მაგრამ ბატონი ლევანი გულს არ იტეხს და აგრძელებს მორიგი მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადებას.


1


2


3


4

გთავაზობთ ერთ ვარჯიშს ლევან გიგუაშვილის მოსამზადებელი პერიოდის ვარჯიშებიდან.

ჩაჯდომა შტანგით (სურ. 1). 4-5 მისვლა 4-6 გამეორებით.

ღრმა ჩაჯდომა შტანგით (სურ 2.) ამ შემთხვევაში ათლეტი ბოლომდე ჯდება ფიცარნაგიდან 10-15 სმ ამაღლებულ ფიცარზე, საიდანაც ასადგომად დიდი ძალისხმევაა საჭირო. ეს დამხმარე ვარჯიში ანვითარებს სასტარტო ღონეს, აღგომისა და ამოწევისთვის. ამ ვარჯიშს ათლეტი უთმობს 3 მისვლას 3-3 გამეორებით.

აჭიმვა განიერი ჭიდით (სურ. 3). 6 მისვლა 4-4 გამეორებით.

აჭიმვა განიერი ჭიდით ხიდიდან (სურ. 4). ათლეტი მკერდზე უშვებს შტანგას, შემდეგ გადადის ხიდზე და შტანგას ჭიმავს ხელებისა და ტანის დახმარებით. ამ მეთოდით შეიძლება დიდი წონების აჭიმვა. გამოიყენება დამხმარე ვარჯიშად. ეთმობა 2-3 მისვლა 6-8 გამეორებით.

ამოწევა ამაღლებული ფიცარნაგიდან (სურ. 5). ანვითარებს სასტარტო ღონეს ამოწევისათვის. სრულდება 4 მისვლა 4-4 გამეორებით.

ამოწევა ტუმბოებიდან (სურ. 6). აძლიერებს ამოწევის მეორე სტადიას. ეთმობა სამი მისვლა 3-4 გამეორებით.

აჭიმვა დახრილი სკამიდან (სურ. 7). დამხმარე ვარჯიშით აჭიმვისათვის. ეთმობა 4 მისვლა 5-5 გამეორებით.

მკერდის კუნთების დამხმარე ვარჯიში (სურ. 8). სრულდება სპეციალურ ტრენაჟორზე. ეთმობა 3 მისვლა 6-6 გამეორებით.

მხრის სამთავა კუნთების (ტრიცეპსების) ვარჯიში ბლოკით (სურ. 9). ათლეტი ბლოკის ღერძს აწევება ზემოდან, ხელების გამართვამდე. ამ ვარჯიშს ეთმობა 4 მისვლა 6-6 გამეორებით

როგორც ხედავთ, ბატონი ლევანი ჯერ ტვირთავს ფეხის კუნთებს (1,2), ამას მოჰყვება მკერდის, მხრებისა და ხელების კუნთების ვარჯიში (3-4), შემდეგ ზურგისა და წელის კუნთების ვარჯიში (5,6) და კვლავ უბრუნდება უკვე ნაწილობრივ დასვენებული მკერდის, მხრებისა და ხელების კუნთებს (.7,8,9).

ზურაბ ჭავჭანიძე,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, პროფესორი.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.


5


6


7


8


9

ჭადრაკი

უმნიშვნელოვანესი მატჩი კურიოზული ჰონორარით

„მსოფლიოს საჭადრაკო საბჭომ" – ახალმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, რომელსაც გარი კასპაროვი და ესპანელი მილიონერი ლუის რენტერო ხელმძღვანელობენ, მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება პრეტენდენტთა ფინალური მატჩის ჩატარების შესახებ. მას შემდეგ, რაც ამ ორგანიზაციასთან ურთიერთობა აღარ მოისურვა გამოჩენილმა ინდოელმა დიდოსტატმა ვიშვანათან ანანდმა, გადაწყდა მოეწყოს მსოფლიოს მეორე რეიტინგის მქონე ვლადიმირ კრამნიკის (ანანდი მესამეა) მატჩი ალექსეი შიროვთან, რომელსაც მერვე რეიტინგი აქვს.

რატომ მაინცდამაინც შიროვთან?, – იკითხავს მკითხველი, მას ხომ სხვა მოჭადრაკეები უსწრებენ? საქმე ის არის, რომ ამჟამად ესპანეთის მოქალაქე ყოფილ რიგელს წლეულს დიდი მიღწევები აქვს, რაც მსოფლიოს უძლიერესი დიდოსტატების მომავალ, ივლისის რეიტინგში აისახება. მან ბრწყინვალე შედეგს მიაღწია ლინარესში, სადაც მსოფლიო ჩემპიონ კასპაროვსაც გაასწრო და კრამნიკსაც. ახლახან მონტე-კარლოს საერთაშორისო ტურნირზე სწრაფ და დაფაზე დაუხედავ ჭადრაკში მან კვლავ გაუსწრო კრამნიკს, რომელთანაც უკეთესი პირადი ანგარიშიც აქვს.

ერთი სიტყვით, კრამნიკ-შიროვის 10 პარტიისაგან შემდგარი მატჩი დიდი მოვლენა იქნება ჭადრაკის სამყაროში. იგი 23 მაისს დაიწყება ესპანეთის ქალაქ კაზერლეში. მისი საპრიზო ფონდი იქნება სულ 100 ათასი დოლარი. კურიოზული კი ის გახლავთ, რომ მას მთლიანად მიიღებს... დამარცხებული! იბადება კითხვა, რატომ დამარცხებული? იმიტომ, რომ გამარჯვებული შემოდგომაზე მსოფლიო პირველობის მატჩში გარი კასპაროვს შეხვდება, და, რომც დამარცხდეს, მილიონზე მეტ დოლარს მიიღებს.

ასე რომ, გასაკვირი არაფერი ყოფილა.

გივი გამრეკელი.

გვერდის რედაქტორი
ანზორ ბახილაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერიკული ჟურნალი სენსაციური აღმოჩენის შესახებ

პრესტიჟულ ამერიკულ სამეცნიერო ჟურნალში „ნეიშენელ ჯეოგრაფიკ“ გამოქვეყნდა სტატია, რომელიც დმანისის რაიონში არქეოლოგიური კვლევისას გაკეთებულ სენსაციურ აღმოჩენებს მიეძღვნა. სტატია დმანისის არქეოლოგიურ ექსპედიციაში ამერიკელი მეცნიერების მონაწილეობისა და ნივთების უშუალო გაცნობის შემდეგ დაიწერა. მასალები საქართველოს შესახებ პირველად გამოქვეყნდა აღნიშნულ ჟურნალში, რომლის ავტორიტეტიც მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში ძალზე მაღალია.

მას შემდეგ, რაც არქეოლოგებმა და პალეონტოლოგებმა დმანისის ნაქალაქარში მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური აღმოჩენით დაამტკიცეს, რომ აქ მთელს ევროპასა და აზიაში უძველესი ადამიანი ცხოვრობდა, უცხოელ მკვლევართა ინტერესი ამ ძეგლის მიმართ სულ უფრო იზრდება. ექსპედიციის ხელმძღვანელობა 1998 წლის სექტემბერში მართავს საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმს, რომელიც აღნიშნულ აღმოჩენას მიეძღვნება. უკვე მიღებულია 40-ზე მეტი განაცხადი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

120 წლის ცხინვალის თეატრი

წელს 120 წელი უსრულდება ცხინვალის სახელმწიფო დრამატულ თეატრს, რომელიც დღეს თბილისის რუსულ მოზარდთა და საყმაწვილო თეატრის შენობაშია მოთავსებული. სამაჩაბლოში ქართული კულტურის ამ მნიშვნელოვან კერას დღეს ძალზე უჭირს. საიუბილეოდ თეატრს დაგეგმილი აქვს პრემიერის გამართვა, მაგრამ სათანადო დაფინანსების უქონლობის გამო ეს ვერ ხერხდება. თეატრის კოლექტივი ითხოვს თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში სპეციალური ჯგუფის მომზადებას, რომლის წევრებიც შემდგომ ცხინვალის თეატრის დასში ჩაირიცხებიან.

უკრაინაში ქართველ მხატვრებს აფასებენ

სააგენტო ელიზი-ნიუსის ცნობით, კიევში, მხატვრის სახლში ქართველი მხატვრის შალვა ქორიძის ნახატების გამოფენა გაიმართა.

შალვა ქორიძე აჭარაში დაიბადა, ბათუმის სამხატვრო სკოლის შემდეგ უკრაინაში დაამთავრა უმგოროდის გამოყენებითი ხელოვნების სასწავლებელი.

1965 წლიდან გარდაცვალებამდე (1997 წლამდე) მხატვარი უკრაინის ქალაქ კრემენჩუკში მოღვაწეობდა, მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებში. გამოითქვა სურვილი, რომ კიევში და უკრაინის სხვა ქალაქებში ქართველმა მხატვრებმა ჩაიტანონ და გამოფინონ თავიანთი ნამუშევრები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ აქ ყოველთვის დიდად აფასებდნენ ქართულ კულტურას, ჩვენს სამხატვრო სკოლას და მონატრებულნი არიან ქართული სამხატვრო ხელოვნების ჭეშმარიტი ნიმუშების ხილვას.

სავალალო სტატისტიკა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში 1998 წლის იანვარ-მარტში რეგისტრირებულია 3086 დანაშაული (1997 წლის შესაბამის პერიოდში – 3122), მათ შორის 896 – მძიმე; 178 დანაშაული ჩადენილია არასრულწლოვანთა მიერ. რეგისტრირებულია 72 განზრახ მკვლელობა; 181 – სახელმწიფო ქონების დატაცება ქურდობით, ძარცვით, ყაჩაღობით და თაღლითობით; 203 – იარაღის უკანონო ტარება, შენახვა, დამზადება, გასაღება; 281 ნარკოტიკების უკანონო დამზადება, შენახვა, გასაღება. 274 დანაშაული ჩადენილია ეკონომიკის სფეროში, მათ შორის 63 – მძიმე. გახსნილია რეგისტრირებულ დანაშაულთა 87,5 პროცენტი (1997 წელს – 86,5 პროცენტი), მათ შორის 84,6 პროცენტი – მძიმე (შესაბამისად 84,7

ინფორმაციები მოგვაწოდეს: „იბერიამ“, „ბაიამ“ და „ელიზინიუსმა“

ფესტივალი

მსგავსი ზეიმი არ ახსოვს თბილისს

წერილს, რომელსაც ახლა კითხულობთ, საგანგებოდ რეპორტაჟის ფორმა შევურჩიე, რათა მკითხველთა იმ ნაწილს, რომელმაც ვერ შეძლო 30 აპრილს რიყეზე მისვლა და საოპერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის „ბრავოს“ საზეიმო გახსნასა და გალა-კონცერტზე დასწრება, უფრო ნათელი შთაბეჭდილება შეექმნას ამ მოვლენასთან დაკავშირებით.

დილით პაატა ბურჭულაძის ფონდის ოფისში მომიხდა მისვლა. როგორც ყოველთვის, უამრავი სტუმარი იყო, მაგრამ სტუმრიანობა აქაურ მასპინძლებს ხელს არ უშლის დაძაბულ მუშაობაში, რადგან ყოველ მათგანს სათავისო საქმე აქვს დაკისრებული. ყველას დაღლილი, მაგრამ იმავდროულად მომღიმარი სახე აქვს, ხოლო თავაზიანობა და გულთბილობა, როგორც ჩანს, მათი ხასიათის განუყოფელი ნაწილია.

ამ დღეს დილიდან უამინდობა იყო, წვიმამ დაიწყო. ცხადია, ფონდის წევრები ღელავდნენ, რადგან გალა-კონცერტი ხომ ღია ცის ქვეშ უნდა გამართულიყო. განსაკუთრებით ნერვიულობდა მაია დათუნაშვილი. იგი ჩუმად, ყველასაგან მალულად ღმერთს ევედრებოდა გამოდარებას. არ წყდებოდა არც სატელეფონო ზარები – რიყიდან კითხულობდნენ როგორ მოქცეულიყვნენ, იქ მყოფი ბიჭები სკამებს წვიმისაგან საკუთარი სხეულით იცავენო...

წვიმა შეწყდა და მეც სასწრაფოდ დავტოვე ეს ოფისი. ცა კვლავაც ღრუბლიანია. გზად, პაატა ბურჭულაძის ერთი ნათქვამი გამახსენდა – „ბრავოს“ პირველი სტუმრების ჩამოსვლის დროსაც წვიმდა. პაატამ თქვა – კარგია ასეთი ამინდით რომ იწყება ფესტივალი, ყველაფერი კარგად ჩაივლისო. შემდეგ კი ნათქვამი განმარტა – როდესაც საგასტროლოდ რომელიმე ქვეყანაში ჩავდივარ და წვიმიანი ამინდია, აუცილებლად განსაკუთრებული წარმატება მხვდება ხოლმე წილადო (თუმცა, ვფიქრობ, პაატას წარუმატებლობა არავის ახსოვს!). და მეც იმედი ჩამესახა, რომ საღამოს კარგი ამინდი იქნებოდა და გალა-კონცერტს არაფერი შეუშლიდა ხელს...

...რიყის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტომობილების მოძრაობა შეწყვეტილია, სამაგიეროდ არ წყდებოდა მსმენელთა ნაკადი, რომელთა დიდ ნაწილს ახალგაზრდები შეადგენდნენ. კონცერტის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე კვლავ გაავდარდა. ქოლგებს ამოფარებული ხალხი სულმოუთქმელად ელოდა პირველ ჰანგებს, თუმცა ზოგიერთი მათგანი ეჭვქვეშ აყენებდა კონცერტის გამართვის შესაძლებლობას. აქვე იყო ბატონი გოგი ნიჟარაძე, რომელმაც გაიხსენა თუ როგორ წვიმიან ამინდში უსმენდნენ უცხოელები ლუჩანო პავაროტის კონცერტს ღია ცის ქვეშ.

ზუსტად 8 საათზე რიყეზე მობრძანდა პარლამენტის თავმჯდომარე, ბატონი ზურაბ ჟვანია.

გადაუღებლად წვიმდა, მაგრამ ოცი წუთის დაგვიანებით საგანგებოდ „ბრავოს“ გალა-კონცერტისათვის აგებულ სცენაზე გამოჩნდა საფესტივალო ორკესტრი, რაც იმის მაუწყებლად იქცა, რომ ვარსკვლავებთან შეხვედრის სიამოვნებას ვერც უამინდობა შეუშლის ხელს.

და აი, თბილისის უძველეს უბანს მოეფინა ზაქარია ფალიაშვილისეული ჰანგი – „ცეკვა ქართული“ ოპერიდან „დაისი“, რომელსაც დირიჟორობდა გოგი ჭიჭინაძე.

ნიშანდობლივია, რომ ფესტივალის პირველი დღეც, კალუდი კალუდოვის მონაწილეობით და გალა-კონცერტიც სწორედ ქართული მუსიკით დაიწყო. ცხადია, სასიხარულოა, რომ ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებმა „ბრავოში“ ღირსეული ადგილი დაიკავა.

სცენაზე გამოჩნდა ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი, დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი, რომელმაც აჟღერა ჩაიკოვსკის პოლონეზი ოპერიდან „ევგენი ონეგინი“.

და კვლავ ქართული ჰანგი – რევაზ ლაღიძის ლელას არია – მზია დავითაშვილისა და დირიჟორ დავით მუქერიას შესრულებით.

სწორედ ამ ნომრის შემდეგ დაეთმოთ ასპარეზი ქალბატონ მაია დათუნაშვილსა და ქალაქის მერს, ბატონ ბადრი შოშიტაიშვილს, რომელთაც ოფიციალურად გახსნეს საოპერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი „ბრავო“. მაია დათუნაშვილმა საზოგადოებას გააცნო საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ ედუარდ შევარდნაძის საზეიმო მისალმება: „ნება მიბოძეთ მოგესალმოთ და დიდი წარმატებები გისურვოთ როგორც თბილისის, ასევე მსოფლიოს საოპერო თუ საკონცერტო სცენებზე. ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ჩვენს ფესტივალზე თანამედროვე სამემსრულებლო ხელოვნების უცხოელ და ქართველ ვარსკვლავებს, ერთად გამოსვლისა და დამეგობრების საშუალება მიეცათ. იმედია, ყოველივე ეს, სხვა ქვეყნების სცენებზეც გაგრძელდება და მსმენელთა „ბრავო“ იქნება თქვენი მუდმივი თანამდევი“.

ცხადია, ფესტივალის სულისჩამდგმელის, პაატა ბურჭულაძის სცენაზე გამოჩენას, იმ ხუთიათასამდე ადამიანმა, რომლებიც გალა-კონცერტს ესწრებოდნენ, მხურვალე ოვაციები შეაგებეს. ჩვენი სასიქადულო მომღერლის მიერ შესრულებულ ატილას პარტიას ვერდის ოპერიდან „ატილა“, მართლაც დაუვიწყარი ელფერი ჰქონდა. პაატასთან ერთად სცენაზე იყო დირიჟორი გიორგი ქორდანია.

ფოიერვერკის გაგრძელებად იქცა მომხიბლავი ანდრეა როსტის გამოსვლა. ვიოლეტას როლის საუკეთესო შემსრულებლად აღიარებულმა ანდრეა როსტმა სწორედ ვიოლეტას არია იმღერა ვერდის „ტრავიატადან“. მას შესანიშნავი პარტნიორობა გაუწია დირიჟორმა ზაზა აზმაიფარაშვილმა.

უცხოელ ვარსკვლავს ტოლი არც ცისანა ტატიშვილმა დაუდო, რომელმაც მსმენელს შესთავაზა სანტუცას სცენა და რომანსი მასკანის ოპერიდან „სოფლის პატიოსნება“.

საინტერესო იყო ორი ძმის დუეტი – დღეს უცხოეთში მოღვაწე მომღერალს, შალვა მუქერიას პუჩინისეული რუდოლფის არიის შესრულებაში პარტნიორობას უწევდა დირიჟორი დავით მუქერია.

მსმენელი მოხიბლა კიდევ ერთმა უცხოელმა მომღერალმა – სტეფანია ტოჩიშკამ სენ-სანსისეული დალილას არიის შესრულებით.

გალა-კონცერტზეც წარმატება ხვდა მოსკოვის აკადემიურ კამერულ გუნდს „მსოფლიოს ოქროს ხმებს“ და მათ ხელმძღვანელს ვლადიმერ მინინს. რუსულ ხალხურ სიმღერასთან ერთად თბილისელებისთვის სიურპრიზიც მოუმზადებია ამ ცნობილ ლოტბარს – „ბრავოსათვის“ „სულიკოს“ თემაზე იმპროვიზაცია აუგია. მათთან ერთად მსმენელის წინაშე წარსდგა ნორჩი მომღერალი გიორგი ანდღულაძე.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში ცნობილ მომღერლებთან ერთად ახალგაზრდა ქართველ მომღერლებსაც მიეცათ საშუალება თავიანთი შემოქმედება გაეცნოთ აუდიტორიისათვის. გალა-კონცერტზე იმღერეს ზაზა ხამათაშვილმა (კიაზოს სიმღერა „დაისიდან“), მამუკა ნიკოლაიშვილმა (დონ ბაზილიოს არია როსინის „სევილიელი დალაქიდან“), თამარ ჯავახიშვილმა (ნორმას კავატინა ბელინის ოპერიდან „ნორმა“).

უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია ლეგენდარული კატია რიჩარელის გამოჩენამ, რომელმაც უჩვეულო მომხიბვლელობა შესძინა რომანსს კატალანის ოპერიდან „ვალი“.

კატია რიჩარელის შემდეგ, ქართველმა მსმენელმა პირველად მოისმინა ისლანდიელი ტენორის – კრისტია იოჰანსინის ხმა. მან შეასრულა იმპროვიზაცია ჯორდანოს ოპერიდან „ანდრე შენიე“.

სცენაზე კვლავ ვარსკვლავმა გამოანათა, ოღონდ ნაცნობმა, მას უკვე რამდენიმე წელიწადია რაც უყვარს საქართველო – მისი სახელია ალესანდრა მარკი! მან მოგვხიბლა არიით ჩილეას ოპერიდან „ადრიანა ლეკუვრერი“. მცირე ხნის შემდეგ მისი საოცარი სოპრანო კვლავ აჟღერდა „PACE-PACE“-ში ვერდის ოპერიდან „ბედის ძალა“.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თემურ გუგუშვილისეულმა მინდიას არიამ თაქთაქიშვილის ოპერიდან „მინდია“.

მოლოდინს გადააჭარბა იტალიელი მომღერლის, რენატო ბრუზონის მიერ ნამღერმა ჟერარის არიამ ჯორდანოს „ანდრე შენიედან“. მომღერალმა მხურვალე აპლოდისმენტებს ქართული „ მადლობით“ უპასუხა.

სცენაზე უკვე მეორედ ავიდა სტეფანია ტოჩიშკა და მსმენელი ამჯერად პრინცესას არიით მოხიბლა ჩილეას ოპერიდან „ადრიანა ლეკუვრერი“.

საოცრად ეფექტურად გაიჟღერა აბესალომის და მურმანის დუეტმა. დიახ, ისევ გულთა დამპყრობი ბულგარელი აბესალომი – კალუდი კალუდოვი მღეროდა, ცხადია, თავის პირველ მურმანთან – გიორგი გაგნიძესთან ერთად.

ამბობენ სცენაზე ყველა ლამაზიაო. შესაძლოა... მაგრამ ამ საღამოს წამყვანი, მაია დათუნაშვილი სცენიდან (და ცხადია, ცხოვრებაშიც!) შეუდარებლად მომხიბლავად გამოიყურებოდა. ბათუმის საოპერო თეატრის გუნდის გამოსვლამდე მან მსმენელს აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის მისალმების შინაარსი გააცნო. შემდეგ კი შესრულდა ვერდის ცნობილი გუნდი ოპერიდან „ნაბუქო“.

ანდრეა როსტის მიერ გასაოცარი ლირიკულობით ამღერებულ ჯულიეტას არიას გუნოს ოპერიდან „რომეო და ჯულიეტა“ მოჰყვა პაატა ბურჭულაძის ბანი და ფალიაშვილისეული ცანგალას კუპლეტების ექსპრესია.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი გამოდგა გალა-კონცერტის ბოლო აკორდი. ვერდის „ტრავიატას“ ძალზე ცნობილ და პოპულარულ სიმღერას ყველა მომღერალი ერთად ასრულებდა, სადირიჟორო პულტთან კი ერთმანეთს ვახტანგ მაჭავარიანი, გიორგი ქორდანია, გოგი ჭიჭინაძე, ზაზა აზმაიფარაშვილი, დავით მუქერია ენაცვლებოდნენ...

მოლოდინი გამართლდა – გალა-კონცერტმა ტრიუმფით ჩაიარა. ქართველმა აუდიტორიამ გაიცნო და ეფიქრობ, უკვე შეიყვარა ის მომღერლები, რომელთაც ამ დღეებში ოპერის თეატრში შეხვდებიან.

დღეს „ბრავოს“ მორიგი კონცერტია – მღერის კატია რიჩარელი.

გუშინ, ოპერის თეატრში შესრულდა ვერდის „ოტელოს“ საკონცერტო ვერსია.

მონაწილეობდნენ: ოტელო – კრისტიან იოჰანსონი, იაგო – რენატო ბრუზონი, დეზდემონა – თამარ ჯავახიშვილი, კასიო – შალვა მუქერია, როდერიგო – ნუგზარ ველაშვილი, ემილია – ნინო ჯავახიძე, ლოდოვიკო – გია ასათიანი, მონტანო – მამუკა ნიკოლაიშვილი, ბათუმის საოპერო თეატრის გუნდი. სადირიჟორო პულტთან იყო ვახტანგ მაჭავარიანი.

ზურაბ ოიკაშვილი.

სურათებზე: სტეფანია ტოჩიშკა და ვახტანგ მაჭავარიანი; ვლადიმერ მინინი და გიორგი ანდღულაძე.

თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1998-1999 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

საბიუჯეტო სექტორი

დასწრებული სწავლების განყოფილება

1. **ქართული ენა და ლიტერატურა:** ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი).
2. **რუსული ენა და ლიტერატურა:** რუსული ენა და ლიტერატურა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).
3. **ინგლისური ენა:** ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), ინგლისური ენა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი).
4. **გერმანული ენა:** ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), გერმანული ენა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი).
5. **ისტორია სამართალმცოდნეობით:** ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი), გეოგრაფია (ზეპირი).
6. **ფიზიკა-მათემატიკა:** მათემატიკა (წერა), ფიზიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).
7. **მათემატიკა ინფორმატიკით:** მათემატიკა (წერა), ფიზიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).
8. **ბიოლოგია:** ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), ბიოლოგია (ზეპირი), ქიმია (ზეპირი).
9. **გეოგრაფია-ბიოლოგია:** ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), გეოგრაფია (ზეპირი), ბიოლოგია (ზეპირი).
10. **დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა:** ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი), მათემატიკა (ზეპირი).
11. **პედაგოგიკა-ფსიქოლოგია:** ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), ბიოლოგია (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი).
12. **დაწყებითი სამხედრო მომზადება და ფიზაღზრდა:** საერთო ფიზიკური მომზადება (მძლეოსნობა, განვარჯიში, კროსი), დაწყებითი სამხედრო მომზადება, ბიოლოგია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).
13. **ფიზიკური აღზრდა:** საერთო ფიზიკური მომზადება (მძლეოსნობა, განვარჯიში, კროსი), ბიოლოგია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

გამოცდაზე აბიტურიენტის პასუხი შეფასდება ათბალიანი სისტემით. ექვსზე ნაკლები შეფასება ითვლება არადამაკმაყოფილებლად და აბიტურიენტი იხსნება გამოცდებიდან.

აბიტურიენტები, რომლებმაც დაამთავრეს არაქართული სკოლა, ჰუმანიტარულ სპეციალობებზე გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში და საქართველოს ისტორიაში აბარებენ ქართული სკოლის პროგრამით, ხოლო არაჰუმანიტარულ სპეციალობებზე შემსვლელნი- არაქართული სკოლის პროგრამით.

დაწყებითი სამხედრო მომზადების სპეციალობაზე დაიშვებიან სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან დემობილიზებულნი, რომელთა ასაკი არ აღემატება 25 წელს.

ინსტიტუტში ფუნქციონირებს სამხედრო კათედრა, რომელსაც გაივლის საბიუჯეტო სექტორის ყველა სპეციალობის ვაჟი სტუდენტი და მიიღებს უმცროსი ლეიტენანტის წოდებას.

ფასიანი სექტორი

დასწრებული სწავლების განყოფილების ყველა სპეციალობას აქვს ფასიანი სექტორი (გარდა დაწყებითი სამხედრო მომზადებისა); ხოლო **დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე** მიღება იქნება შემდეგ სპეციალობებზე;

1. **ქართული ენა და ლიტერატურა, ჟურნალისტიკა;**
2. **ისტორია სამართალმცოდნეობით;**
3. **ბიოლოგია;**
4. **გეოგრაფია-ბიოლოგია;**
5. **ფიზიკური აღზრდა;**
6. **დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა.**

ფასიან სექტორზე ჩარიცხვა განხორციელდება სპეციალობაში ჩატარებული გასაუბრების შედეგების საფუძველზე, ხოლო ბრძანება ჩარიცხვის შესახებ გამოქვეყნდება სწავლის პირველი წლის საფასურის გადახდის შემდეგ, არაუგვიანეს 15 სექტემბრისა.

საბიუჯეტო და ფასიან სექტორზე აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება (დადგენილი ფორმის მიხედვით, რომელსაც აბიტურიენტი მიიღებს სამდივნოში); 2. საშუალო ან სპეციალური საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი (ნიშნების დანართით); 3. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086), 4. ექვსი ფოტოსურათი (ზომით 3X4); 5. პასპორტი და სამხედრო მიწერის მოწმობა.

საბუთების შემოტანისას აბიტურიენტმა უნდა გადაიხადოს 5 ლარი გამოცდებთან დაკავშირებული მომსახურებისათვის.

განცხადებები მიიღება 1 ივლისიდან 20 ივლისამდე ყოველდღე (გარდა კვირისა), 10 საათიდან 15 საათამდე. მისაღები გამოცდები ჩატარდება 23 ივლისიდან 5 აგვისტომდე.

ღია კარის დღე შედგება 17 ივლისს, 11 საათზე.

მისამართი: ქ თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა № 1.

მიმღები კომისია.

მიწვევა

„ZEPTER-ი“ გვთავაზობს:

შევატრიალოთ ჩვენი ცხოვრება უკეთესობისაკენ!

ლეგენდარულმა შვეიცარულმა ფირმამ – „ცეპტერ“-მა, რომელსაც თავისი წარმომადგენლობები აქვს მსოფლიოს 42 ქვეყანაში, საქართველოში, თბილისშიც დაიდო ბინა.

მისი პროდუქცია, რომელიც ელიტარულია მთელს მსოფლიოში, მალე ჩვენს ოჯახებსაც დაამშვენებს.

მიმდინარე წლის 6 მაისს, ოთხშაბათს, 15 საათზე, „ცეპტერი“ აწყობს უფასო სწავლებას 20-დან 45 წლამდე ასაკის მოქალაქეებისათვის, ვინც გადაწყვეტს ითანამშრომლოს ამ სახელგანთქმულ ფირმასთან.

„ცეპტერი“ აცხადებს: – მათ, ვინც გამოიჩენს თავს აქტიური თანამშრომლობით, კომუნიკაბელურობითა და საქმიანი თვისებებით, ფირმა შეუქმნის ყოველგვარ საშუალებას საკუთარი თავის დამკვიდრებისა და კარიერისათვის.

მოდით, ნუ დაივიწყებთ: 6 მაისს, 15 საათზე, საკუთარი პასპორტებით მიწვეულნი ხართ საინტერესო შეხვედრაზე, ლვოვის ქუჩა № 47-ში, სადაც „ცეპტერი“ გელოდებათ!

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან არსებული მცენარეული რესურსებით (მათ შორის ხე-ტყით) სარგებლობის სალიცენზიო საუწყებათაშორისო საექსპერტო საბჭო

აცხადებს კონკურსს საქართველოს სატყეო მეურნეობებში მთავარი სარგებლობის (აღდგენითი) ჭრებით ხე-ტყის დამზადების ლიცენზიების მისაღებად.

განაცხადები მიიღება ა. წ. 15 მაისამდე.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართონ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის დეპარტამენტს, მის. კოსტავას ქ. № 68 ა ტელ. 33-16-48 ან 33-48-53.

საქართველოს ომის ვეტერანთა კომიტეტი ფაშიზმზე გამარჯვების 53-ე წლისთავთან დაკავშირებით მიმდინარე წლის 2 მაისს დღის 12 საათზე (შაბათს) თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში (ჭავჭავაძის პრ. № 1) ატარებს თეორიულ კონფერენციას თემაზე – „ი. სტალინი ფაშიზმზე გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი“.

დასწრება თავისუფალია.

ურმეს მადლობას ვუხდით ყველას, ვინც გაიზიარა ჩვენი მწუხარება დედის გარდაცვალების გამო.

ირაკლი ანდრიაძის ოჯახი.

ხსოვნა

ვლადიმერ ნაჭყებია

გარდაიცვალა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, საქართველოს დამსახურებული ექიმი, უმაღლესი კატეგორიის ექიმი-უროლოგი **ვლადიმერ ალექსის ძე ნაჭყებია.**

1941-1945 წლებში იმყოფებოდა არმიის რიგებში. 1949 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა გალის რაიონის ქირურგად, გუდაუთის რაიონის მთავარ ექიმად, თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ანესთეზიოლოგიის, ოპერაციული ნეფროლოგიის განყოფილების გამგედ, უროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უროლოგიური განყოფილების გამგედ.

არჩეული იყო საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულად. გამოირჩეოდა მაღალი ზნეობით, კეთილშობილებით, საქმისადმი თავდადებით, თავმდაბლობით და პრინციპულობით, პაციენტებისადმი უანგარო დამოკიდებულებით.

ვლადიმერ ნაჭყებიას ხსოვნა წარუშლელად დარჩება მის მრავალრიცხოვან პაციენტებში, კოლეგებსა და იმ ადამიანებში, ვისთანაც უმუშავია და ჰქონია ურთიერთობა.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

გივი ეხვაია



გარდაიცვალა საქართველოს პროკურატურის დამსახურებული მუშაკი, იუსტიციის პოლკოვნიკი **გივი იროდიონის ძე ეხვაია.**

გივი ეხვაია დაიბადა 1938 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქ. გალში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობს შს სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს გამომძიებლად, შემდგომ აფხაზეთის გალის რაიონის შს განყოფილების უფროს გამომძიებლად.

1970 წლიდან პროკურატურის ორგანოებში ინიშნება განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად.

1977 წელს არჩეულია საქართველოს უმაღლესი სასამართლოს წევრად.

1987 წლიდან კვლავ პროკურატურაშია, საგამოძიებო სამმართველოს უფროს პროკურორად.

1992 წლიდან ინიშნება საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილედ.

1997 წლიდან დღემდე მუშაობდა თბილისის რეგიონული სამხედრო პროკურორის მოადგილედ.

კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი გამოაკლდა ჩვენს ქვეყანას. ის იყო თავისი საქმის პროფესიონალი, ერთგული და სპეტაკი ადამიანი, რის გამოც დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა კოლეგებში.

წავიდა ამ ქვეყნიდან გივი ეხვაია, რომელსაც აუხდენელი ოცნება დარჩა – მშობლიურ აფხაზეთში დაბრუნება. იგი ნამდვილად დააკლდა ყველას, უპირველესად, თავის ოჯახს და კოლეგებს.

საქართველოს გენერალური პროკურატურა.

მეუღლე სელინა, შვილები ნათელა, ალიკო, რძალი მარინა, შვილიშვილები ანა, ნათია, თამთა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვლადიმერ ალექსის ძე ნაჭყებია

პანაშვიდი 3,4 V, 4 სთ, გამოსვენება 5 V, 3 ს. ი. ნიკოლაძის I შესახვევი № 5.

საქართველოს გენერალური პროკურატურა თანაუგრძნობს ბატონ თემურ გადელიას დედის

მართა გიორგის ასულ ჯზერენაია-გადელიას

გარდაცვალების გამო.

სააქციო საზოგადოება „ტრანსმშენი“, ზესტაფონის სამშენებლო ფილიალი და პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სატრანსპორტო მშენებლობის ლვაწლმოსილი მუშაკი

რობერტ ქაჩიბაია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სააქციო საზოგადოება „ტრანსმშენი“, სოხუმის № 676 სსმ და პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სამმართველოს კადრების უფროსის გივი აბსნაძის დედა

ვერა მიხეილის ასული ხუშენია-აბსნაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ბოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში, ხოშარაულის 29.